¹¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის EBRD პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ; 5 სექტემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

¹² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის EBRD პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ; 5 სექტემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

ცხადდა, რომ 2018 წლის 20 დეკემბერს ხელი მოეწერებოდა ურთიერთგაგების მემორანდუმს.¹³ ICC-ის პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ „ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ საქართველოში ICC დავების განხილვის სერვისების გამოყენებას, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებისა და მარკეტინგული ძალისხმევის გზით. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, სათანადო შემთხვევებში, ICC ასევე მიმართავს ძალისხმევას საქართველოში ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო აუდიტორიებისთვის აკადემიური და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშესაწყობად. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, აწარმოოს უწყვეტი დიალოგი, ორგანიზება გაუკეთოს ერთობლივ შეხვედრებს და გაააქტიუროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მუშაობა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პარალელურად.“¹⁴

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს ამ თანამშრომლობაზე. იუსტიციის მინისტრის ოფიციალური განცხადებით, საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, ქვეყანაში შექმნას ICC-ის ადგილობრივი არბიტრაჟის ან წარმომადგენლობითი ოფისი.¹⁵ თუმცა, ICC-ის მხრიდან ოფიციალურად არ დასტურდება, რომ იგი საქართველოში ადგილობრივი საარბიტრაჟო ცენტრის შექმნას გეგმავს, რომელიც თბილისში დავის მოგვარების ისეთივე სერვისებს შესთავაზებს, როგორსაც პარიზში. ამ თვალსაზრისით, ICC-მ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოპერაციების გაფართოების საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრა. 2017 წლის ივლისში მან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, აბუ-დაბიში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) წარმომადგენლობითი ოფისის გახსნის თაობაზე განაცხადა. ოფისი განთავსდება აბუ-დაბის გლობალურ ბაზარზე (ADGM), ემირატების დედაქალაქში, ალ-მარაჰის კუნძულზე არსებულ საერთაშორისო საფინანსო ცენტრში. ეს ნაბიჯი გახლავთ ბოლო დროს გატარებულ რიგ ღონისძიებათაგან უახლესი, რომელიც ICC-მ გადადგა ოპერაციების მსოფლიოს მასშტაბით გაფართოების მიზნით. აღნიშნული ინიციატივა ასევე მოიცავს წარმომადგენლობითი ოფისის გახსნას ბრაზილიაში, როგორც ეს 2017 წლის მაისში გამოცხადდა, და საქმისწარმოების ოფისის შექმნას სინგაპურში, 2017 წლის ივნისში გაკეთებული განცხადების თანახმად.¹⁶

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს იურისდიქცია უკვე ჩამოყალიბებულია ფართო სპექტრის ბიზნეს-ცენტრების სახით დიდი ოდენობის საარბიტრაჟო დავებით, რაც განვითარებადი ბაზრის მქონე ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ძნელად მიღწევადია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად საქართველოს სამართლებრივ ბაზარზე მხოლოდ ერთი საერთაშორისო იურიდიული ფირმა მოქმედებს (Dentons). მეორე გლობალურმა იურიდიულმა ფირმამ - Dechert-მა - 2017 წელს განაცხადა, რომ საქართველოს ტოვებს. საარბიტრაჟო დავების პოტენციური ოდენობისა და საარბიტრაჟო მომსახურებაზე არსებული მოთხოვნის გარდა, მაღალხარისხიანი იურიდიული მომსახურების არსებობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომლის გარეშეც, რთულია, წარმოვიდგინოთ საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წარმატებული ფუნქციონირება.

ICC-გან განსხვავებით, მეორე წამყვან საარბიტრაჟო ინსტიტუტს - ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) ადგილობრივი დავების მოგვარების სერვისებისთვის საერთაშორისო ოფისების გახსნის ხანგრძლივი პრაქტიკა აქვს. მაგალითად, 2008 წელს LCIA-მ დუბაიში დუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრის (DIFC) ფარგლებში დააფუძნა DIFC-LCIA საარბიტრაჟო ცენტრი, რომელიც ამ ორი ინსტიტუტის სტრატეგიულ პარტნიორობას ეყრდნობა. DIFC-LCIA საარბიტრაჟო ცენტრი ახორციელებს საერთაშორისო ბიზნეს-დავების ეფექტურ გადაჭრას არბიტრაჟისა და მედიაციის გზით. იგი სთავაზობს ყველა იმ მომსახურებას, რომელსაც ლონდონში LCIA-ის საქმისწარმოების სამდივნო ახორციელებს. DIFC-LCIA-ის წესების თანახმად, LCIA-ის სასამართლოს სამეთვალყურეო როლი ზუსტად ისეთივეა, როგორსაც თავად LCIA-ში ასრულებს საკუთარი წესების შესაბამისად ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ტრიბუნალების შერჩევა და დანიშვნა, არბიტრებისათვის გამოწვევების და საკონტროლო

¹³ ახალი ამბების სააგენტო "Reginfo", 20 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: <https://reginfo.ge/economic/item/9815-saqartveloshi-saertashoriso-savachro-palatis-arbitraji-dapuwndeba>; იხ. აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, 17 დეკემბერი, 2018, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7838>.

¹⁴ ICC ოფიციალური ვებ-გვერდი, მთავარი / News & Speeches / ICC დასაქართველოს მთავრობა აფორმებენ დავების გადაჭრის ხელმძღვანელებს ურთიერთგაგების მემორანდუმს, ხელმისაწვდომია: <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-government-georgia-sign-dispute-resolution-advancing-mou/>.

¹⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, პრეს რელიზი, 4 ოქტომბერი 2018, <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7785>.

¹⁶ ICC ოფიციალური ვებ-გვერდი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო საერთაშორისო სასამართლო არაბეთის გაერთიანებული საემიროებში, აბუ-დაბიში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) წარმომადგენლობითი ოფისის ხსნის: <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-court-establish-mena-representative-office-uae/>.

ხარჯების განსაზღვრა.¹⁷ LCIA India გახლავთ კიდევ ერთი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც 2009 წელს LCIA ქოლგის ქვეშ შეიქმნა ნიუ დელიში. მისი საარბიტრაჟო წესები დაფუძნებულია LCIA წესებზე. LCIA India ახორციელებს ყველა იმ ადმინისტრაციულ სერვისს ინდოეთში, რომელსაც LCIA ბრიტანეთში.¹⁸ ამასთან, როგორც LCIA-მ განაცხადა, 2016 წლის 1-ლი ივნისიდან იგი ინდოეთში მომხმარებელთა საჭიროებებს ლონდონის ოფისიდან, ლონდონის გუნდის მეშვეობით მოემსახურება, მათ შორის, იმათ, ვინც LCIA India-ს წესები აირჩია შესაბამისი ხელშეკრულებებით. აქედან გამომდინარე, დაფუძნების ექვსი წლის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ინდოელი მხარეები თანაბარი ხარისხით იყენებენ LCIA-ის წესებს და რომ არასაკმარისია მხარეების მიერ ხელშეკრულებაში LCIA India-ს წესების არჩევის პრაქტიკა საიმისოდ, რომ გამართლებული იყოს LCIA India-ს წესების გამოყენების გაგრძელება ინდოეთში ცალკე შეთავაზების სახით.¹⁹ კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ LCIA-MIAC საარბიტრაჟო ცენტრი მავრიკიაში, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა LCIA-ის მიერ მავრიკის მთავრობასთან ერთად ერთობლივი საწარმოს სახით. თუმცა, LCIA და მავრიკიის მთავრობა შეთანხმდნენ, 2018 წლის 27 ივლისიდან შეენწყვიტათ შეთანხმება ერთობლივი საწარმოს შესახებ, რომლის საფუძველზეც მავრიკიაში LCIA-MIAC-ის საარბიტრაჟო ცენტრი დაარსდა. შესაბამისად, 2018 წლის 27 ივლისიდან LCIA-MIAC-ის საარბიტრაჟო ცენტრმა განაცხადა ოპერაციების შეწყვეტის თაობაზე.²⁰ როგორც ვხედავთ, მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების ადგილობრივი საარბიტრაჟო ცენტრების შექმნა ყოველთვის არ გვირგვინდება ისეთი წარმატებით, როგორც ეს თავიდან ჩანს. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ამ არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებული სერვისების სიძვირე. თუმცა, ბიზნესს, რომელსაც შეუძლია ამ საფასურის გადახდა, მგზავრობის ხარჯების დაფარვასაც შესძლებს, რაც უკავშირდება დავების განხილვას საზღვარგარეთ - მაგ. ლონდონში ან პარიზში. არბიტრაჟში ძირითადი ხარჯები მოდის არა მგზავრობასა და ლოჯისტიკაზე, არამედ ინსტიტუციონალურ მოსაკრებლებზე, არბიტრების ჰონორარებსა და ადვოკატების გასამრჯელოებზე. არბიტრაჟის მიერ განუვლი კვალიფიციური მომსახურება არ არის დაბალ ფასიანი. საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდების - როგორცაა ICC და LCIA-ს გამოყენებაც მაღალ ფასებს უკავშირდება, რადგან ეს ინსტიტუტები მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ და მათი საარბიტრაჟო გადამწყვეტილებები უფრო ადვილია სასამართლოებისთვის აღსასრულებლად, ვიდრე სხვა საარბიტრაჟო ცენტრების თუ სპეციალური საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადამწყვეტილებებისა. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში დავების გადაჭრის იმავე სერვისის მიღება ადვილზე შეიძლება არც აღმოჩნდეს მომხმარებლისთვის დიდი უპირატესობა.

გ) სპეციალური ეკონომიკური ზონები სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმით

საქართველოში კიდევ ერთ საინტერესო ინიციატივას წარმოადგენს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის დებულების შესახებ, რომელიც იძლევა სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის მქონე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების (Special Economic Zones / SEZ) შექმნის შესაძლებლობას. კერძოდ, ამ ეტაპზე საუბარია ანაკლიის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნაზე. ასეთ ზონებში სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შემოღება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის გარდა სხვა რეგულაციების დანერგვას და, ასევე, ითვალისწინებს დამოუკიდებელი სასამართლო და საარბიტრაჟო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც დავებს განიხილავს ამ რეგულაციების შესაბამისად. ანაკლიის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის ამბიციური გეგმა ითვალისწინებს ინგლისის კანონმდებლობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთო სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას, ასევე, მაღალკვალიფიციური საერთაშორისო მოსამართლეებისა და არბიტრებით დაკომპლექტებული საკუთარი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ჩამოყალიბებას კომერციული და სამოქალაქო საქმეებისთვის, რათა საერთაშორისო ბიზნეს კომპანიებმა შეძლონ დავების დროული და ნაკლები დანახარჯებით გადაჭრა. ასეთი მიდგომა საკმაოდ მიღებულია მრავალი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის, სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონებისა, თუ სხვა თავისუფალი ზონებისთვის მსოფლიო მასშტაბით. ბევრმა ასეთმა ზონამ აირჩია ინგლისის კანონმდებლობა პირდაპირი გამოყენების ან მისი ძირითადი სამართლებრივი პრინციპების კოდიფიკაციის გზით. მაგალითად, ჰონგ-კონგმა და სინგაპურმა ინგლისის კანონმდებლობა კოდიფიკაციის გარეშე გა-

¹⁷ LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე DIFC-LCIA-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.difc-lcia.org/>

¹⁸ LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე LCIA India-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-india.org/>.

¹⁹ LCIA India-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-india.org/>.

²⁰ LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე LCIA-MIAC ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-miac.org/>.

ავრცელეს საკუთარ ტერიტორიაზე. კერძოდ, სინგაპურის მიერ ინგლისის სამართლის გამოყენება სინგაპურს შესაძლებლობას აძლევს, პირდაპირ მიმართოს ინგლისის პრეცედენტულ სამართალსა და კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებს. ამ მიდგომისგან განსხვავებით, დუბაის საერთაშორისო ფინანსურმა ცენტრმა (DIFC) არაბთა გაერთიანებულ საემიროებში და ასტანას საერთაშორისო საფინანსო ცენტრმა (AIFC) არჩევანი კოდიფიკაციის მიდგომაზე გააკეთეს. AIFC-ის შემთხვევაში, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა ეყრდნობა ყაზახეთის კონსტიტუციას და გააჩნია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ეფუძნება ინგლისის სამართალსა და წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ცენტრების სტანდარტებს.²¹ რაც შეეხება DIFC-ს, მას საკუთარი - არაბთა გაერთიანებული საემიროების სამოქალაქო და კომერციული კანონმდებლობისგან დამოუკიდებელი კანონები და რეგულაციები აქვს, რომლებიც მოდელირებულია მსოფლიოს ძირითადი ფინანსური იურისდიქციების საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით და მოიცავს საერთაშორისო საფინანსო და კომერციული სამართლის საუკეთესო ასპექტებს.²² DIFC სასამართლო ხელისუფლებამ შეიმუშავა საკუთარი წესები, რომლებიც დიდ წილად ინგლისის კომერციულ სამართალს ეფუძნება, თუმცა, იქ, სადაც DIFC კანონმდებლობა დუმს (მაგ. ინტელექტუალური საკუთრების სფერო), ინგლისისა და უელსის კანონი პირდაპირ მოქმედებს.²³

მიზეზი, რის გამოც DIFC-მ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მოქმედი კონტინენტური სამართლის სისტემის ნაცვლად უპირატესობა ინგლისის სამართალს მიანიჭა, გახლავთ ის, რომ კონტინენტური სამართალი მოსამართლეებს მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებს; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის სასამართლოებმა ჯერ კიდევ 500 წლის წინ დანერგეს სამართლიანობის პრინციპი სამართლებრივი ფორმალობებით გამოწვეული უსამართლო შედეგების შემცირების მიზნით, თუკი ამგვარ შედეგს ადგილი ექნებოდა.²⁴ არსებობს მრავალი სხვა უპირატესობა, რომელიც ინგლისის სამართლის სასარგებლოდ შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ინგლისის სამართალი დომინირებს საერთაშორისო კომერციულ კონტრაქტებში, რადგან იგი ითვლება ბიზნესისადმი ყველაზე მეგობრულ კანონმდებლობად. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე გვაქვს უმეტესწილად მოსამართლეების და არა პარლამენტის მიერ შემუშავებულ კანონებთან, იგი სწრაფად ახდენს ადაპტირებას ცვალებად ბიზნეს რეალობებთან. გარდა ამისა, ინგლისის სამართალი არის ერთადერთი სამართალი, რომელიც გამიზნულად იქნა დანერგილი სხვადასხვა არსებულ იურისდიქციაში.

დღესდღეობით, ყველა ძირითად ფინანსურ ცენტრს არეგულირებს საერთო სამართალი, რომელიც ინგლისის კანონმდებლობის პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედებს ძლიერი სასამართლო სისტემის, არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუციების მეშვეობით. აღნიშნული სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია სასამართლო დავების შედეგების პროგნოზირებადობა არსებული პრეცედენტების საფუძველზე და მოსამართლეთა მიერ კანონმდებლობის ფართო ინტერპრეტაციის ძალაუფლების შეზღუდვა; ეს არის ფაქტებზე დაფუძნებული სამართლებრივი სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არის აუცილებელი იყო იურისტი, რათა დავის შედეგები განჭვრიტო, რადგან ეს შესაძლებელია ანალოგიური პრეცედენტების ფაქტების გათვალისწინებით. დავების განხილვის პროცედურებში ოფიციალურ ენად ინგლისური ენის გამოყენება, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და მხარეთა ავტონომიის პრინციპების უკეთესი დაცვა, რაც კონტრაქტების შედგენისას მეტი მოქნილობის შესაძლებლობას იძლევა - ყველა ეს ფაქტორი ინგლისის სამართალს საერთაშორისო ბიზნეს კომპანიებს შორის ყველაზე პოპულარულსა და ნაცნობ სამართლად აქცევს. სწორედ, აღნიშნული მიზეზები ცხადყოფს, თუ რატომ შეიძლება გახდეს მარეგულირებელი კანონმდებლობის სახით ინგლისის სამართლის დანერგვა და ამ სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით დავების მარეგულირებელი ძლიერი ინსტიტუციების შექმნა ამგვარ თავისუფალ ზონებში უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვის ძლიერი სტიმული. სასამართლო / საარბიტრაჟო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება და კანონის უზენაესობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სტაბილურობას, პროგნოზირებადობასა და თანმიმდევრულობას, ეს კი უკიდურესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნეს-სუბიექტისათვის.

²¹ Philip Kim (Herbert Smith Freehills), ასტანას საერთაშორისო ფინანსური ცენტრი: AIFC სასამართლო და საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის იურიდიული სისტემები ინგლისის საერთო კანონებს უნდა ეფუძნებოდეს; 6 აგვისტო, 2017; ხელმისაწვდომია: <http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2017/08/06/astana-international-financial-centre-aifc-court-international-arbitration-centre-legal-systems-based-english-common-law/>.

²² Andrew Tarbuck & Chris Lester, დუბაის სამართლებრივი სისტემა, გამომცემლობა Motivate Publishing, 2009, ხელმისაწვდომია: <https://www.lw.com/thoughtleadership/dubai-legal-and-regulatory-system>.

²³ Joshua Rozenberg, ბრიტანეთის კანონმდებლობა ოაზისია დუბაიში; 2 თებერვალი, 2006, ხელმისაწვდომია: <https://www.telegraph.co.uk/news/uknews/4198952/British-law-is-oasis-of-reassurance-in-Dubai.html>.

²⁴ იქვე.

§3. დასკვნები

სასამართლო დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის საფუძველია. სასამართლო სისტემის ეფექტურობა ფასდება იმით, თუ როგორ უზრუნველყოფენ სასამართლოები ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქონებრივი უფლებების დაცვას, როგორ უწყობენ ხელს დავების მშვიდობიან მოგვარებას და როგორ აძლევენ შესაძლებლობას მოქალაქეებს, უზრუნველყონ საკუთარი მთავრობის ანგარიშვალდებულება მათ ქმედებებზე. ამასთან, კანონების სამართლიანი გამოყენებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულების გზით, ეფექტური სასამართლო სისტემა ხელს უწყობს უცხოურ და შიდა ინვესტიციებს, კერძო სექტორის განვითარებას და ეროვნულ კონკურენტუნარიანობას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას.²⁵ სამართლიანი სასამართლო მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებაა, ამავდროულად, ეს გახლავთ ბიზნესის სუბიექტების მიერ ნდობისა და ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ფაქტორი.²⁶ ამასთან, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით სხვადასხვა სამართლებრივ სფეროებში მიღწეული პროგრესი შეიძლება შეფერხდეს სამართლიანი და კარგად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს დაახლოებული კანონების დაცვას და მათი დარღვევისას შესაბამისი სანქციების ამოქმედებას. მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს სასამართლოებსა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებთან დაკავშირებული რეფორმების მეშვეობით. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო სისტემა თავის თავში მოიცავს ინსტიტუტებისა და ინდივიდების ფართო სპექტრს, რეფორმა უნდა განხორციელდეს მრავალმხრივი ჩართულობის გზით.²⁷ როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო აგრძელებს ცვლილებების სხვადასხვა ვერსიის განხილვას სასამართლო სისტემის სრულყოფის მიზნით. სამწუხაროდ, და მიუხედავად წარსულში რამდენიმე მცდელობისა, ჯერ კიდევ წინაა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს დავების მოგვარების ჭეშმარიტად სამართლიანი და ეფექტური სისტემის დასაწერად.²⁸

²⁵ მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, სასამართლო რეფორმა; იხ.: <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

²⁶ ევროპული კომისია, The Quality of Public Administration “Toolbox”, თემა 7: Quality justice systems, აგვისტო, 2017, იხ.: file:///C:/Users/User/Downloads/09%20T2017%20Theme%207%20Justice%20systems_web.pdf.

²⁷ მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, სასამართლო რეფორმა; იხ.: <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

²⁸ სტატია შესრულებულია დოქ. ნათია ლაპიაშვილის მიერ; ბაზელის უნივერსიტეტი, შვეიცარია, შედარებითი სახელმწიფოებრივი სამართლის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; LL.M. ჟენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია, საერთაშორისო დავების მოგვარების მაგისტრი; LL.M. რიგის უმაღლესი იურიდიული სკოლა, ლატვია, საერთაშორისო საჯარო და ევროკავშირის სამართლის მაგისტრი; საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი; გრენობლის უნივერსიტეტის მონღეული პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროკავშირის სამართლებრივი მოდულის ხელმძღვანელი; ევროპული კვლევების ინოვაციური მეთოდის სწავლების ცენტრის კოორდინატორი.

Natia Lapiashvili

THE EU CALLS FOR IMPROVING THE JUSTICE SYSTEM IN GEORGIA: DEMOCRACY AND DISPUTE SETTLEMENT

Abstract

Strengthening democracy is primarily linked with effective and independent judiciary in any jurisdiction. Enhancing the fair and well-functioning judicial system remains the challenge for Georgia, as highlighted recently by the European Parliament's Committee on Foreign Affairs (AFET) Report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia. It is worth mentioning that Georgia has undergone several rounds of related reforms under different governments varying from the idea of establishment special economic zones with different legal regimes, introduction of commercial and tax courts/chambers or formation of local branch of reputable international arbitration institution. However, irrespective of several attempts in the past, there remains a considerable criticism regarding efficiency and quality of justice in the country and there are still substantial reforms Georgia needs to undertake to achieve truly effective dispute resolution system.

Keywords: EU, Georgia, Judiciary, Arbitration, Reforms

§ 1. Introduction

Implementation status of the EU Association Agreement with Georgia with regard to judiciary system and criticism

In 2018 the European Parliament's Committee on Foreign Affairs ("AFET") has published the assessment of current status of the implementation of the Association Agreement between the European Union (the "EU") and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia (the "European Union Association Agreement with Georgia").¹ While evaluating the overall progress positively, AFET also identified the areas necessitating additional efforts for Georgia to get closer to membership of the EU.² According to the AFET's press office, Members of the European Parliament ("MEPs") assessed that "high-level corruption, full independence of the judiciary and the depoliticization of media content remain key areas of concern" in Georgia.³ The report regarding the implementation process of the EU-Georgia Association Agreement was prepared by MEP Andrejs Mamikins, which particularly undervalued democracy and justice-related reforms in Georgia.⁴ On 13 November 2018

¹ Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, entered into force on 1 July 2016.

² Official web-site of the European Parliament, Documents in dossier AFET/8/11788 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia, available at <http://www.europarl.europa.eu/committees/en/afet/draft-reports.html?ufolderComCode=AFET&ufolderLegId=8&ufolderId=11788&source=&linkedDocument=true&urefProcYear=&urefProcNum=&urefProcCode=>.

³ Official web-site of the European Parliament, News, Press Release "EU association efforts: MEPs praise Georgia and criticise Moldova", available at <http://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20181009IPR15403/eu-association-efforts-meps-praise-georgia-and-criticise-moldova>.

⁴ Report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)), Committee on Foreign Affairs, Rapporteur: Andrejs Mamikins, A8-0320/2018, Dated 15.10.2018, available at <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//NONSGML+REPORT+A8-2018-0320+0+DOC+PDF+V0//EN>.

at the European Parliament's plenary session discussion and debates around the report, Johannes Hahn, the EU Commissioner for European Neighborhood Policy, stated that while the report showed Georgia's progress regarding implementation of the European Union Association Agreement with Georgia, he also noted that the Georgian government should work further on law enforcement and judiciary reforms.⁵

In consideration of the foregoing, via report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia, the European Parliament "acknowledges Georgia's results in fighting low and mid-level corruption leading to a good regional ranking in perception indexes; highlights nevertheless that high-level elite corruption remains a serious issue;... and stresses that fighting corruption requires an independent judiciary and a solid track record of investigations into high-level cases of corruption, yet to be established."⁶ The European Parliament further "takes note of the ongoing judicial reform and signs of greater impartiality and transparency of the judiciary, but recalls the Venice Commission's concerns over proposed legislative amendments, which do not ensure the political neutrality of the Prosecuting Attorneys' Council of Georgia; calls for all the necessary measures to strengthen the justice system – [...], also with a view to guaranteeing transparency, notably in terms of the selection, appointment and promotion of judges as well as in disciplinary proceedings pertaining to them."⁷ The EU principal legislative body also "calls on the Georgian authorities to take further steps to uphold fundamental freedoms and human rights, notably for vulnerable groups, by fighting hate speech and discrimination, including on the labour market through an amended Labour Code."⁸

Accordingly, enhancing the fair and well-functioning judicial system remains the challenge for Georgia. Strengthening democracy is primarily linked with effective and independent judiciary in any jurisdiction. It is worth mentioning that Georgia has undergone several rounds of judicial reforms under different governments. However, there remains considerable criticism regarding efficiency and quality of judicial system in the country. Some often-noted grounds of criticism include: unpredictability of outcome of decisions, lack of professionalism of judges (could be result of low salaries), deficiency in number of judges as compared to number of cases to hear per year, nepotism and favoritism in appointment and removal of judges, lack of modernization and other reasons. All these factors result in many low-quality and unconvincing judgments and more generally, in lack of trust in Georgian judicial system as a whole, both in the eyes of foreign investors and Georgian citizens.

§ 2. Past attempts to reform dispute settlement system in Georgia and future prospects

a) Commercial and Tax Courts/Chambers Reform

In the near past, there had been some attempts in Georgia to offer trust-worthy dispute settlement mechanisms to facilitate fast and effective resolution of business disputes, especially involving foreign investors. The example of such attempt is discussions about introducing specialized commercial and tax courts/chambers in Georgia. In this regard, in October 2016 the private law reform council, consisting of the Minister of Justice and representatives of different public bodies and private interest groups considered the concept paper on introduction of commercial and tax courts/chambers prepared by law firm "Dechert Georgia LLC".⁹ The concept paper overviews the judicial systems in many legally advanced jurisdictions, including England and Wales, Ireland, Netherlands, Singapore, France, USA and other jurisdictions, based on which the paper elaborated the recommendations for the government of Georgia, including hiring foreign judges with required expertise.¹⁰ In September 2017 it was officially announced by the Georgian Ministry of Justice that the first commercial chamber will start to operate in January

⁵ News Agency "Agenda.ge", "MEP calls Georgia a star of the region for commitment to European values", dated 14 Nov 2018, available at <http://agenda.ge/en/news/2018/2394>; See also News Agency "Civil.ge", "MEPs Positive on Georgia's EU Association Agreement Implementation", dated 10/10/2018, at <https://civil.ge/archives/257777>.

⁶ Report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)), Supra note 5, Para 21.

⁷ Report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)), Supra note 5, Para 24.

⁸ Report on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)), Supra note 5, Para 34.

⁹ Georgian Ministry of Justice official webpage, information on private law commission meeting regarding introducing specialized commercial courts, dated 25 October 2016, available at <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=5307>.

¹⁰ The concept paper is confidential. The author of this article had been involved in preparation of the concept paper.

2019.¹¹ The same source suggested that donors, including the European Bank for Reconstruction and Development (the “EBRD”), the UK Government’s Good Governance Fund (the “GGF”) and Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (English: German Corporation for International Cooperation GmbH) (the “GIZ”) expressed their willingness to support the reform financially.¹² However, later the reform has apparently been suspended and as of writing this article, no further plans have been announced or measures taken in this regard.

b) Establishment of local branch of reputable international arbitration institution

Further attempt of Georgian Government to offer high quality and effective dispute resolution to foreign businesses was negotiations with International Court of Arbitration of International Chamber of Commerce (the “ICC”), as a result of which it was announced that Memorandum of Understanding would be signed on 20 December 2018.¹³ The ICC press-release thereof notes that “under terms outlined in the MOU, ICC and the Government of Georgia commit to promoting the use of ICC Dispute Resolution Services in Georgia, including through awareness-raising and marketing efforts. With support from the government of Georgia, where relevant, the ICC Court will also undertake efforts to foster academic and educational activities in Georgia for local as well as regional or international purposes and audiences. Both parties commit to maintaining continued dialogue and the organization of joint encounters and to intensify the operation of a joint working group along with consultation among relevant stakeholders.”¹⁴

It seems that Georgian government has great expectations from this cooperation. According to official announcement of Minister of Justice, Georgian Government hopes to establish ICC local arbitration branch or representative office in Georgia.¹⁵ However, it is not officially confirmed from the side of ICC, that it intends establishment of local arbitration centre in Georgia, which would offer the same dispute resolution services in Tbilisi as in Paris. In this regard, ICC had recently declared its plans to expand operations worldwide. In July 2017 it announced to open a representative office for the Middle East and North Africa (MENA) in Abu Dhabi, United Arab Emirates (UAE). The office will be located in Abu Dhabi Global Market (ADGM), an international financial centre located on Al Maryah Island in the capital of UAE. The move is the latest in a series of measures undertaken by the Court to expand operations worldwide. They include the opening of a representative office in Brazil, announced in May 2017, and the establishment of a case management office in Singapore, announced in June 2017.¹⁶ However, all these jurisdictions have already been established as business centers with vast number of arbitration disputes, something economically developing country with emerging market like Georgia cannot offer. It is worth noting that currently there is only one international law firm operating in Georgian legal market (Dentons). Another global law firm Dechert announced it decided to leave Georgia in 2017. Apart from potential number of arbitration disputes and demand for arbitration services, the presence of high-quality legal services is another important prerequisite without which it will be hard to envisage successful functioning of an international arbitration centre.

As opposed to ICC, another leading arbitration institution - the London Court of International Arbitration (the “LCIA”) has a long-term practice of opening international offices, offering local dispute resolution services. For instance, in 2008 the LCIA has founded the DIFC-LCIA Arbitration Centre in Dubai, within Dubai International Financial Centre (“DIFC”) upon a strategic partnership between two institutions. The DIFC-LCIA Arbitration Centre administers the effective resolution of international business disputes through arbitration and mediation, offering all the services that are offered by the LCIA casework secretariat in London. Under the DIFC-LCIA Rules, the LCIA Court plays exactly the same supervisory role as it does under the LCIA’s own rules in connection with such matters as the

¹¹ Georgian Ministry of Justice official webpage, information on meeting of Georgian Minister of Justice with the EBRD president, dated 5 September 2017, available at <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

¹² Georgian Ministry of Justice official webpage, information on meeting of Georgian Minister of Justice with the EBRD president, dated 5 September 2017, available at <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

¹³ News Agency “Reginfo”, dated 20 October 2018, available at <https://reginfo.ge/economic/item/9815-saqartveloshi-saertashoriso-savachro-palatis-arbitraj-i-dapuwndeba>; See also Georgian Ministry of Justice official webpage, dated 17 December 2018, available at <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7838>.

¹⁴ ICC official web-site, Home / News & Speeches / ICC and Government of Georgia sign dispute resolution advancing MOU, available at <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-government-georgia-sign-dispute-resolution-advancing-mou/>.

¹⁵ Georgian Ministry of Justice official webpage, Press Release, dated 4 October 2018, <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7785>.

¹⁶ ICC official web-site, The ICC International Court of Arbitration is to open a representative office for the Middle East and North Africa (MENA) in Abu Dhabi, United Arab Emirates (UAE), at <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-court-establish-mena-representative-office-uae/>.

selection and appointment of Tribunals, determining challenges to arbitrators, and controlling costs.¹⁷ LCIA India is another independent arbitral institution founded under the LCIA umbrella in 2009, based in New Delhi, with rules that are closely modelled on the LCIA rules. LCIA India offers all the administrative services offered by the LCIA in the UK.¹⁸ Though, the LCIA has announced that as of 1 June 2016 it will service the needs of users in India, including those who have adopted LCIA India Rules, from the LCIA's London office and its London based casework team. Hence, after six years of its establishment, it has become apparent that Indian parties are equally content to continue using the LCIA Rules and there are insufficient adopters of LCIA India clauses to justify a continuation of the LCIA India Rules as a separate offering.¹⁹ Another example is LCIA-MIAC Arbitration Centre in Mauritius, founded by LCIA together with the Government of Mauritius in 2011 as a joint venture. However, The LCIA and the Government of Mauritius have mutually agreed to terminate the joint venture agreement which established the LCIA-MIAC Arbitration Centre in Mauritius, with effect since 27 July 2018. Consequently, from 27 July 2018 the LCIA-MIAC Arbitration Centre was announced to cease operations.²⁰ As follows, the establishment of local arbitration centres of reputable international arbitration institutions are not always as successful as they may appear in the beginning. The reason for that most probably is that the services offered by those arbitration institutions are far from being cheap. However, the businesses who can afford those fees, can also afford to sponsor travel costs i.e. the disputes to be heard abroad, e.g. in Paris or London. In arbitration the major costs do not come on travel and logistical costs, but rather on institutional fees, honorarium of arbitrators and charges of legal counsel. The services rendered by arbitrators with right experience is not low-priced. Use of internationally recognized brands such as ICC and LCIA also comes with a price, since these institutions enjoy high reputation and their arbitration awards are easier to enforce at courts than other arbitration centres' or ad hoc arbitration tribunals' decisions. Hence, the possibility to receive the same dispute resolution services locally may not be such a big advantage for its users at the end of the day.

c) Special Economic Zones with different legal regimes

Another interesting initiative in Georgia to follow is discussions on provision of Georgian Constitution allowing establishment of Special Economic Zones ("SEZ") with special legal regimes, specifically mentioning Anaklia SEZ. Introducing special legal regime in such zones means a possibility to introduce law other than Georgian law, as well as implies the need of establishing independent judicial and arbitration system to hear disputes based on such law. The ambitious plan for Anaklia SEZ is development of a common law framework based on English law principles, as well as formation of its own independent judicial system and an international arbitration centre for commercial and civil cases with highly qualified international judges and arbitrators, to facilitate time- and cost-effective dispute resolution for international business companies. Such approach is quite common for many SEZs, Special Administrative Regions or other free zones around the globe. Many of such zones have chosen English law through direct application or codification of its key legal principles. For instance, Hong Kong and Singapore adopted English law without codification. For example, the Singapore Application of English Law Act makes English common law and certain English statutes directly applicable in Singapore. As opposed to this approach, Dubai International Financial Centre ("DIFC") in United Arab Emirates ("UAE") and the Astana International Financial Centre ("AIFC") elected the codification approach. In the case of AIFC, its governing law is founded on the Constitution of Kazakhstan and has a special legal regime, based on English common law and standards of leading international financial centres.²¹ As for DIFC, it has its own laws and regulations, independent of the civil and commercial laws of the UAE, modelled on the best practices of the world's major financial jurisdictions and embody the best of international financial and commercial law.²² The DIFC judicial authority has drafted its own statutes based largely on English commercial law,

¹⁷ LCIA official website, available at <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>; see also official website of DIFC-LCIA, available at <http://www.difc-lcia.org/other-advantages-of-the-difc-lcia.aspx>.

¹⁸ LCIA official website, information available at <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, see also official website of LCIA India at <http://www.lcia-india.org/>.

¹⁹ Official website of LCIA India, available at <http://www.lcia-india.org/>.

²⁰ LCIA official website, available at <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, see also official website of LCIA-MIAC available at <http://www.lcia-miac.org/>.

²¹ Philip Kim (Herbert Smith Free hills), The Astana International Financial Centre: AIFC Court and International Arbitration Centre Legal Systems to be based on English Common Law, dated 6 August 2017 available at <http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2017/08/06/astana-international-financial-centre-aifc-court-international-arbitration-centre-legal-systems-based-english-common-law/>.

²² Andrew Tarbuck & Chris Lester, Dubai's legal system, Published by Motivate Publishing, 2009, available at <https://www.lw.com/thoughtleadership/dubai-legal-and-regulatory-system>.

however where DIFC law is silent, such as area of intellectual property, the law of England and Wales applies directly.²³ The reason why the DIFC has chosen English common law in preference to the codified system of civil law, being the major legal system in UAE, is said to be that common law allows the judges more discretion; It should be also mentioned that the principles of fairness and equity were introduced by the Court of Chancery 500 years ago to mitigate the unfair formalities of the common law, if any.²⁴ There are many other advantages to be named in favour of English law, such as: English Law dominates the international commercial contracts as it is considered as the most commercial friendly law. Because it is predominantly judge-made and not-parliament made law, it adapts more quickly to changing business realities. Further, English law is the only law which was intentionally introduced as part of the existing jurisdictions. All major financial centers are governed by the common law with strong judiciary, arbitration and mediation institutions operating on English law principles. Predictability of precedents with less interpretation power of judges; fact-based legal system, i.e. no need to be a lawyer to foresee the outcome of the dispute in line with similar cases; use of English as official language for procedures; better protection of freedom of contract and party autonomy principles, allowing more flexibility in drafting contracts – all these factors make English law the most popular and familiar law among international business companies. For this reason, it is clear why introducing English law as a governing law and founding the strong dispute settlement institutions based on the same legal principles can be a strong incentive to attract foreign and local investors in such free zones. Effective operation of judicial/arbitration institutions and the rule of law guarantees transparency, stability, predictability and consistency, which is crucial for any business entity.

§3. Conclusions

Judicial independence is the foundation of rule of law and democracy. Efficiency of judicial system is measured by how the courts support the protection of human and property rights, facilitate the peaceful resolution of disputes and allow citizens to hold their government accountable for its actions; Further, by ensuring the fair application of laws and the prompt enforcement of judicial decisions, an efficient judiciary encourages foreign and domestic investment, private sector development and national competitiveness, thus fostering economic growth.²⁵ A fair trial is a fundamental right of citizens, as well as a driving factor to underpin business confidence and economic development.²⁶ Having said that, the progress achieved by Georgia in harmonizing the different legal areas with EU law can be undermined without just and well-functioning judicial system, which ensures that the laws are respected and appropriate sanctions are taken when they are breached. Improving justice can be achieved through reforms related to courts and alternative dispute resolution mechanisms. As the judicial system includes a wide array of institutions and individual players, reform efforts should adopt a comprehensive, participatory, multi-faceted approach.²⁷ In the view of foregoing, Georgia continues to consider various options on making changes for improvement of the judicial system. Unfortunately and irrespective of several attempts in the past, there are still substantial reforms Georgia needs to undertake to achieve truly fair and effective dispute resolution system that can provide a country with a foundation for the rule of law.²⁸

²³ Joshua Rozenberg, British law is oasis of reassurance in Dubai, dated 2 Feb 2006, available at <https://www.telegraph.co.uk/news/uknews/4198952/British-law-is-oasis-of-reassurance-in-Dubai.html>.

²⁴ Joshua Rozenberg, British law is oasis of reassurance in Dubai, dated 2 Feb 2006, available at <https://www.telegraph.co.uk/news/uknews/4198952/British-law-is-oasis-of-reassurance-in-Dubai.html>.

²⁵ World bank Official Website, Judicial Reform, Available at <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

²⁶ The European Commission, The Quality of Public Administration “Toolbox”, Theme 7: Quality justice systems, August 2017, available at file:///C:/Users/User/Downloads/09%202017%20Theme%207%20Justice%20systems_web.pdf.

²⁷ World bank Official Website, Judicial Reform, Available at <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

²⁸ By Dr. Natia Lapiashvili, PhD Basel University, Switzerland, Doctor iuris in Comparative Contract Law; LL.M. Geneva University, Switzerland, Master in International Dispute Settlement; LL.M. Riga Graduate School of Law, Latvia, Master in PIL and EU Law; Associated Professor at University of Georgia; Associated Professor at Caucasian School of Law; Visiting Professor at Grenoble University; Head of EU Law Module at Tbilisi State University; Coordinator of Centre of Innovative Teaching Methodologies in EU Studies.

მერი მალაკელიძე

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საზღვრის მართვის საკითხების
ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება:
ევროკავშირის მოთხოვნებით თუ საშინაო პოლიტიკური ღონისძიებით
განვიხილოთ ევროპეიზაცია?

აბსტრაქტი

სტატია ეხება მესამე ქვეყნების ევროპეიზაციას და მიზნად ისახავს, ახსნას ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესი. ამ კვლევაში დადგენილია ის პირობები, რომელთა საშუალებითაც ევროკავშირი ცდილობს თავის საზღვრებს გარეთ ცვლილებების ხელშეწყობას. ასევე, გამოკვლეულია, შეუძლია თუ არა ევროკავშირს პირობითობის პრინციპის გამოყენებით ქვეყნებს საკმარისი მოტივაცია მისცეს შიდა რეფორმების განხორციელებისთვის მაშინ, როცა განეწინაურება პერსპექტივა არ არსებობს; სხვა შემთხვევაში რა განაპირობებს აღნიშნულ ქვეყნებში ევროპეიზაციას. ნაშრომში გაანალიზებულია კონკრეტულ სექტორებთან დაკავშირებული პროცესები და, ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, განხორციელებული შესაბამისი რეფორმები. საქართველოსა და უკრაინაში საზღვრის მართვის სიღრმისეული შესწავლა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

საკვანძო სიტყვები: ევროპეიზაცია, პირობითობა, საზღვრის მართვა, საქართველო, უკრაინა

შესავალი

ნაშრომის მიზანია, წვლილი შეიტანოს აკადემიურ დისკუსიაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საზღვრებს გარეთ მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესებს. კვლევაში გაანალიზებულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც „ევროკავშირის გარეთ ევროპეიზაციის შედარებისთვის ყველაზე მსგავს შემთხვევებს წარმოადგენს. ის განიხილავს ახლო მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებს, მოიცავს პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს და ეფუძნება ევროკავშირის მკაფიო მისწრაფებას, ევროპული ღირებულებები, ნეკრი ქვეყნების გარდა, სხვა სახელმწიფოებშიც გაავრცელოს“ (Schimmelfennig, 2015, გვ. 6). მესამე ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან თავსებადობის კვლევისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ განსხვავებულ ქვეყნებსა თუ პოლიტიკის სფეროებში ინსტიტუციური დაახლოება სხვადასხვა დონეზეა. შესაბამისად, თეორიული დასკვნები უმეტესწილად ურთიერთსაინააღმდეგოა. მკვლევარები ხშირად კამათობენ იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ევროკავშირს, განეწინაურება პერსპექტივის გარეშე, ქვეყნის შიგნით პოზიტიურ ცვლილებებს შეუწყოს ხელი. ეს დისკუსია იმით არის განპირობებული, რომ ევროკავშირში გაერთიანების პირობითობა ევროპეიზაციის ყველაზე ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევა. ამის ფონზე, ზოგიერთი მეცნიერი ასკვნის, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებს არასაკმარისი მოტივაცია აქვთ შიდა რეფორმების გასატარებლად. (e.g. Kelley, 2006; Schimmelfennig and Scholtz, 2008). აღნიშნული პესიმისტური ხედვის საპირისპიროდ, ევროპეიზაციის პროცესის კვლევამ გამოავლინა, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში ინსტიტუციური ცვლილებების დონე გასაოცრად მაღალია (e.g. Börzel and Risse, 2012; Lavenex, 2014). ამ პროცესების ასახსნელად მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ პოლიტიკის მიმართულებებსა და მასთან დაკავშირებულ ევრო-

კავშირის პირობითობაზე (e.g. Ademmer and Börzel, 2013; Ademmer and Delcour, 2014; Langbein and Wolczuk, 2012). ამ არგუმენტაციის შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის მიზანია, დაადგინოს, თუ რა აძლევს მესამე ქვეყნებს ევროპეიზაციის მოტივაციას და რა უწყობს ხელს ქვეყნების შიგნით პოლიტიკურ ცვლილებებს. კვლევა შეისწავლის, ბრიუსელიდან მომდინარე ზენოლა განაპირობებს თუ არა ამ სახელმწიფოებში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით რეფორმების გატარებას. იმის გათვალისწინებით, რომ „ჯერ ადრეა მყარი, ერთიანი თეორიული ჩარჩოს შემუშავება, რომელიც ახსნის განსხვავებულ პოლიტიკურ ცვლილებებს სხვადასხვა სფეროებსა და ქვეყნებში“ (Langbein and Börzel, 2013, p. 574), აღნიშნული კვლევა ცდილობს, წვლილი შეიტანოს თეორიის განვითარების პროცესში. სტატია შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: პირველ რიგში, ჩამოყალიბებულია ანალიზის თეორიული ჩარჩო, რომელიც ევროკავშირის პირობითობის პრინციპს ეფუძნება; ამის შემდგომ განხილულია ემპირიული მაგალითები; ბოლოს კი, შედარებითი ანალიზის შედეგად მთავარი მიგნებები და დასკვნითი შენიშვნებია მოცემული.

ანალიზის ჩარჩო

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის აღმოსავლეთითა და სამხრეთით მრავალ ქვეყანას მოიცავს. აღმოსავლეთ პარტნიორობა აერთიანებს ბელარუსს, უკრაინას, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. სამხრეთით ევროკავშირი 15 ქვეყანასთან თანამშრომლობს. აღნიშნულ სახელმწიფოებთან „ხმელთაშუაზღვის კავშირის“ თანამშრომლობის ფორმატი არსებობს. ეს ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, გეოგრაფიული მდებარეობითა და პოლიტიკური სისტემებით. აღნიშნული მრავალფეროვნება გამოწვევაა მკვლევარებისთვის, შეიმუშაონ ევროპეიზაციის პროცესის ისეთი განმარტება, რომლის განზოგადება ყველა მათგანზე შესაძლებელი იქნება. კვლევის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული მეცნიერული შედეგების მისაღებად, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე, რაც, ემერსონის კლასიფიკაციის მიხედვით, ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთ სამეზობლო წრეს წარმოადგენს (Emerson, 2011, გვ. 54).

კვლევისათვის შერჩეულია აღმოსავლეთ სამეზობლოს ორი ქვეყანა - საქართველო და უკრაინა. ამ ქვეყნების შედარება მეთოდოლოგიურად გამართლებულია, რადგან ორივე მათგანი „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ყველაზე აქტიურ და ლიბერალურ წევრებს შორის“ მოიაზრება (Freyburg, et. al. 2009, გვ. 919). გარდა ამისა, ორივე ქვეყანას ევროკავშირთან ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება აკავშირებს. უფრო მეტიც, საქართველო და უკრაინა პროევროპული მისწრაფებებით გამოირჩევიან და ევროკავშირში განწევრიანება მათი საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა საქართველოსთან ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, უკრაინასთან კი დაასრულა ასოცირების ხელმოწერის პროცესი. ორივე დოკუმენტი ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო და უკრაინა მსგავს შემთხვევებს წარმოადგენენ, კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მხოლოდ ნეგატიური შედეგების განზოგადებაა მიზანშეწონილი. ეს ნიშნავს, რომ თუ ევროკავშირი წარუმატებელია ამ სახელმწიფოების ევროპეიზაციის პროცესში, მაშასადამე, ის ასევე არაეფექტური იქნება აღმოსავლეთ სამეზობლოს სხვა ქვეყნებშიც.

ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის დონეზე ევროპეიზაციის პროცესი ახსნას, აღნიშნული ნაშრომი სექტორულ დონეზე აკეთებს აქცენტს და შესაბამის სფეროებში შედარებითი ანალიზის მეშვეობით წარმოგვიდგენს სრულ სურათს. კვლევა მიზნად ისახავს, დააკვირდეს პოლიტიკის მიმართულებების ევროპეიზაციას და დაადგინოს ამ პროცესის წამახალისებელი ფაქტორები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. ასეთი ტიპის კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია დეტალურ ანალიზზე, მეთოდოლოგიურად გამართულ დასკვნებს გვაძლევს. უფრო მეტიც, „კონკრეტული პოლიტიკური სფეროებისა და ქვეყნების ძირეული განხილვის საშუალებით შეგვიძლია, დავადგინოთ განსხვავებული შედეგების გამომწვევი კონკრეტული მიზეზები“ (Sasse, 2008, გვ. 300).

ნაშრომში გამოკვლეულია, არსებობს თუ არა ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ მესამე ქვეყნების ევროპეიზაციის პროცესი დაკავშირებულია ევროკავშირის მოთხოვნებთან და რა გავლენას ახდენს ევროკავშირის პირობითობა მაშინ, როცა განწევრიანების დაპირების სახით რეალური ჯილდო არ არსებობს. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს, უპასუხოთ შემდეგ საკვლევ კითხვებს: (1) შეიძლება თუ არა ევროპეიზაციის პროცესში ევროკავშირი იყოს ეფექტური განწევრიანების პერსპექტივის გარეშე? (2) რამდენად იზრდება ქვეყნის შიგნით არსებული ნორმების ევროპულ სტანდარტებთან თავ-

სებადობა? (3) რა ფაქტორები უწყობს ხელს ქვეყნის შიგნით პრო-ევროპული რეფორმების გატარებას? პირველ საკვლევ კითხვასთან დაკავშირებით, „ეფექტურობა“ განისაზღვრება, როგორც „ინსტიტუციის შესაძლებლობა აქტიურად და მიზანმიმართულად იყოს ჩართული საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებთან ურთიერთობაში“ (Sjöstedt 1977, გვ. 16 cited in Bretherton and Vogler, 2006, გვ.17).


იმისათვის, რომ საკვლევ კითხვებს პასუხი გაცეს და და კონკრეტულ სექტორზე ევროკავშირის პირობითობის გავლენა დადგინდეს, ნაშრომში განხილულია საქართველოსა და უკრაინაში საზღვრის მართვის საკითხები. კვლევა მოიცავს ზემოთ ხსენებული ქვეყნებისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შექმნიდან უვიზო მიმოსვლის მინიჭებამდე პერიოდს. საზღვრის მართვის საკითხები ევროკავშირისა და მესამე ქვეყნებს შორის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის ფარგლებში მოიაზრება. გარდა ამისა, ეს სფერო მოიცავს უამრავ სხვა საკითხს, მათ შორის: „კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას, პირადი მონაცემების დაცვას, დასაქმებულთა უფლებებს, დასაქმებულთა მობილობას; ... ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას; ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას; დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას; ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას და სამართლებრივ თანამშრომლობას“ (EEAS, Guide to Association Agreement). საზღვრის მართვის საკითხები კვლევისთვის შერჩეულია რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში, ანალიზის ერთეულებზე უფრო ახლო დაკვირვება აჩვენებს, რომ საქართველოსა და უკრაინაში საზღვრის მართვის საკითხები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის; ასევე, შერჩეული მეთოდოლოგია შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ ქვეყნის შიგნით გატარებული რეფორმები იმ პერიოდში, როდესაც ვიზა ლიბერალიზაცია-სთან დაკავშირებული პირობითობა არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლის პერსპექტივა საქართველოში 2013 წელს, ხოლო უკრაინაში 2010 წელს გამოჩნდა. ტექნიკური თვალსაზრისით, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ნაწილი მოიცავს საზღვრის მართვას და კვლევაც ამ საკითხებით შემოიფარგლება. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ დამოკიდებულ ცვლადს დროის სხვადასხვა მონაკვეთში და დეტალური ანალიზის შედეგად შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.

მართალია, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირი მიზნად ისახავს ევროპული ღირებულებების მხარდაჭერას, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების გავრცელებას, თუმცა, ის მაინც არის „კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული სისტემა და საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში ტექნიკური ხასიათის საერთაშორისო წესების ერთობლიობა მის *acquis* ს ქმნის (Magen 2007, გვ. 364-366; Lavenex 2014; cited in Schimmelfennig, 2015, გვ. 12). შესაბამისად, ნაშრომში განხილულია საზღვრის მართვის სფეროში საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. ევროპეიზაციაში იგულისხმება ევროპული პოლიტიკის გავლენა შიდა სახელმწიფო სტრუქტურებზე. ამ შემთხვევაში ადაპტაციური წნეხი (*adaptational pressure*) მოიაზრებს, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკის, პოლიტიკის მიმართულებებისა და ინსტიტუტების თავსებადობას (Knill and Lehmkuhl, 2002, p. 259).

კვლევაში შესწავლილია შიდა სტრუქტურების ტრანსფორმაცია ან მათი თავიდან ჩამოყალიბება ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით. დამოკიდებული ცვლადი - „პოლიტიკის ცვლილება“ განისაზღვრება ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სექტორულ დონეზე მიღწეული პროგრესის ოფიციალური შეფასებების მიხედვით. აღნიშნული ცვლადის ოპერაციონალიზაცია ეფუძნება ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას, რომელიც ასახულია სამოქმედო გეგმებში, ანგარიშებსა და ევროპული კომისიის მიერ შემუშავებულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში.

ნაშრომში განვითარებულია კლასიკური ევროპეიზაციის ლიტერატურის შესაბამისი თეორიული ჩარჩო, რომელიც ეფუძნება „რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზაციას“ (Börzel and Risse, 2003). თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თეორია სამ ნაწილად არის კლასიფიცირებული: (1) ზემოდან ქვემოთ მიმართული ადაპტაციით გამოწვეული ზენოლა და ამ მიზნით პოლიტიკური პირობითობის მექანიზმის გამოყენება; (2) ინსტიტუციური და კონკრეტული პოლიტიკის მიმართულებების თავსებადობა ევროპულ და ქვეყნის შიგნით არსებულ სისტემებს შორის; (3) იმ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს შიდა ცვლილებებს.

ცხრილი 1 ანალიტიკური ჩარჩო



აღნიშნული კვლევა შეისწავლის ევროპეიზაციას, როგორც ზემოდან ქვემოთ მიმართულ პროცესს. ამ პირობებში, სუპრანაციონალური ინსტიტუციების ჩართულობის შედეგად, სახელმწიფოები რეფორმებს შიდა დონეზე ახორციელებენ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპეიზაცია ხორციელდება ვერტიკალური მექანიზმის გამოყენებით, რომლის დროსაც ევროკავშირი აწესებს კონკრეტულ მოდელს ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დასაწესებლად. მეორე მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიღებისას აანალიზებენ სარგებელსა და დანახარჯს.

მესამე ქვეყნებში ზემოდან ქვემოთ მიმართული პროცესების შესასწავლად სექტორული პოლიტიკა შესაბამის ფორმატს წარმოადგენს. ამასთანავე, რაციონალური თეორიის მოდელის შესაბამისად, კვლევა წარმოაჩენს, თუ როგორ უბიძგებს ევროკავშირი ქვეყნებს ადაპტაციისაკენ პოლიტიკური პირობითობის საშუალებით. ეს უკანასკნელი გულისხმობს ზენოლის სტრატეგიას ჯილდოს გამოყენებით, რომლის დროსაც „ევროკავშირი აჯილდოვებს სამიზნე ქვეყნის მთავრობას მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, ხოლო შეუსრულებლობისას კი ნახალისების გარეშე ტოვებს“ (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004, გვ. 671).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ფარგლებს მიღმა ევროპეიზაციის შესახებ ლიტერატურაში დომინანტური მოსაზრებაა, რომ ევროკავშირის პირობითობა ვერ ახსნის მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ცვლილებებს, რადგან ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ყველაზე მნიშვნელოვან სტიმულს - განეწიანებას (e.g. Kelley, 2006; Schimmelfennig and Scholtz, 2008). მეორე მხრივ, ამ სფეროში უახლესი კვლევები ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკის მიმართულებებში ევროკავშირის პირობითობაზე, ანუ კონკრეტულ ჯილდოზე, რომელიც მოჰყვება მოცემულ მიმართულებაში მიღწეულ წარმატებას (e.g. Gawrich, et. al, 2010; Langbein and Wolczuk, 2012; Ademmer and Börzel, 2013). სწორედ, აღნიშნული მოსაზრების განსავითარებლად, ამ კვლევაში შესწავლილია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში საზღვრის მართვის სფერო, სადაც ევროკავშირი ქვეყნებს რეფორმების შემთხვევაში ჯილდოს სახით ვიზა ლიბერალიზაციას ანიჭებს. უფრო მეტიც, შერჩეული შემთხვევები აკმაყოფილებს პირობითობის ორ მთავარ კრიტერიუმს: პირველი, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის არსებობს მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშირის სასარგებლოდ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და უკრაინას თითქმის უმნიშვნელო დატვირთვა აქვს ევროკავშირის ეკონომიკისათვის მაშინ, როცა ამ ქვეყნებისთვის ევროკავშირის ბაზარი მნიშვნელოვანია და ასოცირების შემთხვევაში დიდი სარგებლის მომტანია. (Schimmelfennig and Scholtz, 2008, გვ. 191). მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ევროკავშირის პირობა უფრო რეალურია, რადგან „რაც უფრო მაღალია ჯილდოს ფასი, მით უფრო რთულია მისი მინიჭება სამიზნე ქვეყნებისთვის“ (იქვე). აქედან გამომდინარე, ვიზა ლიბერალიზაცია წარმოადგენს უფრო ვალიდურ და სანდო ჯილდოს, ვიდრე განეწიანება. შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილია ევროკავშირის მოთხოვნები საზღვრის მართვის სფეროში საქართველოსა და უკრაინაში, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და პრაქტიკაში განხორციელებას მოითხოვს. სწორედ, ამას გულისხმობს ადაპტაციური წნეხი, რომლის დროსაც ევროკავშირი პირობითობის მექანიზმს იყენებს.

ევროკავშირის მოთხოვნების იდენტიფიცირების შემდეგ, კვლევა ადგენს ეროვნულ დონეზე ინსტიტუციური მოწყობისა და წესების ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობას. მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანია დადგინდეს, შესაბამისობა/შეუსაბამობის ხარისხი, რაც „თავსებადობის სიკეთეს“ (“goodness of fit”) ეფუძნება (Risse, Cowles and Caporasso, 2001; Börzel and Risse, 2003). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და უკრაინაში პოლიტიკის მიმართულების ემპირიული შესწავლა წარმოაჩენს ეროვნულ დონეზე

იმ ხარვეზებს, რომელთა გამოსწორებაც უნდა მოხერხდეს რეფორმების საშუალებით. აღნიშნული მიდგომა სრულიად შეესაბამება რაციონალურ კვლევით ჩარჩოს, რომელიც ზემოდან ქვემოთ მიმართულ პროცესს გულისხმობს. ეს ითვალისწინებს „ცხად, ვერტიკალური ბრძანებების ჯაჭვს“, რომლის საშუალებითაც ევროკავშირის პოლიტიკა ბრიუსელიდან ეროვნულ დონეზე ვრცელდება (Bulmer and Radaelli, 2004, გვ. 9). კვლევა იწყება ადაპტაციით გამოწვეული ზენოლისა და თავსებადობის ხარისხის გაანალიზებით. თუმცა, ეს ორივე ფაქტორი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია ქვეყნის შიგნით პრო-ევროპული ცვლილებების განსახორციელებლად. შესაბამისად, ევროპეიზაციის ასახსნელად მივმართავთ დამატებით გარემოებებს.

როგორც აღინიშნა, წინა ემპირიული დაკვირვების შედეგები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის სამეზობლო ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები განსხვავებული ხასიათისაა. შესაბამისად, მხოლოდ ერთი მიდგომა ვერ ახსნის ევროკავშირის გავლენას შიდა სტრუქტურებზე და ევროპეიზაციის სხვადასხვა დონეების ასახსნელად აუცილებელია დამატებითი დამოუკიდებელი ცვლადების ანალიზი. ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის, ადრე განხორციელებული კვლევითი პროექტებისა და სხვადასხვა ანალიტიკური შრომების საფუძველზე, ეს ნაშრომი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: რამდენად განსაზღვრულია ევროკავშირის მიერ წაყენებული პირობები; რამდენად სანდოა დანაპირები/სტიმული; რამდენად ეხმარება და როგორ უწყობს ხელს ევროკავშირი ინსტიტუციურ გაძლიერებას. აღნიშნული ცვლადები ეფუძნება 'გარე სტიმულების მოდელის' თეორიას (External Incentives Model) (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004). ამასთანავე, გაანალიზებულია ევროპეიზაციის პროცესში სხვა საერთაშორისო აქტორების როლი და მოთხოვნების ქვეყნის შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგთან შესაბამისობა. სწორედ, სხვადასხვა ცვლადების ანალიზით შესაძლებელია, მხედველობაში მივიღოთ ალტერნატიული დაკვირვებები და თავიდან ავირიდოთ „ცრუ“ კავშირები თეორიულ მიზეზებსა და რეალურ შედეგებს შორის (Gschwend and Schimmelfennig, 2007, გვ. 6). კვლევისთვის შემუშავებული ანალიტიკური ჩარჩოს ფარგლებში, ცვლადებს შორის წარმოდგენილი კავშირი საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ ამ ფაქტორების ურთიერთმიმართება და მათი შესაძლო გავლენა.

ცხრილი 2 დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაცია

დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაცია	
დამოუკიდებელი ცვლადები	ოპერაციონალიზაცია
პირობების განსაზღვრულობა	ევროკავშირის მოთხოვნების სიცხადე, ფორმალურობა, თანმიმდევრულობა
დაპირების/სტიმულის სანდოობა	ვიზა ლიბერალიზაციისა და მეტი ეკონომიკური დახმარების დაპირება
დახმარება და ინსტიტუციური გაძლიერება	ფინანსური დახმარება და ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამები
სხვადასხვა საერთაშორისო აქტორები	თანამშრომლობის ჩარჩოები, დონორი ორგანიზაციებისა და სხვა საერთაშორისო ორგანოების პროექტები და პროგრამები
ინსტიტუციონალური შესაძლებლობები	შიდა პოლიტიკური დღის წესრიგთან შესაბამისობა, ქვეყნების პოლიტიკური პრიორიტეტები

აღნიშნული კვლევა არა მხოლოდ აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში ევროკავშირის მოთხოვნების შედეგად მიღებულ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ აკვირდება ცვლილებების განვითარების დინამიკასა და თანმდევ კონტექსტს. ეს ხორციელდება შედარებითი ანალიზის საფუძველზე პროცესის მიყოლის ტექნიკის გამოყენებით. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გამოვააშკარავოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და მივაკვლიოთ იმ ფაქტორებს, რომელიც პოლიტიკურ თავსებადობაზე დადებით ან, პირიქით, უარყოფით გავლენას ახდენს.

ემპირიული მაგალითი საქართველოდან

ევროკავშირის მოთხოვნები ზემოდან ქვემოთ მიმართული ადაპტაციით გამონკვეული ზენოლა ევროკავშირის პირობითობის მექანიზმის გამოყენებით

ევროკავშირი იერარქიულად ახორციელებს ადაპტაციურ ზენოლას სამიზნე ქვეყნებში. წინასწარ განსაზღვრული წესებისა და სპეციალური მოთხოვნების დანესებით ის ხელს უწყობს პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას. თეორიულად, ევროკავშირის მოთხოვნების სიცხადეზე, გარკვეულობასა და თანმიმდევრულობაზე დამოკიდებული მის მიერ აღნიშნული მექანიზმის ეფექტურად გამოყენება. წესების შინაარსიც საკითხის მნიშვნელობაზე მიაბიძგებს. „იმისთვის, რომ ევროკავშირის არანეგრ სახელმწიფოებში გავლენას დავაკვირდეთ, ევროკავშირის პოლიტიკა სხვადასხვა სფეროებში უნდა იყოს ცხადი, ნათლად ჩამოყალიბებული და უნდა გულისხმობდეს შესრულების ვალდებულებას. (Franck, 1990, გვ. 52-83; Legro, 1997, გვ. 34; Schimmelfennig and Schweltnus, 2006, გვ. 5), რასაც ზოგიერთი მეცნიერი წესების „სიმჭიდროვეს“ ან მოთხოვნების ხარისხს უწოდებს“ (Jacoby 2004, გვ. 9-10 cited in Timus, 2007, გვ. 16). საქართველოს შემთხვევაში საზღვრის მართვასთან დაკავშირებით ევროკავშირის წესების სიცხადე რომ შეფასდეს, ნაშრომში განხილულია ევროპული კომისიის ქვეყნის პროგრესის შეფასების ყოველწლიური ანგარიშები 2008 წლიდან 2015 წლამდე. ამასთანავე, გაანალიზებულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (2006) და ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (2013), რადგან, სწორედ, ეს დოკუმენტები განსაზღვრავენ კონკრეტულ ნაბიჯებსა და მიზნებს. უფრო მეტიც, ევროკავშირის პირობებზე დიდი ხნის განმავლობაში დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ვიმსჯელოთ, რამდენად თანმიმდევრულია ზემოთ ხსენებული პირობები იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზენოლის შედეგად განხორციელდეს ცვლილებები ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან გასათანაბრებად.

1996 წელს საქართველომ ხელი მოაწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეებს შორის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ასოცირების ხელშეკრულებამდე. თუმცა, მასში ნახსენები არ იყო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა კი მოიცავს საზღვრის მენეჯმენტს მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში. სამოქმედო გეგმა საზღვრის მართვის საკითხებს ახალი პარტნიორობის ერთ-ერთ პერსპექტივად მოიხსენიებს და განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს საქართველოს ხელისუფლებამ. ამ სფეროში ევროკავშირის მოთხოვნებია: საზღვრების მართვის სტრატეგიის განვითარება; ტრანს-ნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციისა და მისი სამი თანმხლები ოქმის „პალერმოს ოქმის“, ასევე, იარაღის არალეგალური წარმოებისა და ვაჭრობის შესახებ გაეროს ოქმის რატიფიცირება და იმპლემენტაცია; საზღვრების მართვის სფეროში რეფორმების განხორციელება; ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, იარაღით არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დიალოგი; უწყებათაშორისი თანამშრომლობა; საზღვრების დელიმიტაცია, დემარკაცია და კონტროლი; საზღვრების მართვის სფეროში დასაქმებულთა განათლება და ტრენინგი; ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების კომპეტენციების გაზრდა; საზღვრების მართვის ინტეგრირებული სისტემის სტრატეგიის დანერგვა და იმპლემენტაცია (EU-Georgia Action Plan, 2006, გვ. 8, 18-19).

ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის დაწყებისას შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც საზღვრის მენეჯმენტის საკითხებში ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობები უფრო მეტად კონკრეტული და განსაზღვრული გახდა. საქართველოსთვის ეს სამოქმედო გეგმა კიდევ ერთი ზენოლაა სექტორული პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დასაახლოებლად. საზღვრების მართვის სფეროში ყურადღება უფრო მეტად გამახვილდა სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოზე, უწყებათაშორისი თანამშრომლობაზე, ეთიკურ კოდექსსა და ტრენინგის პროგრამებზე, ინტეგრირებულ საზღვრების მართვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშებიც აჩვენებს ევროკავშირის მიერ წაყენებული პირობების თანმიმდევრულობას ამ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ 2011, 2012 და 2013 წლების დოკუმენტებში არ არის ნახსენები საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები, ამ პერიოდში ევროკავშირი მაინც ახორციელებდა მონიტორინგს. 2012 წელს საქართველომ წარმოადგინა ყოვლისმომცველი ანგარიში ვიზა ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში მიღებული ზომების შესახებ, ხოლო 2013 წლიდან ევროკომისია აქვეყნებდა ყოვე-

ლწლიურ ანგარიშებს საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ევროკავშირმა თითოეულ ბლოკში წარმოადგინა „ნიშნული“ (benchmark), რომლის მიხედვითაც განსაზღვრავდა მიღწეულ პროგრესს. ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის ფარგლებში შექმნილმა შესაბამისმა მონიტორინგის მექანიზმმა ევროკავშირის პირობებს მეტი სიცხადე და კონკრეტულობა შესძინა.

საქართველოს შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირიდან მოსალოდნელი სარგებლის სანდოობას, რადგან ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში პრო-ევროპული კურსის განმტკიცება მუდმივად დგას. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა განეწინაურება არ მოიზარებს, ის მაინც წარმოადგენს „შესაფერის შესაძლებლობას ევროკავშირისათვის, ჩაერთოს საქართველოს რეფორმირების პროცესში და ამასთანავე, აღკვეთოს მისი „ევროპული გზიდან“ გადაცდენის მცდელობები“ (Gogolashvili, 2009, გვ. 90). 2014 წლამდე, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA) წარმოადგენდა. ზემოთხსენებული დოკუმენტი იყო ერთგვარი პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისათვის, რომელიც საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობას უზრუნველყოფდა (Art. 1, EU-Georgia PCA). აღნიშნული ხელშეკრულება ასევე მოიცავდა სოციალურ, ფინანსურ, სამოქალაქო, სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას. საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უფრო ახლო ურთიერთობები დაამყარა აშშ-სთან, ნატო-სთან და ევროკავშირთან“ (Ghazaryan, 2010, გვ. 227). ამ პროცესს კი მოჰყვა საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, რომელმაც გააფართოვა თანამშრომლობის სივრცე.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდა წინასწარ განსაზღვრული წესები, რომლებიც უნდა დანერგულიყო პარტნიორ ქვეყანაში. მათ შესაბამისობაზე დასაკვირვებლად შეიქმნა მონიტორინგის მექანიზმები. იერარქიულ მიდგომას, იგივე ზემოდან ქვემოთ მიმართულ პროცესს ხელს უწყობს ევროკავშირის პირობითობა, რაც ხშირად არის აღნიშნული ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში. 2003 წლის ევროკომისიის კომუნიკაციაში „უფრო ფართო ევროპა“ აღნიშნულია, რომ „კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების ეფექტური იმპლემენტაციისა და ევროპული ღირებულებების გაზიარების სანაცვლოდ ქვეყნებს უნდა მიეცეთ ევროკავშირის შიდა ბაზარზე წვდომის, ინტეგრაციისა და ლიბერალიზაციის პერსპექტივა, ადამიანის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის უფრო თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა“ (Commission, 2003, გვ. 4). ამასთანავე, 2004 წლის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში პირობითობა შემდეგნაირადაა ხაზგასმული: „ევროკავშირის მის მეზობლებთან ურთიერთობების ამბიციის დონე დაეფუძნება, სწორედ, აღნიშნული ღირებულებების ეფექტურად გაზიარების ხარისხს“ (ENP Strategy Paper, 2004, გვ. 3). ეს მიდგომა ასევე ინტეგრირებულია ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში, რასაც ადასტურებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაც. აქედან გამომდინარე, ურთიერთობების გაღრმავების ტემპი დამოკიდებულია „საქართველოს მიერ გაზიარებული ღირებულებების ერთგულეობაზე ისევე, როგორც მის შესაძლებლობაზე განახორციელოს შეთანხმებული პრიორიტეტები საერთაშორისო და ევროპული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად“ (EU-Georgia Action Plan, 2006, გვ. 1).

აღმოსავლეთ პარტნიორობის შექმნის შემდეგ ევროკავშირის პირობითობა უფრო მეტად გარკვეული და კონკრეტული გახდა, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების ახალ საფეხურს ნიშნავდა. 2008 წლის საგანგებო საბჭოს შეხვედრაზე, სადაც განიხილებოდა ომის შემდგომი ვითარება საქართველოში, ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია და ხაზი გაუსვა აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობების განმტკიცების აუცილებლობას (European Council, Factsheet #3, 19 and 20 March, 2009, გვ. 1). აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ქვეყნებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობაც გახდა შესაძლებელი. თუმცა, „ძირითადი საკითხების იმპლემენტაცია მაინც მონაწილე ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ხორციელდებოდა“ (Whitman, Juncos, 2009, p. 203). აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა და ბაზარზე უკეთესი წვდომის უზრუნველყოფა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივით. შესაძლებლობებისა და დანახარჯების განხილვისას მეცნიერები თავიანთ ნაშრომში ამტკიცებენ, რომ ასოცირება შესაძლოა იყოს უფრო სანდო და ხელშესახები სარგებელი, ვიდრე განეწინაურება (Schimmelfennig and Sedelmeier (2004, გვ. 665). როგორც ჩანს, სწორედ, მსგავსი შემთხვევა იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში. გარდა ამისა, ევროკავშირმა კონკრეტულ სექტორებთან მიმართებაში წამოაყენა პი-

რობითობა და მათი შესრულების შემთხვევაში - ჯილდო. ევროპაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭება დამოკიდებული იყო მიგრაციის, საზღვრის მართვისა და სხვა შესაბამისი მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების შიდა რეფორმებზე.

საქართველოს „საშინაო დავალება“ საკმაოდ კარგად იყო განსაზღვრული ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის ფარგლებში, რომელიც 2012 წელს დაიწყო და მოიცავდა ოთხ მიმართულებას: დოკუმენტების უსაფრთხოებას, მათ შორის ბიომეტრიულ საბუთებს; საზღვრის ინტეგრირებულ მართვას, მიგრაციის მართვასა და თავშესაფრის პოლიტიკას; საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას; საგარეო ურთიერთობებს და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული შემთხვევა ევროკავშირის მხრიდან პირობითობის სანდოობის კარგ საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს. ამას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი მას შემდეგ დაიწყო, რაც „წარმატებით განხორციელდა ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის“. (Warsaw Eastern Partnership Summit Declaration 29-30 September, 2011 cited in EU-Georgia VLAP, 2013, გვ. 1). „ევროკავშირს შეუძლია ძლიერი ზენოლა განახორციელოს საქართველოზე, რადგან რეადმისიის ხელშეკრულებების წარმატებით იმპლემენტაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ვიზა ლიბერალიზაციის პროცესთან“ (Delcour, 2013, გვ. 350).

ევროკავშირის დაპირებულ ჯილდოებს თან ახლდა ფინანსური დახმარება და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. „ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინდიკატიური პროგრამა“ 2007-2013 წლებში 300 მლნ. ევროს ოდენობით განისაზღვრებოდა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფოდა ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებად. 2012 წლიდან ევროკავშირის ახალი ინიციატივის ფარგლებში „მეტი მეტისთვის“ დამატებითი ფონდები გამოიყო საქართველოსათვის. ამის გარდა, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად საქართველომ ევროკავშირისაგან დამატებით 8 მლნ. ევრო მიიღო „ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის“ ფარგლებში (Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration, Official Website).

ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება: ინსტიტუციური და პოლიტიკური მიმართულებების თავსებადობა და განხორციელებული შიდა ცვლილებები

საზღვრის მართვის სფეროში, რომელიც პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს სექტორულ დონეზე, მიღწეული პროგრესი საკმაოდ შესამჩნევია. საქართველოს ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების კუთხით, რაც, თავის მხრივ, შეესაბამებოდა ევროკავშირის მოთხოვნებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, ვიზა ლიბერალიზაციის დიალოგის და აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის ფარგლებში. როგორც ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, „საქართველომ მოახერხა საზღვრების დაცვის სამხედრო სისტემა ევროპულ მოდელზე დაფუძნებულ სამართალდამცავ სტრუქტურად გარდაქმნა“ (European Commission, VLAP Report, 2013, გვ. 6). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საზღვრის მენეჯმენტთან დაკავშირებული რეფორმები წლების განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდა. ევროკავშირის მოთხოვნების საპასუხოდ, საზღვრების მართვის ეროვნული სტრატეგია 2008 წელს იქნა მიღებული, ხოლო მისი თანმხლები სამოქმედო გეგმა იმპლემენტაციისათვის 2009 წელს დამტკიცდა. სტრატეგია შეესაბამებოდა საზღვრის ინტეგრირებული მართვის ევროპულ მოდელს და მასში განერილი იყო „რეალური მიზნები, განანილებული პასუხისმგებლობები და აუცილებელი ზედამხედველობის უზრუნველყოფა“ (იქვე, გვ. 7). ამ დოკუმენტის შექმნის პროცესში 2006-დან 2008 წლამდე ეროვნული უშიშროების საბჭოს წამყვანი როლი ჰქონდა და მასთან ერთად ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამინისტრო. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სტრატეგია და მისი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა 2012 წელს განახლდა, სადაც ასახული იყო სასაზღვრო უწყებებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები. აღნიშნულ პროცესში ევროკავშირმა ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობი ზომები მიიღო. ევროპელი პარტნიორები ჩართულები იყვნენ სტრატეგიული დოკუმენტების შექმნასა და განახლებაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სასაზღვრო რეფორმების მხარდაჭერის ჯგუფისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამის“ (SCIBM) საშუალებით (IOM, 2008a, გვ. 43; European Commission Progress Reports, 2010, გვ. 5; Samkharadze, 2013, გვ. 148). აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საქართველოს უშიშროების საბჭოს ფარგლებში საზღვართან დაკავშირებული რეფორმის

შესახებ დროებითი უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომელიც შესაბამისი ეროვნული სტრატეგიის შექმნაში მონაწილეობდა. ეს ფაქტი ხაზს უსვამს კონკრეტული პოლიტიკის სფეროებში პრო-ევროპული რეფორმების განხორციელებისას ადმინისტრაციული შესაძლებლობების ზრდას. უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო იმ სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენდა, რომელიც იმპლემენტაციის პროცესს მონიტორინგს უწევდა. როგორც სამხარაძემ აღნიშნა, „სტრატეგიის შემუშავების პროცესის ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანი იყო, საზღვრის მართვის საკითხები ეროვნული უსაფრთხოების შესახებ განხილვებში ყოფილიყო, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა იმავე პერიოდში უსაფრთხოების საკითხებზე ყველა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას“ (Samkharadze, 2013, გვ. 149). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სტრატეგიის განახლება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან ერთად საზღვრის მენეჯმენტის განხილვა ემპირიულად ადასტურებს სახელმწიფო დონეზე ამ საკითხის პოლიტიკურ მნიშვნელობას და პოლიტიკურ დღის წესრიგში მის აქტუალობას. მომდევნო 2014-2018 წლების საზღვრის მართვის სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2014 წელს დამტკიცდა. ეს დოკუმენტები ევროკომისიამ დადებითად შეაფასა. (European Commission Progress Report Georgia, 2015, გვ. 13).

სამართლებრივი ჩარჩოს ევროპულ ნორმებთან თავსებადობა ასევე დადებითად შეფასდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საზღვრის მართვის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო რეგულაციები - კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ (1998წ.), საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ (2013წ.), საქართველოს კანონი სასაზღვრო პოლიციის შესახებ (2006წ.), საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ (1998წ.), კანონი თავდაცვის შესახებ (1997წ.), პრეზიდენტის ბრძანებულებები ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა (European Commission, VLAP Report, 2013, გვ. 6). ვიზა ლიბერალიზაციის დიალოგის დაწყების შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი შესწორება შევიდა. მაგალითად, 2012 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო #265 ბრძანება - „სასაზღვრო წარმომადგენლის - სასაზღვრო კომისრის დებულების“ შესახებ, რომლის თანახმად, „სასაზღვრო კომისარი პასუხისმგებელია საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განხორციელებაზე, სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებასა და სასაზღვრო ინციდენტების მოგვარებაზე“ (Transparency International, 2014, გვ. 18). აღნიშნულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს კანონმდებლობა ევროპულ რეგულაციებთან და „ამ სფეროში მოთხოვნების შესრულებასთან“ (Chkhikvadze and Mrozeck, 2014, გვ. 5). ასევე, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშებში ევროკომისია დადებითად აფასებს არა მარტო აღნიშნული სამართლებრივი აქტების განვითარებას, არამედ მათი განხორციელების პროცესსაც (2015a, გვ. 3).

საზღვრის მართვის საკითხებთან დაკავშირებული მმართველობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, კოორდინაციის მექანიზმებისა და ადმინისტრაციული რესურსების გაძლიერება განხორციელებულ ცვლილებებში აისახა. რეფორმირება დაიწყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის პარალელურად და გააქტიურდა მომდევნო წლებში. სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, რომელიც ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2006 წელს დაერქვა სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტი. ნიკოლოზ სამხარაძემ, 2010-2017 წლებში საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამების მენეჯერმა, ინტერვიუში აღნიშნა, რომ 2006 წელს ახალმა მოსულმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ სასაზღვრო სისტემის რეფორმირება განხორციელებინა და გარდაექმნა ის სამხედრო უწყებიდან სამართალდამცავ უწყებად. თავდაპირველად, აღნიშნული ინიციატივა ეფუძნებოდა გერმანულ მოდელს და ევროკავშირის ექსპერტები ამ პროცესში ჩართულები არ იყვნენ. ხოლო შემდგომ ეს პროცესი დაემთხვა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დაწყებას (ინტერვიუ 2). რეფორმები გაგრძელდა 2008 წელსაც, როდესაც საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საპატრულო პოლიცია პასუხისმგებელი გახდა სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე განხორციელებულ ოპერაციებზე. აღნიშნული გადაწყვეტილება აუცილებელი იყო, რათა „თავიდან აეცილებინათ ფუნქციების გადაფარვა და დამატებითი ხარჯების გაწევა“ (Pataria, 2011, გვ. 62). ამ ცვლილებების შედეგად, კონსოლიდაცია მოხდა სხვადასხვა სამთავრობო უწყებების, რომლებიც საზღვრების მართვის საკითხებში უფლება-მოვალეობებს ინაწილებდნენ. ამან გამოიწვია მათ შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარება. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული საკითხი ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა. „დღეს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია არის სრულფასოვანი სამართალდამცავი ორგანო ისევე, როგორც საპატრულო პოლიცია. ორივე მათგანის ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია: შსს-ს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია პასუხისმგებელია სახმელეთო საზღვრის დაცვასა და სანაპირო დაცვაზე მაშინ, როცა საპატ-

რულო პოლიციის ამოცანაა სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სახელმწიფო საზღვრის კონტროლი” (ინტერვიუ 2). უწყებათაშორის თანამშრომლობას ხელს უწყობს ერთობლივი ბრძანებები, რომელიც არსებობს როგორც შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს შორის, ასევე იუსტიციის, საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შიგნით. კოორდინაცია კიდევ უფრო გაიზარდა თანამშრომლობის მემორანდუმით „საპატრულო პოლიციისა და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტსა და შემოსავლების სამსახურს შორის თანამშრომლობის ძირითადი ნესების შესახებ“, რომლის თანახმადაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტები ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში, შემოსავლების სამსახური ერთობლივად არის პასუხისმგებელი საზღვრების მართვაზე (Transparency International, 2014, გვ. 18; European Commission, VLAP Report, 2013, გვ. 6). ამასთანავე, დაარსდა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავდა საზღვაო საკითხებში კოორდინაციის გაძლიერებას (Samkharadze, 2013, გვ.150; State Minister Office of Georgia Report, 2014, გვ. 99). ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საზღვრის მენეჯმენტში ჩართული უწყებების ცოდნისა და უნარების ამაღლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფდა. ნიკოლოზ სამხარაძემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ, სწორედ, ეს წარმოადგენდა რეფორმების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. თავიდან შსს-ს აკადემია ყურადღებას ამახვილებდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგებზე და სასაზღვრო დაცვის თანამშრომლებს მხოლოდ მოკლე კურსებს სთავაზობდა. 2012 წლის შემდეგ, ამ კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდა აკადემიის მმართველის ძალისხმევით. თუმცა, კარიერული განვითარების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი არის გასაუმჯობესებელი (ინტერვიუ 2). ეთიკის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნების საპასუხოდ კი, 2013 წელს სასაზღვრო პოლიციის, საპატრულო პოლიციისა და საბაჟო ოფიცრებთან დაკავშირებული რამდენიმე კოდექსი იქნა მიღებული (European Commission, VLAP Report, 2013, გვ. 7).

სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის კუთხით, მცირე პროგრესი აღინიშნება. სამეზობლო ქვეყნებს შორის თურქეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც საზღვარი სრულიად დემარკირებული და დელიმიტირებულია. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს სომხეთთან და აზერბაიჯანთან. თუმცა, რუსეთთან არსებული ვითარება ჩიხშია შესული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში ხელშესახები შედეგები მიღწეული არ არის, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ეს ორმხრივი პროცესია და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების დადანიშნულება არასწორი იქნება“ (Samkharadze, 2013, გვ. 149). რაც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობას, საქართველომ შეასრულა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპულ სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობის 2013-2016 წლების გეგმა. აგრეთვე შეიქმნა სასაზღვრო კომისრების შესახებ ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიები, რაც ორმხრივ ფორმატში სომეხ და აზერბაიჯანელ წარმომადგენლებთან განიხილებოდა (European Commission, VLAP Report, 2014, გვ. 3).

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საზღვრის მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნები არის ძალიან მკაფიო, ნათელი და საკმაოდ ჰგავს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში მოცემულ ნინაპირობებს. თუმცა, ეს უკანასკნელი უფრო დეტალურად განიხილავს აღნიშნულ საკითხებს, რაც ხაზს უსვამს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში სამიზნე ქვეყნისთვის ნაყენებული მოთხოვნების თანმიმდევრულობისა და სწორად განსაზღვრული პირობების მნიშვნელობას. 2000 წლიდან საზღვრის მართვის საკითხები ნახსენებია ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, რასაც საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს. ბრიუსელის პირობითობა კიდევ უფრო გაძლიერდა აღმოსავლეთ პარტნიორობის შექმნის შემდეგ, რომელიც დანიშნაურებულ ქვეყნებთან ვიზა ლიბერალიზაციის პერსპექტივასაც მოიაზრებდა. 2011 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის განცხადების თანახმად, „ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ეტაპობრივად გადადგამენ ნაბიჯებს უვიზო მიმოსვლის რეჟიმისაკენ, თითოეული შემთხვევის განხილვის შედეგად, იმ პირობით, თუ უსაფრთხო და კარგად მართული მობილობა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ორი ფაზის შესაბამისად იქნება უზრუნველყოფილი“ (EaP Summit Declaration, 2011, გვ. 4). მოტივაციის მიცემის შემდეგ ევროკავშირს კიდევ უფრო მეტად შეეძლო, პოზიტიური ცვლილებებისთვის მეტი ზეწოლა მოეხდინა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ურთიერთობების გაღრმავება სურდათ. თუმცა, როგორც ემპირიული მასალები გვიჩვენებს, ევროკავშირის პირობითობა არ იყო უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა საზღვრის მართვის სფეროში რეფორმების გატარებისათვის. საყურადღებოა, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთთან დროის თვალსაზრისით თანხვედრაში არ არის. ცვლილებები აღნიშნულ სფეროში 2006 წლიდან ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პარალელურად დაიწყო (Pataria, 2011, გვ. 62). ნიკო-

ლოზ სამხარაძის თქმით, „როცა ჩვენ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე დიალოგი დავიწყეთ, საზღვრის მენეჯმენტთან დაკავშირებული რეფორმების პროცესი უბრალოდ გრძელდებოდა. ფაქტობრივად, სამოქმედო გეგმის მიღებამდე ევროკავშირის მრავალი სტანდარტი უკვე დანერგილი იყო. ჩემი აზრით, ვიზა ლიბერალიზაციას არ მოუცია სტიმული ამ სფეროში ცვლილებები განხორციელებულიყო, რადგან ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო“. შესაბამისად, ევროპეიზაცია სხვა ფაქტორებით უნდა აიხსნას. როგორც საქართველოს მაგალითი აჩვენებს, საშინაო პოლიტიკურ დღის წესრიგთან „შესაბამისობამ“ და ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო აქტორების მხრიდან უფრო მეტი ფინანსური დახმარების მიღების მოტივმა დიდი როლი შეასრულა ამ პროცესების განვითარების მხრივ.

ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს საზღვრის მართვის უწყებებს, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ სფეროს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზებას. სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამა (SCIBM) შეიქმნა ევროკავშირის დაფინანსებით ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დაარსების შემდეგ. იგი მიზნად ისახავდა რეგიონში საზღვრის სტრატეგიული მენეჯმენტის გაძლიერებას. პროექტი განხორციელდა 2010-2012 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) პარტნიორობით. მისი საერთო ბიუჯეტი 6 მლნ. ევროს შეადგენდა და მოიცავდა აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს. როგორც საქართველოში UNDP-ის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამების მენეჯერმა აღნიშნა, პროექტი სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო: სამართლებრივი ასპექტები, ინფრასტრუქტურული განვითარება, ტრენინგები, საზღვრის კვეთის პუნტების პილოტირება და ა.შ. ეს იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პირველი პროექტი ამ სფეროში (ინტერვიუ 2). საქართველოში იგი ასევე მხარს უჭერდა საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავებისა და განვითარების პროცესს (European Commission Progress Report Georgia, 2010, გვ. 15). თუმცა, ტექნიკური დახმარება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სასაზღვრო რეფორმების მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საქართველოში 2005 წლიდან არსებობდა, საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ევროკავშირმა დამატებით ორი პროექტი დააფინანსა სომხეთთან: ერთი, „საზღვრის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება ნინოწმინდა-ბავრა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე“ (European Commission Progress Report Georgia, 2012, გვ.12) და მეორე სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო პუნქტზე. ამასთანავე, ევროკავშირის მხარდაჭერით აზერბაიჯანთან ორი პროექტი ხორციელდებოდა: 2014 წელს დაიწყო საზღვრის ინტეგრირებული მართვის წამოწყების საპილოტე პროგრამა სახმელეთო საზღვარზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში (EPIBIM) (State Office on European and Euro-Atlantic Integration Report, 2012, გვ. 54). მეორე პროექტი მიზნად ისახავდა ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლის გაუმჯობესებას საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ნითელი ხიდის გამტარ პუნქტზე და მოიცავდა 2016-2020 წლებს (European Union External Action Service, Press Release, 2017). უფრო მეტიც, აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერის ფარგლებში (EaP IBM FIT), საქართველოში საზღვრის მართვაში ჩართული უწყებების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და სემინარები, რამაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონში საზღვართან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობას (State Office on European and Euro-Atlantic Integration Report, 2012, გვ. 53). ევროკავშირის მხრიდან უფრო და უფრო მეტი ფინანსური დახმარება მოტივაციას აძლევდა საქართველოს უწყებებს, განხორციელებინათ რეფორმები. მათ დაინახეს, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოება გაზრდილი ფინანსური დახმარების მიღების საწინააღმდეგო იყო. ქართული მხარე განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ინფრასტრუქტურული განვითარებით, რადგან საზღვრის დაცვის თანამშრომლებს რთულ პირობებში უწევდათ მუშაობა. თავიდან ევროკავშირი ინფრასტრუქტურაში ინვესტიციისგან ჩადებისაგან თავს იკავებდა. თუმცა, მას შემდეგ რაც ქვეყანამ პროგრესს მიაღწია, მისი დაფინანსებაც უზრუნველყო. დამატებით გამოჩნდა ფინანსური დახმარების მიღების ახალი შესაძლებლობა პროგრამა „მეტი მეტისათვის“ სახით“ (ინტერვიუ 1). ამ ინიციატივის ფარგლებში, 2012 წელს საქართველოს მთავრობამ 12 მლნ. ევრო მიიღო საზღვრის მართვისა და მიგრაციის სფეროში რეფორმების განსახორციელებლად (State Office on European and Euro-Atlantic Integration, Official Website, EU Financial Assistance). შესაბამისად, საქართველოს წინსვლას ევროკავშირმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. საზღვრის მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ასპექტების ევროპეიზაციის გარდა, სასაზღვრო გამტარი პუნქტები და ინფრასტრუქტურა ევროპული სტანდარტების მიხედვით იქნა მოდერნიზებული. ეს მნიშვნელოვანი იყო შემომსვლელი და გამსვლელი ნაკადების ორგანიზებული მიმოსვლისთვის (ICMPD, 2015, გვ. 14).

ფაქტები ცხადყოფს, რომ საზღვრის მართვის სფეროში საქართველოს პროგრესსა და ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერას შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს. თუმცა, მხოლოდ ევროკავშირის დახმარებას არ შეუძლია, პოლიტიკის მიმართულების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზეზები ახსნას. ხსენებული პროცესის ანალიზისას გასათვალისწინებელია საშინაო პოლიტიკურ დღის წესრიგთან „შესაბამისობის“ ფაქტორი და სხვა საერთაშორისო აქტორების როლი. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზღვრის მართვის რეფორმები 2006 წლიდან ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პარალელურად დაიწყო (ინტერვიუ 1). რეგულაციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ეს სფერო პრიორიტეტულად მიიჩნია. რეფორმების განხორციელების პოლიტიკური ნება არსებობდა და საზღვრის მართვის საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა (იქვე). სხვადასხვა საერთაშორისო დონორები და ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერას უცხადებდნენ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ანგარიშის თანახმად, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ეუთოსთან, ევროკავშირთან, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (IOM, 2008a, გვ. 43). მიუხედავად იმისა, რომ ამ საერთაშორისო აქტორების ჩართულობას რეფორმების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მათი აქტივობები ძირითადად ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ამ სფეროში მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორი აშშ-ს სახელმწიფო უწყებებიც იყო, რომელიც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის განვითარებას მხარს უჭერდა. მისი დახმარება ძირითადად ტრენინგებსა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების აღჭურვილობის გაუმჯობესებაზე იყო მიმართული. (Pataria, 2011, გვ. 63). ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, „ამერიკის უწყებებმა უზრუნველყო ყველა სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო საზღვრის გამშვები პუნქტების რადიაციული დეტექტორებით აღჭურვა; [...] სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროექტისა და „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის“ (GBSLE) ფარგლებში, შესყიდულ იქნა დოკუმენტების ინსპექტირების მოწყობილობა: პასპორტების ნამკითხავი მექანიკური აპარატი, მონომიკროსკოპული ვიდეოსპექტრული კომპარატორები და სხვ. (2012, pp. 52-53). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს პროგრამის ოფიცრის ბ-ნი ჰულსტის თქმით, აშშ მნიშვნელოვანი დონორი იყო და ევროკავშირთან მჭიდროდ თანამშრომლობდა საზღვრის მართვის სფეროში დაფინანსების განაწილებაში (ინტერვიუ 3). ამ მიმართულებით საქართველო რეფორმებს არა მხოლოდ ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებდა, არამედ ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებშიც (ICMPD, 2015, გვ. 14). აღსანიშნავია, რომ ცვლილებები 2005 წლიდან დაიწყო და დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველო 2004 წლის ნატოს სტამბოლის სამიტზე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ინიციატივას ოფიციალურად შეუერთდა. ნატოში ინტეგრაციისკენ სწრაფვა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. მხარეებს შორის ურთიერთობები ვარდების რეგულაციის შემდგომ უფრო გააქტიურდა. ორგანიზაციის წევრობა ქვეყნის პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია (Ministry of Foreign Affairs of Georgia, Official Website, 2014). უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნატოში ინტეგრაცია მნიშვნელოვანია განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის შედეგად სეცესიონისტური რევიონების გამო. შესაბამისად, ნატოსთან ინტეგრაცია საქართველოს ხელისუფლებისათვის დამატებით მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა. საქართველოს იმდროინდელმა თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ 2010 წელს ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრაზე აღნიშნა, რომ „საქართველო მზად არის, წარმატებით განახორციელოს რეფორმების პროცესი და ნატოსთან ინტეგრაციული პროცესების დასაჩქარებლად პარტნიორობის არსებული ყველა მექანიზმი გამოიყენოს“ (Ministry of Defence, Official Website, NATO-Georgia Commission, 2010). 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნატოში ინტეგრაცია ისევ პოლიტიკურ პრიორიტეტად დარჩა. ახალი პრემიერ-მინისტრი ხშირად აღნიშნავდა, რომ ნატოსთან კავშირების განმტკიცება სურდა. უფრო მეტიც, 2014 წლისთვის ის სამოქმედო გეგმის აღებას ისახავდა მიზნად (Kucera, 2013). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობებმა ევროკავშირის რესურსები საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად აითვისეს, რადგანაც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის საზღვართან დაკავშირებულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შესაბამისად, პოზიტიურ ცვლილებებს იმ ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რომ აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის მოთხოვნები საშინაო დღის წესრიგს ემთხვეოდა.

ემპირიული მაგალითი უკრაინიდან

ევროკავშირის მოთხოვნები ზემოდან ქვემოთ მიმართული ადაპტაციით გამონვეული ზენოლა ევროკავშირის პირობითობის მექანიზმის გამოყენებით

ევროკავშირისა და უკრაინის თანამშრომლობის დღის წესრიგში მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენდა. საზღვრის მართვის სფეროში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესის შესწავლა შესაძლებელია ისეთი მასალების ანალიზის საფუძველზე, როგორებიცაა ევროკავშირისა და უკრაინის შორის გაფორმებული შეთანხმებები, მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები და ევროკომისიის მიერ შემუშავებული ქვეყნის პროგრესის შეფასების ანგარიშები. 1994 წელს უკრაინამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც 1998 წლიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავდა თანამშრომლობის მიზნებს მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების საკითხების ირგვლივ, რომელიც „მხოლოდ შიდა ბაზართან დაკავშირებული სამართლებრივი ჰარმონიზაციით შემოიფარგლებოდა“ (Gawrich, Melnykovska and Schweickert, 2010, გვ. 1224). მომდევნო წლებში უკრაინასა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების მიმართულებით, განსაკუთრებით კი საზღვრების მართვის მხრივ, რეგულირდებოდა დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმებით (2001 წ., განახლდა 2007 წელს), რაც ხაზს უსვამს უკრაინისათვის ევროკავშირის მოთხოვნების მნიშვნელობას.

ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, 2005 წელს შემუშავდა ერთობლივი სამოქმედო გეგმა უკრაინასთან. დოკუმენტში საზღვართან დაკავშირებულ მოთხოვნებთან ნახსენებია ევროკავშირისა და უკრაინის შორის მანამდე (2001 წელს) შეთანხმებული სამოქმედო გეგმა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების შესახებ. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საფუძველს სხვადასხვა აქტივობებისათვის და, მათ შორის, მოიცავდა საზღვრის მართვის უსაფრთხოების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის განახლებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამ მიმართულებით უფრო კონკრეტული და ნათელი მოთხოვნები იყო განსაზღვრული. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სამართლებრივ რეგულირებასა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკულ დანერგვაზე. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა უფრო შესამჩნევი გახდა 2004 წლის ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, როდესაც ევროკავშირისა და უკრაინის შორის საერთო საზღვარი გაჩნდა. ევროკავშირი მოუწოდებდა უკრაინას საზღვრის მართვის სფეროში რეფორმების გატარებისკენ იმ მიზნით, რომ „გაუმჯობესებინა მიგრაციის მართვა; [...] ხელი შეეწყოს ხალხთა შორის კონტაქტისა და მოგზაურობისათვის და ამავდროულად, გაეძლიერებინა თანამშრომლობა საზღვრის მართვისა და დოკუმენტების უსაფრთხოების სფეროებში“ (EU-Ukraine Action Plan on Freedom, Security and Justice, 2007, გვ. 2-3). ევროკავშირი უკრაინას თანმიმდევრულად უყენებდა მოთხოვნებს და ხელისუფლებაზე ახორციელებდა ზენოლას უკრაინის ევროპულ სტანდარტებთან დასახლოებლად.

მართლმსაჯულებისა და საშინაო პოლიტიკის შესახებ მიღებული პირველივე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, საზღვრის მართვის საკითხები წარმოადგენდა ევროკავშირისა და უკრაინის შორის ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს. თუმცა, უფრო კონკრეტული სავალდებულო ქმედებები განსაზღვრულ იქნა 2007 წლის განახლებულ დოკუმენტსა და 2010 წლის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმებში. ევროკავშირის მოთხოვნები საზღვრის მართვის სფეროში გულისხმობდა: საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგიის მიღებას და იმპლემენტაციას; უკრაინის საზღვრების დემარკაციას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; სამართლებრივი ჩარჩოსა და საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროცედურების გაუმჯობესებას; სახელმწიფო საზღვრის სერვისების განვითარებას; საზღვრის გამტარი პუნქტების გაუმჯობესებას; სამართალდამცავი პროგრამების განხორციელებას; ეფექტური საზღვრის მართვის მხარდაჭერას; ვიზასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დიალოგის გაგრძელებას. (უფრო დეტალურად ხაზგასმულია ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში). ასევე, მოლდოვასა და უკრაინაში ევროკავშირის სასაზღვრო მხარდაჭერის მისიასთან (EUBAM) თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენდა ერთ-ერთ პირობას თითქმის ყველა სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გარდა. ყოველივე ეს შესაძლოა მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ ევროკავშირის მოთხოვნები იყო უფრო მეტად შედეგებზე ორიენტირებული და ქვეყანას შეეძლო, მიეღო ვიზა ლიბერალიზაციის სახით ბენეფიტი იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ასევე, შეიქმნა ეფექტური იმპლემენტაციის განმსაზღვრელი ინდიკატორები. უფრო მეტიც, ევროკომისიის ყოველწლიურ ანგარიშებში ევროკავშირი აქცენტს აკეთებდა აღნიშნულ სფერო-

ში ევროსტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელობაზე და თანმიმდევრული იყო შესაბამისი სამოქმედო გეგმებიდან და სტრატეგიული დოკუმენტებიდან გამომდინარე პირობების წაყენებაში. ადაპტაციით გამოწვეული ზენოლა გაძლიერდა 2010 წლიდან, როდესაც ევროკავშირმა უკრაინისათვის შეიმუშავა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და გაძლიერა საზღვრის მართვის საკითხების მონიტორინგი შესაბამისი შეფასების ანგარიშების საშუალებით.

უკრაინისათვის ევროკავშირის პირობითობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ქვეყნის მიერ ევროპული მისწრაფებების დეკლარირება. ჯერ კიდევ, 1993 წელს „ვერხოვნა რადას“ (უკრაინის პარლამენტის) გადამწყვეტილებით, „უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უკრაინის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპულ გაერთიანებაში ინტეგრაცია იმ შემთხვევაში, თუ ეს არ დააზიანებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“ (Mission of the Ukraine to the EU, Official Website). ამ კუთხით უკრაინამ პირველი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე მხარეების თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენდა.

უკრაინა წარმოადგენდა ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შექმნის შემდეგ, ის იყო მოლდოვასთან ერთად პირველი ქვეყანა, რომელმაც ევროკავშირთან სამოქმედო გეგმები შეათანხმა. გარდა ამისა, 2004 და 2007 წლებში აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად უკრაინა ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან აღმოსავლეთ მეზობლად იქცა. იქიდან გამომდინარე, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკა განეწიანების პერსპექტივას არ გულისხმობდა, უკრაინამ განაცხადა, რომ ამგვარი პოლიტიკა ქვეყნის მიერ გაკეთებულ პრო-ევროპულ არჩევანს არ შეეფერებოდა. მას უფრო მეტი სურდა, ვიდრე ევროკავშირი სთავაზობდა. „უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში ფართოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ქვეყანა, რომელიც გეოგრაფიულად ევროპის კონტინენტის ცენტრში მდებარეობს, ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში არ უნდა მონაწილეობდეს; მისი მისწრაფებები ბევრად ამბიციურია, ვიდრე ევროკავშირთან პარტნიორობის გაფორმება“ (Stegniy, 2011, გვ. 54). მეორე მხრივ, „ევროკავშირი ყოველთვის მწუხარებით აღნიშნავდა უკრაინაში პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ფრაგმენტული იმპლემენტაციის შესახებ. ეს კი ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა“ (Sasse, 2008, p. 306). ევროკავშირის პირობითობა ასევე ასახულ იქნა 2005 წლის ევროკავშირი-უკრაინის სამოქმედო გეგმაში, რომელშიც ხაზგასმული იყო შემდეგი: „ურთიერთობების განვითარების ტემპი დამოკიდებული იქნება უკრაინის მიერ განეულ ძალისხმევასა და მის კონკრეტულ მიღწევებზე საერთო ღირებულებების შესაბამისად“ (EU Ukraine Action Plan, გვ.1). ევროკავშირის დაპირებები მოიცავდა ინტეგრაციის ხარისხის ზრდას, ევროკავშირის შიდა ბაზარზე წვდომის შესაძლებლობასა და ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებების ძირითად ასპექტებში უკრაინის მონაწილეობას“ (იქვე, გვ. 2).

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ უკრაინის მხრიდან ევროკავშირთან ურთიერთობების განმტკიცების სურვილის დემონსტრირებას კეთილგანწყობით შეხვდა ევროკავშირი, რაც აისახა „10 პუნქტიან პროგრამაში“. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა თავისუფალი სავაჭრო სივრცისათვის მომზადებას, ვიზების გამარტივების შესახებ თანამშრომლობის გააქტიურებას და უფრო სიღრმისეული ხელშეკრულებების შესახებ კონსულტაციებს. ეს უკანასკნელი პირობა ევროკავშირმა შეასრულა 2007 წელს, როცა დაიწყო მოლაპარაკებები ახალი ტიპის ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც უნდა „განეახლებინა ევროკავშირისა და უკრაინის საერთო ინსტიტუციური ჩარჩო, ხელი შეეწყოს ურთიერთობების გაღრმავებისათვის, გაძლიერებინა პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია“ (EU-Ukraine Association Agenda, 2009, გვ. 2). აღნიშნული პერსპექტივა, უკრაინის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განეწიანების შემდგომ, ევროპის თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეზე წვდომასაც გულისხმობდა. ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების ტემპი დამოკიდებული იყო ქვეყნის მიერ სხვადასხვა სექტორში განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად განხორციელებულ ცვლილებებზე. ეს იყო ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი წინაპირობა. უკრაინის პროგრესს ევროკავშირი ყოველწლიურად გაუწევდა მონიტორინგს, ასახავდა მიღწევებს და შეაფასებდა შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი დღის წესრიგი განეწიანების პერსპექტივას არ მოიცავდა, ევროკავშირის პირობითობა მაინც დამაჯერებელი იყო ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი თანმხლები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ გაკეთებული დაპირების გამო.

საზღვრის მართვასთან დაკავშირებულ ევროკავშირის მოთხოვნებს რაც შეეხება, ასოცირების დღის წესრიგში (2009 წ.; განახლდა 2013 წელს) ნახსენები იყო განახლებული ევროკავშირი-უკრაინის სამოქმედო გეგმა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის საკითხების შესახებ. (ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ამ გეგმის 2001 წლის ვერსიას ეყრდნობოდა). ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამოქმედო

გეგმა „შესაძლოა გადაიხედოს იმგვარად, რომ გაძლიერდეს ევროკავშირისა და უკრაინას შორის პარტნიორობა და მხედველობაში მიიღოს მიღწეული პროგრესი, როგორც ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საკითხებში, ასევე ახალი საერთო საზღვრის მხრივაც“ (Revised EU-Ukraine Action Plan on Freedom, Security and Justice, 2007, გვ. 1). უკრაინისთვის ახალი გარდამტეხი მომენტი დადგა 2010 წელს, როდესაც ევროკავშირმა ვიზა ლიბერალიზაციის პერსპექტივა შესთავაზა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. ეს გახდა ახალი მამოძრავებელი ძალა ქვეყნის მიერ ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ვიზა ლიბერალიზაცია, შესაძლოა, ყოფილიყო საკმარისი მოტივაცია შიდა რეფორმების განხორციელებისთვის, რადგან უვიზო რეჟიმი უკრაინის ყველა ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენდა (Nizhnikau, 2015, გვ. 499; Jaroszewicz 2011 cited in Wetzels, 2016, გვ. 78).

ქვეყნის მიერ ევროპულ სტანდარტებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება უკრაინისთვის ევროკავშირის მიერ ფინანსური დახმარების ზრდის წინაპირობაც იყო. სწორედ, მისი საშუალებით შექმნა ევროკავშირმა ცვლილების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. 2007-2013 წლებში ევროკავშირმა უკრაინას ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში 1 მილიარდი ევრო გამოუყო. უფრო მეტიც, უკრაინას შეეძლო, ესარგებლა დამატებითი ფინანსური დახმარებით „მეტი-მეტისათვის“ პროგრამის საშუალებით, რაც გულისხმობს სტიმულზე დაფუძნებულ მექანიზმს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობაში მიღწეული პროგრესის ნასახალისებლად (European Commission. 2016. Countries of the Region. Ukraine).

ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება: ინსტიტუციური და პოლიტიკური მიმართულებების თავსებადობა და განხორციელებული შიდა ცვლილებები

საზღვრების მართვის სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობა ძირითადად განპირობებულია უსაფრთხოების საკითხებითა და პრობლემებით, რასაც ქმნის არალეგალური იმიგრაცია უკრაინიდან ევროკავშირში. მეზობელ ქვეყნებს შორის უკრაინა არალეგალური მიგრანტებისათვის მთავარ სატრანზიტო ქვეყნად რჩება (Filippova, 2016, გვ. 73; IPP, IDSI “Viitorul” & ICPS, 2008, გვ. 35). არალეგალურ მიგრანტთა დაკავებისა და საცხოვრებლის გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო უკრაინა მათ მხოლოდ სასაზღვრო გამშვინ პუნქტებზე აკავებდა. ორი მისიის პერიოდში მიღებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის ხელისუფლება აკავებდა არალეგალური მიგრანტების მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლებიც ტერიტორიის გადაკვეთას ცდილობდნენ (ICMPD, 2006, გვ. 13). „არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის“ კუთხით საზღვრის მართვის საკითხებში თანამშრომლობა არის მთავარი იარაღი, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნების მიმართ გააჩნია „კონკრეტული მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საზღვრის კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნებში“ (Wunderlich, 2013, გვ. 29). უკრაინა, რომელიც ესაზღვრება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს - პოლონეთს, სლოვაკეთს, უნგრეთსა და რუმინეთს, ევროპის კონტინენტისათვის წარმოადგენდა გამონევენას სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, „არასრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს, დაუსრულებელი დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესების, ეფექტური ინფრასტრუქტურის არარსებობისა და ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ გამო“ (Sushko, 2006, გვ. 45). სწორედ, ამ ფაქტმა უბიძგა ევროპულ პარტნიორებს, უკრაინის მთავრობისთვის მოეთხოვათ სამართლებრივი და ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება საზღვრის მართვის სფეროში და, ამავდროულად, მიენოებინათ ტექნიკური და ფინანსური დახმარება საზღვრის კვეთასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხების გასაუმჯობესებლად.

ევროკავშირის მოთხოვნები საზღვრის მართვის საკითხებში ძირითადად დაკავშირებული იყო საზღვრის მართვის სტრატეგიის მიღებასთან, განვითარებასთან და განხორციელებასთან; უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებასთან; სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებასთან; ადმინისტრაციული შესაძლებლობის ეფექტურობის ზრდასთან; საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესების მხარდაჭერასთან; ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან და ა.შ. აღნიშნული მოთხოვნები თანმიმდევრულად არაერთგზის იყო გამეორებული ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში - 2001 წლიდან მოყოლებული ევროკავშირისა და უკრაინას შორის მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხებში ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ჩათვლით.

ევროკავშირის მიერ უკრაინისათვის განეული მხარდაჭერა საზღვრის მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეფორმირებისათვის მნიშვნელოვანი იყო. პირველ რიგში, მან უზრუნველყო ტექნიკური

დახმარება სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის მოდერნიზაციისათვის, რაც განხორციელდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობით. 2005 წლიდან ამოქმედდა FRONTEX და წარმოადგენს „ევროკავშირის უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია ოპერატიული თანამშრომლობის კოორდინირებაზე ევროკავშირის გარე საზღვრის გასწვრივ“, განსაკუთრებით კი რუსეთთან და აღმოსავლეთ პარტნიორობასთან (Sagrera, 2014, გვ. 171). უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური თანამშრომლობს და FRONTEX-თან ერთობლივ ოპერაციებზე, რომელიც სრულიად ფარავს ევროკავშირის საზღვარს უკრაინასთან „ხუთი საზღვრის“ ერთობლივი საპილოტე პროგრამის ფარგლებში (Commission of the European Communities, Progress Report Ukraine, 2009, გვ. 12). FRONTEX-ის გარდა, ევროკავშირის მხრიდან საზღვრის ინტეგრირებული მართვის მხარდაჭერა ხორციელდებოდა ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისიის (EUBAM) მეშვეობითაც. 2005 წელს შეიქმნა EUBAM კონფლიქტის მოგვარების მხარდაჭერის მიზნით და მისი მანდატი გულისხმობდა მოლდოვისა და უკრაინის სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების მხარდაჭერას ისეთი საკითხების მიმართულებით, როგორცაა „არარეგულარული მიგრაციის ნაკადების შემცირება, საზღვრებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ სფეროში სიახლეების ე.წ. „know-how“-ს დანერგვა“ (Sagrera, 2014, გვ.171). აღსანიშნავია, რომ EUBAM-ი მხარდაჭერას უზრუნველყოფდა აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის საშუალებით (EUBAM 2011). ამასთანავე, უკრაინა მონაწილეობდა 2007-2013 წლების პერიოდისთვის განსაზღვრული საზღვრებში თანამშრომლობის იმ პროგრამებში, რომელიც მიღებულ იქნა 2008 წელს: რუმინეთი-მოლდოვა-უკრაინა 126.718 მლნ. ევროს ოდენობის ბიუჯეტით, პოლონეთი-ბელორუსი-უკრაინა (186.201 მლნ. ევრო) და შავი ზღვის აუზი (17.306 მლნ. ევრო) (Olga Filippova, 2016, გვ. 75). ვიზის შესახებ დიალოგის დაწყებისა და საზღვრის მართვის სფეროში ევროპულ მოდელთან და პრაქტიკასთან დაახლოების პროცესში კონკრეტული პირობების წაყენების შემდგომ 2011-2017 წლების პერიოდში უკრაინას ევროკავშირის სექტორული ბიუჯეტიდან 66 მლნ. ევრო გამოეყო (Mission of Ukraine to the European Union, Official Website, EU's assistance to Ukraine). ამან ხელი შეუწყო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიისა და მისი თანხლები სამოქმედო გეგმის განხორციელებას (European Commission, Progress Report Ukraine, 2013, გვ. 14). აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის ფარგლებში, რომელსაც ითვალისწინებდა ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტი, ევროკავშირმა 2016 წელს გამოყო ფინანსური დამხარება 4750000 ევროს ოდენობის ბიუჯეტით საზღვრის ინტეგრირებული მართვის გაძლიერებისათვის მოლდოვა-უკრაინის საზღვარზე (European Commission, Annex 1 of the Commission Implementing Decision on the ENI East Regional Action Programme 2016 Part II). იმის შესაფასებლად თუ რამდენად უზრუნველყო უკრაინამ აღნიშნული დახმარების ეფექტურობა, ერთ-ერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს გარე დახმარების პოზიტიური გავლენის კარგ მაგალითს (Shamray, 2012, p. 12). „ერთი მხრივ, ევროკავშირმა უკრაინას დახმარება გაუწია სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიგრანტთა დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრების მშენებლობას CBMM-ის, READMIT BOMUK-ისა და GUMIRA-ს პროექტების საშუალებით. მეორე მხრივ, HUREMAS პროექტებმა წვლილი შეიტანა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განვითარებასა და მის ეტაპობრივ გარდაქმნაში სამხედრო ტიპის ორგანიზაციიდან ევროპული ტიპის სამართალდამცავ ორგანოდ“ (იქვე).

საზღვრის მართვის განვითარებაში, ევროკავშირის გარდა, ჩართული იყო სხვა საერთაშორისო აქტორებიც, მათ შორის, აშშ, გაერო, ეუთო და საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტო. 2007 წელს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის ადმინისტრაცია, საერთაშორისო დახმარების ფარგლებში, 26 პროექტის ბენეფიციარი იყო (IPP, IDSI “Viitorul” & ICPS, 2008, გვ. 38). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კიევის ოფისის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „აშშ, როგორც დონორი, USAID-ის საშუალებით, აქტიურად მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, საზღვრების უსაფრთხოებას“ (ინტერვიუ 4). აშშ-ს ინვესტირებამ ევროპის აღმოსავლეთ საზღვარზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა, განსაკუთრებით 2014 წლის მარტში რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში განვითარებული სიტუაციების შემდგომ. ამ მოვლენების შედეგად „2015 წლის მაისის მდგომარეობით დაახლოებით 2 მლნ. ადამიანი იძულებით იქნა გადაადგილებული, მათ შორის, 1.3 მლნ. დევნილი იყო“ (Düvell and Lapshyna, 2015). როგორც უკრაინის CEDOS-ის ანალიტიკოსმა აღნიშნა, „აშშ დახმარებას უწევს უკრაინის აღმოსავლეთ საზღვარზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი აღჭურვილობის უზრუნველყოფას და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას“ (ინტერვიუ 6).

ევროკავშირის ამ ქმედებებსა და შიდა ცვლილებებს შორის პოზიტიური კორელაციაა. „საზღვრები გახდა სულ უფრო დაცული, განსაკუთრებით კი დასავლეთ საზღვარი, რომელიც წარმოადგენს უკრაინისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საერთო საზღვარს. პროგრესი მიღწეულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით და სასაზღვრო უწყებების წარმომადგენლების შესაძლებლობები წინა წლებთან შედარებით ბევრად გაიზარდა; გაუმჯობესდა საზღვრის მცველების პროფესიონალიზმის დონე. 2015 წელს ქვეყანამ წვდომა მიიღო INTERPOL-ის მონაცემთა ბაზაზე. უკრაინაში ჩამსვლელ და ქვეყნიდან გამსვლელ უცხოელთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა იდენტიფიკაციისა და მოგზაურობის დოკუმენტების შესამოწმებლად რამდენიმე ხაზი არსებობს“ (ინტერვიუ 4). თუმცა, რეფორმები ძირითადად 2006 წლიდან დაიწყო და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და ვიზის შესახებ დიალოგის პარალელურად გაგრძელდა. პირველ რიგში, 2006 წლის აპრილში ხელისუფლებამ შეიმუშავა უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის განვითარების კონცეფცია იმ მიზნით, რომ „შექმნილიყო სახელმწიფოს საზღვრის დაცვის თანამედროვე ინტეგრირებული სისტემა“ (cited in EWB, 2012, გვ. 108). შედეგად, აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონე გაიზარდა, ხოლო კარიერული განვითარების სისტემა მეტად გამჭვირვალე და დაფასებაზე ორიენტირებული გახდა. სამართლებრივ ცვლილებებთან დაკავშირებით კი, შეიძლება ითქვას, რომ არაერთი კანონი შემუშავდა ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებულთან (acquis) შესაბამისობაში მოსაყვანად. მნიშვნელოვანია, რომ 2007 წელს მთავრობამ მიიღო რეზოლუცია სამართალდარღვევების პროგრამის შესახებ - „სახელმწიფო საზღვრის ორგანიზება და რეკონსტრუქცია 2015 წლამდე“, რომელიც მიზნად ისახავდა კანონმდებლობის განახლებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და პერსონალის გადამზადებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 133 მლნ. გამოიყო (Commission of the European Communities, Progress Report Ukraine, 2006, p. 13; Commission of the European Communities, Progress Report Ukraine, 2008, გვ. 13). შედეგად, „საზღვრების კონტროლის შესახებ კანონი“ მიღებულ იქნა 2009 წელს, ხოლო 2010 წელს შესწორებები შევიდა, რომელსაც ასევე ახლდა იმპლემენტაციის სხვადასხვა რეგულაციები. 2011 წელს შეიქმნა საზღვაო საზღვრის დაცვის კონცეფცია და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის საავიაციო მიმართულება (VLAP Progress Report Ukraine, 2011, გვ. 4). უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაზრდის მიზნით, 2011 წლის 4 იანვარს გამოიცა სახელმწიფო საბაჟო სამსახურისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის ადმინისტრაციის ერთობლივი ბრძანება, რომელიც განსაზღვრავდა ინფორმაციის გაცვლის პროცედურებს და აწესებდა კოორდინაციის მექანიზმებს (იქვე). ამავდროულად, უკრაინამ შეასრულა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მოთხოვნა ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობისათვის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში და, შესაბამისად, 2010 წელს მიიღო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია 2011-2015 წლებისათვის (European Commission, Progress Report Ukraine, 2011, გვ. 15), რომლის განხორციელებას ევროკავშირი ხელს უწყობდა 66 მლნ.-იანი სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამით (European Commission, Progress Report Ukraine, 2013, გვ. 14). როგორც ევროკომისიის მონიტორინგის მისიამ აღნიშნა, საზღვრის ინტეგრირებული მართვის კონცეფცია და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმა წარმოადგენდა უკრაინის ძლიერ მცდელობას, რომ საზღვრის დაცვის სამსახური სამართალდამცავ ორგანოდ გარდაექმნა (VLAP Progress Report Ukraine, 2012, p. 6). ამასთანავე, მომდევნო საზღვრის ინტეგრირებული მართვის კონცეფცია 2016-2020 წლებისათვის დამტკიცდა უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ (Official Website of EUAM Ukraine, 2016).

აღნიშნული რეფორმების შედეგად, უკრაინაში გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსის შესაძლებლობები და განხორციელდა არაერთი პოზიტიური ცვლილება, მომსახურება გაუმჯობესდა პერსონალთა პროფესიონალიზმის ზრდის საფუძველზე. საგრერა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „უკრაინის ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური ყველაზე განვითარებულ ორგანოდ არის მიჩნეული, რომელიც ახორციელებს კონტროლს ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ის არის წამყვანი უწყება ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში (Sagrera, 2014, გვ. 179). ამ სფეროში დასაქმებულთა უნარების გასაუმჯობესებლად, 2008 წელს მიღებულ იქნა „ეთიკის კოდექსი სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურისათვის“, ხოლო 2011 წელს - „ქცევის კოდექსი“. ტრენინგი და პერსონალთა კვალიფიკაციის ამაღლება გააქტიურდა 2010 წლიდან (VLAP Progress Report 2012, გვ. 6-7). საზღვრების დემარკაციის პროცესი უკრაინამ ბელარუსთან დაიწყო 2014 წელს, ხოლო რუსეთთან - 2012 წელს, რომელიც ძალიან ნელა მიმდინარეობდა. რაც შეეხება უკრაინასა და მოლდოვას შორის საზღვრების დემარკაციას, ის თითქმის დასრულებული იყო 2013 წლის ბოლოსათვის (European Commission, Progress Report Ukraine, 2014, გვ. 17). თუმცა, მდგომარეობა გართულდა 2014 წლიდან, როდესაც უკრაინამ დაკარგა კონტროლი რუსეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე ყირიმსა და სევასტოპოლში. შეცვლილი სიტუაციის გამო, „რესურსები მიმართული იყო აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოებაზე“

(VLAP Progress Report, Ukraine, 2015a, გვ. 3). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი მოუწოდებდა უკრაინას ზომები მიეღო საზღვრების დემარკაციისა და დელიმიტაციის მიმართულებით თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საკითხებში (FSJ) 2007 წელს განახლებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში. თუმცა, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ამ სფეროში კონკრეტულ მოთხოვნებს არ შეიცავდა. მიღწეული პროგრესი წარმატებად იქნა შეფასებული ევროპული კომისიის მიერ ვიზის შესახებ დიალოგის ფარგლებში და 2015 წელს უკრაინამ მიაღწია საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტანდარტს/ნიშნულს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით (VLAP Report Ukraine, 2015b, გვ. 4). EWB-ის აღმასრულებელი დირექტორის სუშკოს შეფასებით საზღვრების მართვის სფერო წარმატების ერთ-ერთი მაგალითი იყო: „საზღვრის ინტეგრირებული მართვის თანამედროვე კონცეფცია დაინერგა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან გზას საზღვრების კონტროლისა და ზედამხედველობისათვის, რაც გულისხმობდა რისკების შეფასებასა და კვლევას, ტრანსნაციონალური დანაშაულის გამოძიებას სამართალალსრულების უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე და მესამე ქვეყნებთან ერთად საერთო ზომების მიღებას“ (ინტერვიუ 5). ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და აღმოსავლეთ საზღვრებთან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რისკის ანალიზის სისტემა შესაძლებლობას აძლევდა სამართალალსრულების ორგანოებს, მიეღოთ ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები კრიმინალის აღმოჩენის, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და ადამიანებისა და საქონლის ლეგალური გადაადგილების გამარტივების მიზნით (ibid).

შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ უკრაინაში საზღვრის მართვის სფეროში პოზიტიური განვითარების მიზეზი ევროკავშირის მიერ შექმნილი სტიმულები იყო. ამ ახსნას ასევე ამყარებს ემპირიული ფაქტები - ის ზომები, რომელიც მიღებულ იქნა რეფორმირების პროცესში, სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან და ევროკავშირის მოთხოვნებთან. ამასთანავე, პროგრესი შეიმჩნეოდა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებისას. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „ევროკავშირთან ორმხრივმა თანამშრომლობამ გამოიწვია უკრაინის პროგრესული რეფორმები მიგრაციისა და საზღვრების მართვის პოლიტიკის მიმართულებით“ (Kulchytska, Sushko, Solodko, 2016, გვ. 4). ამ არგუმენტის მიუხედავად, შიდა პოლიტიკური კონტექსტის დეტალური ანალიზი ამტკიცებს, რომ ცვლილებები გამოწვეული იყო პოლიტიკური ელიტის მიერ დანახარჯისა და სარგებლის ანალიზის შედეგად, რაც ეხმიანება ევროპეიზაციის პროცესის რაციონალისტურ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები, შესაძლოა, საკმაოდ „ხარჯიანი“ იყო, საზღვართან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედს და, შესაბამისად, სარგებელიც საკმაოდ თვალსაჩინო გახლდათ. დასამტკიცებლად საკმარისია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პოლიტიკა საშინაო დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა იუშჩენკოს, იანუკოვიჩისა და პოროშენკოს პრეზიდენტობის პერიოდებში. ფაქტობრივად, არ ჰქონდა მნიშვნელობა „პოლიტიკოსებს პრო-ევროპული ხედვები ექნებოდათ თუ პრო-რუსული. უკრაინის საზღვრები და სასაზღვრო ტერიტორიები ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ერის არსის განსაზღვრაში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი, ევროპული ან სლავური, იდენტობის ნაწილად იქნებოდა მოაზრებული“ (Filippova, 2016, გვ. 68). ევროკავშირის მოთხოვნები კარგად ერწყმოდა შიდა პოლიტიკურ პრიორიტეტებს და, შესაბამისად, ევროკავშირის ჩართულობა წარმატებით იყო გამოყენებული ამ მიმართულებით. საზოგადოებრივ საქმეთა უკრაინული ინსტიტუტის დირექტორმა ვიქტორ ჩუმაკმა აღნიშნა, რომ „ევროკავშირისა და უკრაინის თანამშრომლობა ამ სფეროში [საზღვრების მართვაში] განპირობებული იყო მხარეების საერთო ინტერესებით, რომ უკეთესად ემართათ უკრაინის ტერიტორიიდან მომავალი მიგრაციის დიდი ნაკადები“ (Shamray, 2012, გვ. 12).

ასევე, საზღვრის მართვის სფეროში განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი მოტივი დაკავშირებულია ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის მიერ უკრაინის, როგორც „ევროკავშირისათვის მიგრაციული საფრთხის“ აღქმასთან. (EurActiv, 2015, commentary by EWB). სოლოდკოს აზრით, „ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის პერიოდში, ევროკავშირში მიმდინარეობდა დისკუსიები იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინა იყო მაღალი რისკის მქონე ქვეყანა მიგრაციის თვალსაზრისით, რამდენადაც ის წარმოადგენდა სატრანზიტო ქვეყანას ევროპისთვის. ევროკავშირში უცხოელების არალეგალური მიგრაციის პრევენციის ფარგლებში, უკრაინამ განახორციელა ცვლილებები თავის საზღვრებზე, დაინერგა IT ტექნოლოგიები და განაახლა აღჭურვილობა“ (ინტერვიუ 6). თუმცა, მდომარეობა კიდევ უფრო გართულდა ყირიმში არსებული ვითარებისა და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გამო. ევროკავშირისათვის უკრაინიდან მომავალი „მიგრაციის რისკის“ შეფასებისას სამოქალაქო ინიციატივის „ევროპა საზღვრებს გარეშე“ ჩატარებული კვლევა ამტკიცებს, რომ „კონფლიქტური რეგიონებიდან უკრაინელები, რომლებიც ეძებენ კარგ ანაზღაურებად სამსახურსა და თავშესაფარს, მიემართებიან თავად

უკრაინისკენ ან მისი მეზობელი რუსეთისა და ბელარუსისკენ და არა ევროკავშირისაკენ“ (EurActiv, 2015, commentary by EWB).

საზღვრის რეფორმის სფეროში უკრაინის მიერ სასაზღვრო უწყებების მოდერნიზება და მათი გარდაქმნა სამართალდამცავ ორგანოდ დიდი მიღწევა იყო. საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია წარმოადგენდა „მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც უკრაინას ამზადებდა იმისათვის, რომ უკან მოეტოვებინა საზღვრის კონტროლის პოსტ-საბჭოთა სისტემა და შეერთებოდა ევროკავშირის საზღვრის მენეჯმენტის ოთხსაფეხურიან მოდელს“ (EurActiv, 2011; commentary by CES). ცალსახაა, რომ ფარულად მიმდინარე სასაზღვრო დავები და „გაყინული კონფლიქტები“ შიდა ინტერესების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები იყო. უკრაინაში, სადაც „საზღვრები დაკავშირებულია პოტენციურ საფრთხეებთან და ეროვნულ ინტერესებთან“ (Filippova, 2016, გვ. 68), საზღვრის მართვის სფეროში განხორციელებული ცვლილებები და ამ სექტორის ევროპეიზაცია, ასევე, მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული შიდა პოლიტიკური დონის ნესრიგითაც.

მთავარი მიგნებები

შედარებითი ანალიზი: შიდა ცვლილების გამომწვევ ფაქტორთა შეჯერება

ქვეყნებს შორის სექტორულ დონეებზე ევროპეიზაციის პროცესის შედარება საშუალებას გვაძლევს, მივაკვლიოთ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების განმაპირობებელ ფაქტორებს. ანალიზის ერთეულების დეტალური კვლევის საშუალებით ვადგენთ, ერთეულებს თუ არა ევროკავშირი შიდა პოლიტიკურ არენაზე და თუ ეს ასეა, მაშინ რა დონეზე; ასევე, ვარკვევთ, აქვს თუ არა ევროკავშირს გავლენა ადგილობრივი აქტორების მოტივაციაზე იმ მიზნით, რომ ევროპულ სტანდარტებსა და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების პროცესი უფრო გააქტიურდეს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შექმნიდან ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღების პერიოდამდე საქართველოსა და უკრაინაში საზღვრის მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ დავაკვირდეთ ცვლილებებს დროის სხვადასხვა მონაკვეთში და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ ევროპეიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები. განვითარების განსხვავებული ტემპისა და სისწრაფის მიუხედავად, 2016 წლისათვის ორივე ქვეყანა საზღვრის მართვის საკითხებში ევროპეიზაციის მაღალ დონეს ავლენს. ეს სფერო მიგრაციის მართვისა და თავშესაფრის საკითხებთან ერთად ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ბლოკს მიეკუთვნება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციისა და ლიბერალიზაციის პროცესის შეფასებისას ექსპერტები ასკვნიან, რომ საქართველოსა (9.3 10-დან) და უკრაინას (9.2 10-დან) მეორე ბლოკში მაღალი მაჩვენებლები აქვთ, რაც მესამე და მეოთხე ბლოკებთან შედარებით საგრძობლად მეტია. (EaP Visa Liberalisation Index Online). აღნიშნული ცვლილებების ასახსნელად და სექტორულ დონეზე ევროპეიზაციის განმაპირობებელი ფაქტორების დასადგენად ემპირიული მონაცემები საინტერესესო შედეგებს გვაძლევს.

კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და უკრაინაში საზღვრის მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნები ცხადი და განსაზღვრული იყო. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირს უკრაინასთან 2001 წელს უკვე ჰქონდა შემუშავებული მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების (JHA) შესახებ სამოქმედო გეგმა, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, საზღვართან დაკავშირებული საკითხები პირველად 2006 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში აღინიშნა. აღმოსავლეთ გაფართოების შემდგომ ეს თემები უფრო მნიშვნელოვანი გახდა და ევროკავშირის მოთხოვნები ორივე ქვეყანასთან თანმიმდევრული იყო. ამასთანავე, აღნიშნულმა საკითხმა უფრო მეტი სიცხადე შეიძინა, როდესაც საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმები გადაეცა. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული და განსაზღვრული იყო ის წესები და ზომები, რომელიც ქვეყნებს უნდა მიეღოთ სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებში. მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებული მოთხოვნები კი „ევროკავშირის მოლაპარაკებებისთვის დიდ ძალას ანიჭებს და შესაძლებელს ხდის მის აქტიურ ჩართულობას წაყენებული პირობების შესრულების

დაკვირვების პროცესში“ (Timus, 2007, გვ. 16). ამან, თავის მხრივ, პოზიტიურად იმოქმედა მონიტორინგისა და შეფასებების ეფექტურობაზე, რაც ევროკავშირის პირობითობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ დანაპირების/სტიმულის სანდოობა ევროკავშირის პირობითობის მთავარი ღერძია (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004), საზღვრის მართვის სფეროში განხორციელებული პროგრესი ევროკავშირის მხრიდან მხოლოდ დაპირებული ჯილდოს არსებობით არ იყო განპირობებული.

აღმოსავლეთ პარტნიორობა უფრო მეტი სტიმულის მიმცემი იყო დაწინაურებული ქვეყნებისთვის - საქართველოსა და უკრაინისთვის, თუმცა ვიზა ლიბერალიზაციის დაპირება საზღვრის მენეჯმენტის მიმართულებით რეფორმების განხორციელებისთვის მთავარ მოტივაციას მაინც არ წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ ცვლილებების განხორციელების პერიოდი არ ემთხვევა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. საქართველოში რეფორმა დაიწყო 2006 წლიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარალელურად. იმ დროისთვის, როდესაც ქვეყანა ევროკავშირთან ვიზის საკითხებთან დაკავშირებით უფრო ინტენსიურ დიალოგზე გადავიდა, ბევრი ევროპული სტანდარტი უკვე დანერგილი იყო (ინტერვიუ 2). ცვლილებების ასეთივე დინამიკა შეინიშნება უკრაინის შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ საზღვართან დაკავშირებული საკითხების მოდერნიზაცია ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის ფარგლებში გააქტიურდა, აღნიშნული კვლევა ამტკიცებს, რომ ქვეყანამ ამ საკითხზე ყურადღება გაცილებით ადრე გაამახვილა. ევროპეიზაციის პროცესი შეიძლება აიხსნას სხვა ხელშემწყობი ფაქტორებით, როგორებიცაა: ევროკავშირის მიერ ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერა, სხვა საერთაშორისო აქტორების ჩართულობა და საშინაო პოლიტიკურ დღის წესრიგთან „შესაბამისობა“.

ემპირიული დაკვირვება ცხადყოფს, რომ საშინაო ნორმების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება დაკავშირებულია ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერასთან. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი დახმარება უზრუნველყო როგორც საქართველოსათვის, ისევე უკრაინისათვის, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა რეფორმების პროცესზე. ევროკავშირის მხარდაჭერამ თვალსაჩინო კვალი დატოვა სასაზღვრო უწყებების მოდერნიზაციაზე. გარდა ამისა, ეს პროცესი მნიშვნელოვნად წაახალისა სხვა საერთაშორისო აქტორებმა, რომლებიც „ევროკავშირის აქტივობებს სრულყოფდნენ ან ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობდნენ“ (Lavenex, 2016, გვ. 560). საინტერესია, რომ ეს ფაქტორები შიდა ცვლილებისთვის საჭირო, მაგრამ არასაკმარის წინაპირობებს წარმოადგენენ.

რეფორმებისთვის საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობები უფრო მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მოთხოვნები ამ ქვეყნების შიდა პრიორიტეტებს და პოლიტიკურ დღის წესრიგს დაემთხვა. ადგილობრივი კონტექსტის ანალიზი გარე სტიმულებთან მიმართებით აჩვენებს, რომ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მთავარი მოტივაცია, სწორედ, შიდა პოლიტიკური დღის წესრიგი იყო. გამოჩნდა, რომ ქვეყნები წარმატებით იყენებენ ევროკავშირის რესურსებს პოლიტიკის მიმართულებების ევროპულ ნორმებთან დაახლოების პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრიუსელის მოთხოვნები შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგს შეესაბამებოდა. აღნიშნულ ვარაუდს განხილული შემთხვევების ემპირიული მაგალითებიც ადასტურებს. სასაზღვრო უწყებების რეფორმირება საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარალელურად დაიწყო, თუმცა ცვლილებები ევროკავშირის ზეწოლის საპასუხოდ არ განხორციელებულა. მიხეილ სააკაშვილის ახალმა მთავრობამ, რომელიც რევოლუციის შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში, დაიწყო საზღვრის მართვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და მიზნად დაისახა სამხედრო ტიპის უწყების სამართალდამცავ ორგანოდ გარდაქმნა (ინტერვიუ 1). რეფორმების პროცესი გაგრძელდა 2008 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საპატრულო პოლიცია სასაზღვრო პუნქტებში ოპერაციების ჩატარებაზე პასუხისმგებელი გახდა. შემდგომ წლებში ამას კიდევ უფრო ინტენსიური სახე მიეცა. ფაქტობრივად, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე საქართველოს ძალიან ბევრი ევროპული სტანდარტი უკვე დანერგილი ჰქონდა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საზღვრის მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნები შეესაბამებოდა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებს, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, ის ეხებოდა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა რუსეთთან ომის შემდეგ. მეორე მხრივ, ევროკავშირის მოთხოვნები ამ სფეროში ემთხვევა ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მიერ განეულ ძალისხმევას. ცვლილების დრო და პერიოდი კიდევ უფრო ამტკიცებს ამ ვარაუდს. ნატოსთან ინტეგრაცია, შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლებისათვის საზღვრის მართვის მოდერნიზაციის თვალსაზრისით დამატებითი ძლიერი სტიმული ყოფილიყო, რადგან ნატოსთან ინტეგრაცია საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა. (Ministry of Foreign Affairs of Georgia, Official Website, 2014).

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც ამ ლოგიკით ვითარდებოდა. საზღვრის მართვის საკითხების დეტალური განხილვა აჩვენებს, რომ ევროპეიზაციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ევროკავშირის მოთხოვნების შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგთან თანხვედრა იყო. აღნიშნულ პოლიტიკას პრიორიტეტი ენიჭებოდა როგორც იანუკოვიჩის, ასევე პოროშენკოს პრეზიდენტობის პერიოდში. თუმცა, მათი საგარეო პოლიტიკური კურსი განსხვავებული იყო. მიუხედავად ამისა, საზღვრის მართვასთან დაკავშირებული საკითხები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედს წარმოადგენდა და შესაბამი-

სად სარგებელიც ნათელი იყო. ხელისუფლება იყენებდა ევროკავშირის რესურსებს საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტების წარმატებული რეფორმირებისთვის. როგორც „ევროპა საზღვრების გარეშე“ ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ქ-ნმა სუშკომ აღნიშნა, „საზღვრის ინტეგრირებული მართვის თანამედროვე ევროპული კონცეფცია შეიქმნა ევროპული სტანდარტების შესაბამისად. [...] ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტისა და აღმოსავლეთ საზღვრებზე არსებული ვითარების ფონზე საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“ (ინტერვიუ 5). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებმა წარმატებით შეძლეს მათი პოლიტიკური პრიორიტეტების შესაბამისად სექტორულ დონეზე ევროპული სტანდარტების დანერგვა, რაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარეობდა.

აღნიშნულმა კვლევამ ასახა სექტორულ დონეზე მიღწეული პროგრესი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შექმნიდან ვიზა ლიბერალიზაციის მინიჭების პერიოდამდე და გამოავლინა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს საქართველოსა და უკრაინაში კონკრეტული პრო-ევროპული რეფორმების განხორციელება. გარდამტეხი ცვლილებებისა და პროცესების განვითარებაზე დაკვირვებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზღვრის მართვის საკითხების ევროპეიზაცია შეესაბამება დანახარჯისა და სარგებლის ანალიზის რაციონალისტურ არგუმენტს და ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას ხელს უწყობს ევროკავშირის წესების სიცხადე და თანმიმდევრულობა, ევროკავშირის ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერა და სხვა საერთაშორისო აქტორების როლი, პოზიტიური ცვლილებები მაინც დიდწილად საშინაო პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარეობდა. უსაფრთხოების საკითხებმა და მთავრობის პრიორიტეტებმა საზღვრის მართვის სფეროს ევროპეიზაციაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, როგორც საქართველოში ასევე უკრაინაში.

ბიბლიოგრაფია

1. Ademmer, E. and Delcour, L. (2016). With a Little Help from Russia? The European Union and Visa Liberalisation with Post-Soviet States. *Eurasian Geography and Economics*, 57 (1), pp. 89-112.
2. Ademmer, E., and Börzel, T. A. (2013). Migration, Energy and Good Governance in the EU's Eastern Neighbourhood. *Europe-Asia Studies*, 65: 4. pp. 581-608.
3. Börzel, T.A., & Risse, T. (2012), From Europeanisation to Diffusion: Introduction, *West European Politics*, 35(1), pp. 1-19.
4. Börzel, T.A. and Risse, T. (2003). Conceptualizing the Domestic Impact of Europe. In: K. Featherstone and C.M. Radaelli (eds.). *The Politics of Europeanization*. Oxford: OUP, 2003.
5. Bretherton, C. and Vogler, J. (2006). *The European Union as a Global Actor*. 2nd ed. London and New York: Routledge. chpt. 1. pp. 11-34.
6. Bulmer, J.S. and Radaelli, M.C., (2004). The Europeanization of National Policy? *Queen's Papers on Europeanization* No 1/2004.
7. Chkhikvadze, V., and Mrozek, K., (2014). *It's Georgia's Time*. Otwarta Europa. Warsaw, Poland.
8. Commission of the European Communities. (2003). Communication from the Commission to the Council and the European Parliament. *Wider Europe — Neighbourhood: a new framework for relations with our Eastern and Southern Neighbours*. Brussels, 11 March, COM(2003) 104 final.
9. Commission of the European Communities. (2006). Commission Staff Working Document. Accompanying the Communication from the Commission to the Council and the European Parliament on the Strengthening the European Neighbourhood Policy. *ENP Progress Report Ukraine*. Brussels, SEC(2006)1505 final, 4 December, 2006
10. Commission of the European Communities. (2004). Communication from the Commission. European Neighbourhood Policy. *Strategy paper*. Brussels, 12 May, COM(2004) 373final.
11. Commission of the European Communities. (2009). Commission Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008*. Brussels, SEC (2009) 515 final, 23 April, 2009.
12. Council of the European Union. (2011). *Joint Declaration of the Eastern Partnership Summit*, Warsaw, 29-30 September. COM(2011) 303 final, 25 May 2011.

13. Delcour, L. (2013). Meandering Europeanisation. EU policy instruments and policy convergence in Georgia under the Eastern Partnership, *East European Politics*, 29(3), pp. 344-357.
14. Emerson, M. (2011). Just Good Friends? The European Union's Multiple Neighbourhood Policies, *The International Spectator: Italian Journal of International Affairs*, 46(4), pp. 45-62.
15. European Commission. (2013). Report from the Commission to the European Parliament and the Council. *First Progress Report on the Implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 15.11.2013. COM(2013) 808 final.
16. European Commission. (2014). Report from the Commission to the European Parliament and the Council. *Second Progress Report on the Implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 29.10.2014. COM (2014) 681 final.
17. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2015). Joint Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2014 and recommendations for actions*. Brussels, 25.3.2015 SWD(2015) 66 final.
18. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2012). Joint Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2011 and recommendations for action*. Brussels, 15.5.2012 SWD(2012) 114 final.
19. European Commission. (2010). Commission Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia*. Brussels, 12/05/2010 SEC(2010) 518
20. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2011). Joint Staff Working Document. *First Progress Report of the Implementation by the Ukraine of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 16.9.2011. SEC (2011) 1076 final.
21. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2012). Joint Staff Working Document. *Second Progress Report of the Implementation by the Ukraine of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 9.2.2012. SWD (2012) 10 final.
22. European Commission. (2015a). Report from the Commission to the European Parliament and the Council. *Fifth Progress Report on the Implementation by Ukraine of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 8.5.2015. COM (2015) 200 final.
23. European Commission. (2015b.) Report from the Commission to the European Parliament and the Council. *Sixth Progress Report on the Implementation by Ukraine of the Action Plan on Visa Liberalisation*. Brussels, 18.12.2015. COM (2015) 905 final.
24. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2013). Joint Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in Ukraine Progress in 2012 and recommendations for action*. Brussels, 20.3.2013 SWD(2013) 84 final
25. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2014). Joint Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in Ukraine Progress in 2013 and recommendations for action*. Brussels, 27.3.2014 SWD(2014) 96 final.
26. European Commission, High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. (2010). Joint Staff Working Document. *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2010 Country Report: Ukraine*. Brussels, 25.5.2011 SEC(2011) 646 final, 25, May, 2011.
27. Freyburg, T. et al. (2009). EU Promotion of Democratic Governance in the Neighbourhood, *Journal of European Public Policy*, 16(6), pp. 916 -934.
28. Franke, A., Gawrich, A., Melnykovska, I., and Schweickert, R. (2010). The European Union's Relations with Ukraine and Azerbaijan. *Post-Soviet Affairs*, 26 (2), pp. 149-183.
29. Gawrich, A., Melnykovska, I., and Schlickert, R. (2010). Neighbourhood Europeanisation through ENP: The Case of Ukraine, *JCMS*, 48(5), pp. 1209-1235.
30. Ghazaryan, N. (2010). The ENP and the Southern Caucasus: Meeting the Expectations? In R. Whitman and S. Wolff. (eds.) *The European Neighbourhood Policy in Perspective: Context, Implementation and Impact*. Palgrave Macmillan, pp. 223-246.
31. Gogolashvili, K. (2009). The EU and Georgia: The Choice is in the Context. In: T. Mkrtychyan, et al. (eds.) *The European Union and the South Caucasus - Three Perspectives on the Future of the European Project from the Caucasus*. Europe in Dialogue 2009 | 01, Bertelsmann Stiftung, Gütersloh, pp. 90-127.

32. Green Cowles, M. et al. (eds.). (2001). *Transforming Europe: Europeanization and Domestic Change*. Ithaca, NJ: Cornell UP. Chpt. 1
33. Gschwend, T., and Schimmelfennig, S., (2007). ed. *Research Design in Political Science: How to Practice what they Preach*. Palgrave Macmillan.
34. International Organisation for Migration. (2008a). *Migration in Georgia: Country Profile*. Geneva, Switzerland: IoM.
35. ICMPD. (2006). *EU Justice, Freedom and Security Assessment Missions to Ukraine*. Final Report. Vienna: ICMPD.
36. Institute for Public Policy, Institute for Development, and Social Initiatives "Viitorul," and International Centre for Policy Studies. (2008). *Migration Trends and Policies in the Black Sea Region: Cases of Moldova, Romania and Ukraine*. Chisinau.
37. Knill, C. Lehmkuhl, D. (2002). The national impact of European Union regulatory policy: Three Europeanization mechanisms. *European journal of Political Research*, Volume 41, pp. 255-280.
38. Kelley, J. (2006). New wine old Wineskins: Promoting political reforms through the new European Neighbourhood Policy, *Journal of Common Market Studies*, Volume 44(1), pp.29-55.
39. Langbein, J., & Wolczuk, K. (2012). Convergence without membership? The impact of the European Union in the neighbourhood: evidence from Ukraine, *Journal of European Public Policy*, 19(6), pp. 863-881.
40. Langbein, J., & Börzel, T. A., (2013). Introduction: Explaining Policy Change in the European Union's Eastern Neighbourhood, *Europe-Asia Studies*, 65(4), pp. 571-580.
41. Lavenex, S. (2016). Multilevelling EU external governance: the role of international organizations in the diffusion of EU migration policies, *Journal of Ethnic and Migration Studies*, 42(4), pp. 554-570.
42. Langbein, J., & Wolczuk, K. (2012). Convergence without membership? The impact of the European Union in the neighbourhood: evidence from Ukraine, *Journal of European Public Policy*, 19(6), pp. 863-881.
43. Natalia Timuş. (2007). The Influence of European Integration Process outside EU borders. GARNET Working Paper: No 27/07, November 2007.
44. Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration. 2012. Georgia's Progress Report on Implementation of the ENP Action Plan and the EaP Roadmaps.
45. Pataiaia, T. (2011). Development of Georgia's Migration Policy. In CIPDD (Ed.) *Developing Georgia's Migration Policy: Lessons from Poland*. Tbilisi. pp. 35-78.
46. Pilippova, O. (2016). Reconceptualisations of Borders in Post-Soviet Ukraine: between EU Regulations, the Soviet Legacy and Internal Political Strife. In: I. Liikainen, J. W. Scott and T Sotkasiira. (ed). *The EU's Eastern Neighbourhood: Migration, Borders, Regional Stability*. Routledge Publishing. pp. 65-78.
47. Sagraera, R. H., (2014). Exporting EU integrated border management beyond EU borders: modernization and institutional transformation in exchange for more mobility? *Cambridge Review of International Affairs*. 27 (1), pp. 167-183.
48. Schimmelfennig, F. and Scholtz, H., (2008). EU Democracy Promotion in the European Neighbourhood: Political Conditionality, Economic Development and Transnational Exchange, *European Union Politics*, 9(2), pp.187-215.
49. Schimmelfennig, F. (2015). "Europeanization beyond Europe". *Living Reviews in European Governance* 10:1, <<http://europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2015-1/>>
50. Samkharadze, N. (2013). Priority Areas: Common Foreign and Security Policy; Integrated Border Management. In *Report on Monitoring the Implementation of the Eastern Partnership Roadmap in Georgia*. Independent Monitoring Report. pp. 143-157. Tbilisi, Georgia.
51. Schimmelfennig, F. and Sedelmeier, U. (2004). Governance by Conditionality: EU Rule Transfer to the Candidate Countries of Central and Eastern Europe, *Journal of European Public Policy*, 11(4) pp. 661-79.
52. Stegnyy, O. (2011). Ukraine and the Eastern Partnership: 'Lost in Translation'? *Journal of Communist Studies and Transition Politics* , 27(1), pp. 50-72.
53. Sasse, G. (2008). The European Neighbourhood Policy: Conditionality Revisited for the EU's Eastern Neighbours, *Europe-Asia Studies*, 60(2), pp. 295-316.
54. Sushko, O. 2006. Conflict and Reform in Eastern Europe. *The International Spectator: Italian Journal of International Affairs*, 41(4), pp. 43-54.
55. Transparency International Georgia. (2014). *EU-Georgia Action Plan on Visa Liberalisation Monitoring of Implementation*. Final Report.

56. Whitman, R. and Juncos, A. (2009). European Union's Relations with the Wider Europe. *Journal of Common Market Studies*, 47, pp.193-212.
57. Wetzel, A. (2016). From Halt to Hurry: External and Domestic Influences on Ukrainian Asylum Policy. *Eurasian Geography and Economics*. 57(1), pp. 66-88. Wunderlich, D. (2013). Towards Coherence of EU External Migration Policy? Implementing a Complex Policy, *International Migration*, 51 (6). pp. 26-40.

ელექტრონული წყაროები:

1. Düvell, F., and Lapshyna, I. (2015). The EuroMaidan Protests, Corruption, and War in Ukraine: Migration Trends and Ambitions. Available [online] at <<https://www.migrationpolicy.org/article/euromaidan-protests-corruption-and-war-ukraine-migration-trends-and-ambitions>> [accessed on 1 November, 2017].
2. European Union External Action Service Homepage. (2017). Press Release. Available [online] at <https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/21677/european-union-supports-azerbaijan-and-georgia-raise-standard-veterinary-and-phytosanitary_en> [accessed on 30 October, 2017].
3. EU-Georgia Visa Dialogue, . (2013). [online] available at < <http://migration.commission.ge/files/vlap-eng.pdf>> [accessed on 19 August, 2016].
4. European Council, Secretariat of the Council of the EU. (2009). # 3, 19 and 20 March [online] Available at: <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/Eastern_Partnership-EN.pdf> [Accessed 1 September, 2016].. [online] available at <https://eeas.europa.eu/enp/pdf/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf> [Accessed 19 August, 2016].. [online] Available at <http://www.eeas.europa.eu/ukraine/docs/2010_eu_ukraine_association_agenda_en.pdf> [Accessed 19 August, 2016] (as endorsed by the EU-Ukraine Cooperation Council (Luxembourg, 24 June 2013). [online] Available at <http://eeas.europa.eu/ukraine/docs/eu_ukr_ass_agenda_24jun2013.pdf> [Accessed 19 August, 2016]
5. European Commission. (2016). . Available [online] at < https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/ukraine_en> [accessed on 1 December, 2016].
6. EurActiv, (2011). . EurActiv, Feb 4, 2011 (updated: May 8, 2012). Commentary by the Centre for Eastern Studies (OSW). Available [online] at <<http://www.euractiv.com/section/med-south/opinion/eu-ukraine-visa-liberalisation-an-assessment-of-ukraine-s-readiness/>> [accessed on 24 March, 2017].
7. Sushko, I., and Kulchytska, K. (2015). ? EurActiv, Oct. 8. 2015. Commentary by Europe Without Barriers (EWB). Available [online] at <<https://www.euractiv.com/section/justice-home-affairs/opinion/is-ukraine-a-migration-threat-to-the-eu>> [accessed on 9 November, 2017].
8. EUAM Ukraine. . September 08, 2016. Available [online] at <<http://www.euam-ukraine.eu/news/latest-news/integrated-border-management-an-interview-with-euam-s-head-of-the-strategic-civilian-security-sector-reform-component-brian-richard/>> [accessed on 9 November, 2017].
9. European Commission. (2016). . Available [online] at < https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eni_2016_c2016_6833_rap_east_part2_ibm_moldova_ukraine.pdf> [accessed on 9 November, 2017].
10. Europe without Barriers. (2012). . Policy Paper. Kyiv: Vistka printing house. Available [online] at < <https://english.europeweb.org.ua/wp-content/uploads/2017/02/Full-M-Text-ENG-END.pdf>> [accessed on 1 November, 2017].
11. EEAS. Available [online] at < https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/071215_eu-ukraine_association_agreement.pdf> [accessed on 1 November, 2017].
12. Joint EU-Ukraine Action Plan. (2005). [online] available at < <http://www.enpi-info.eu/library/content/eu-ukraine-action-plan-0>> [Accessed 19 August, 2016].
13. Kucera, J. (2013). . EURASIANET.org 2 May. Available [online] at < <http://www.eurasianet.org/node/66914>> [accessed on 22 December, 2016].
14. Kulchytska, K., Sushko, I., Solodko, A., (2016). . CEDOS and Europe Without Barriers. Policy Brief, 4 July. Kyiv-Brussels. [online] Available at < http://www.irf.ua/content/files/brussels_migration_policy_final_.pdf> [accessed on 9 February, 2017].
15. Ministry of Foreign Affairs of Georgia. (2014). . Available [online] at <<http://www.mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-NATO-ს-ურთიერთობები.aspx?ang=en-US>> [accessed on 7 December, 2016]
16. Mission of Ukraine to the European Union. (2012). Available [online] at <<http://ukraine-eu.mfa.gov.ua/en/ukraine-eu/eu-policy/assistance>> [accessed on 24 March, 2017].

17. Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration. . Available [online] at < <http://www.eu-nato.gov.ge/en/eu/assistance/instruments-funding>> [accessed on 22 December, 2016]. Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration. (2012). .
18. . (1999) [online] L 205/3 of 4. 8. 1999. [Accessed 19 August, 2016]. Available from < http://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:701910ef-7568-4c38-a197-567f1d536be6.0020.02/DOC_1&format=PDF>.. (2007). [online] Available at <<http://www.enpi-info.eu/library/content/revised-eu-ukraine-action-plan-freedom-security-and-justice>> [Accessed 19 August, 2016].
19. Shamray, V. (2012). . Available [online] at < https://english.europewb.org.ua/wp-content/uploads/2017/02/VL_EU-Assistance_Final_VShamray.pdf > [accessed on 1 November, 2017].
20. Eastern Partnership Visa Liberalisation Index. . Available [online] at < <http://monitoring.visa-free-europe.eu> > [accessed on 1 November, 2017].

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

1. ინტერვიუ 1. ივანე ჩხიკვაძე, ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი, ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო” (OSGF); ინტერვიუს თარიღი: 19 სექტემბერი, 2017 წ.
2. ინტერვიუ 2. ნიკოლოზ სამხარაძე, საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); ინტერვიუს თარიღი: 21 სექტემბერი, 2017 წ.
3. ინტერვიუ 3. მარკ ჰულსტი, საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორი; ინტერვიუს თარიღი: 24 სექტემბერი, 2017 წ.
4. ინტერვიუ 4. იულია რიჟინი, დამოუკიდებელი ექსპერტი; მიგრაციის მართვის მიმართულების ინსტიტუციური განვითარების პროექტის უფროსი სპეციალისტი, უკრაინაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; ინტერვიუს თარიღი: 23 ოქტომბერი, 2017 წ.; (ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისაა და არ გამოხატავს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეხედულებებს).
5. ინტერვიუ 5. ირინა სუშკო, აღმასრულებელი დირექტორი, „ევროპა საზღვრების გარეშე“; ინტერვიუს თარიღი: 27 ოქტომბერი, 2017 წ.
6. ინტერვიუ 6. ანდრი სოლოდკო, მიგრაციის საკითხების ანალიტიკოსი, CEDOS კვლევითი ცენტრი, უკრაინა. ინტერვიუს თარიღი: 30 ოქტომბერი, 2017 წ.

Meri Maghlakelidze

**EAP COUNTRIES' CONVERGENCE WITH EUROPEAN STANDARDS
IN BORDER MANAGEMENT:
EUROPEANISATION DRIVEN BY EU'S DEMANDS OR DOMESTIC AGENDA?**

Abstract

This article addresses Europeanization in third countries and aims to map and explain compliance patterns in EU's Eastern neighbourhood. This study attempts to define under what conditions the EU can trigger the transformation beyond its borders and to explore whether EU's conditionality principle in the absence of membership prospect can motivate reforms at domestic level and if not, what drives Europeanisation processes in these countries. This research is concerned with sector - specific explanations and dynamics of sectoral reforms under the European Neighbourhood Policy and Eastern Partnership. Meticulous investigation of Border Management reforms in Georgia and Ukraine provide profound insights for the final research findings.

Keywords: *Europeanisation, Conditionality, Border Management, Georgia, Ukraine*

Introduction

1919 წელს ჩატარებული საყოველთაო არჩევნების დროს, პროპორციულ სისტემაზე დამყარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მისმა პარტიამ 130 ადგილზე, 102 დეპუტატი გაიყვანა. მოხერხდა რუსეთის და სხვა თავისუფალი ქვეყნებისგან დამოუკიდებლობის ცნობა. თავად კი, მთავრობის მეთაურობა შეინარჩუნა. მის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, როგორც პირველ დემოკრატიულ გარდაქმნებს ქვემოთ განვიხილავთ. მანამდე კი უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართულმა არმიამ ორჯერ მოიგერია რუსული არმიის სამხედრო აგრესია 1918 წლის იანვარში და 1920 წლის აპრილში. ანა-

რმა თავდაცვითი ომი სომხეთთან 1918 წლის დეკემბერში. ბოლშევიკების ნაქეზებით ამბოხსაც გაუმკლავდნენ აფხაზეთში, მაგრამ 1921 წელს საბოლოოდ დამარცხდნენ რუსეთის მეთერთმეტე არმიასთან, რის შემდეგაც ემიგრაციაში წავიდა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად (ჟორდანიას, 1990) და პარიზში, სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა.

პირველი დემოკრატიული გარდაქმნების მომზადება

1918 წლის 24 ივნისს ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭო დატოვა, იგი კარლო ჩხეიძემ ჩაანაცვლა, ხოლო თვითონ მთავრობის მეთაური გახდა. 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა (გურული, 1999). საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების პოლიტიკური ინსტიტუტების მოწყობის პროგრამა ნოე ჟორდანიამ წარადგინა. 1918 წლის აგვისტოს სდმპ კრებაზე მან განაცხადა, რომ ირჩევენ ევროპული ტიპის სოციალიზმის მოდელს და აღიარებდა, რომ კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადაახტებოდნენ. ხოლო, ნაადრევი სოციალისტური ექსპერიმენტი მოიტანდა არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ის აღიარებდა, საქართველოს როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, სადაც უნდა მომხდარიყო კერძო ინიციატივის ნახალისება და საწარმოო ძალთა განვითარება. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ მისი პარტიის პროგრამა მინიმუმ იყო დემოკრატიის დამკვიდრება, ხოლო მაქსიმუმ სოციალიზმი. მან გაანალიზა, რომ სოციალიზმის დანერგვა, მით უფრო, სწრაფი და ხისტი მეთოდებით ეკონომიკას განადგურებდა. ამიტომ აქცენტი დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებაზე გააკეთა (ვაშაყმაძე, 2014).

უფრო დეტალურად რომ ჩავუღრმავდეთ როგორი რეალიზება ჰპოვა ქართველი სოციალ-დემოკრატების ხედვებმა და რა სახის დემოკრატიული გარდაქმნები განხორციელდა მათი მეშვეობით, სათითაოდ განვიხილოთ რეფორმები პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში.

დემოკრატიული გარდაქმნები პოლიტიკურ სისტემაში

პოლიტიკური სისტემის რეფორმები ნოე ჟორდანიამ მოამზადა პროგრამა სახელწოდებით „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს ორგანიზაცია“. ეს ემყარებოდა დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებათა ანალიზს. ის ამ გამოცდილებიდან საქართველოსთვის შესაფერისს არჩევდა და ქართულ სინამდვილესთან მისაღებს ეძებდა. პოლიტიკური სისტემის ახალ ფორმაზე ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობამდე დიდი ხნით ადრე ფიქრობდა და ყველაზე მისაღებად დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდა. სწორედ, ასე განისაზღვრა ის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით და შესაბამისად მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შინაარსიც. ქართული სოციალ-დემოკრატია, მართალია, გარკვეული პერიოდი რუსეთის მენშევიკური ფრთის ერთობას წარმოადგენდა, მაგრამ ქართველი ლიდერების პლათფორმა მთლიანად დასავლეთ ევროპის რელსებზე და დემოკრატიულ იდეებზე იდგა. მაგალითად, ნოე ჟორდანიას ინიციატივით მოხდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მომავალი ბედი. იგი ამავე პერიოდში საქართველოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარეც იყო და შეეძლო მხოლოდ მათი ყრილობის მოწვევით გამოეცხადებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა ან განესაზღვრა ქვეყნის ბედი. მაგრამ ეს იქნებოდა ბოლშევიკური მეთოდი და ერს კლასებად გახლეჩდა. ამიტომ მან ეროვნულ ყრილობაში მოიწვია ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და სხვა პოლიტიკური, მისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების პარტიებიც კი. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდა 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს - 15, ქალაქთა თვითმმართველობებს - 33, საგუბერნიო, სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტს - 89, ქართულ ჯარს - 20, კოოპერატივებს - 8, მასწავლებელთა კავშირს - 9, პრესას - 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს - 35, ვაჭრობა-მრეწველობას და ბანკებს - 26, თავადაზნაურობას - 20, ემიგრანტებს - 6, საქართველოს ეკლესიას - 1, კათოლიკეებს და მაჰმადიანებს - 7, ებრაელებს - 3, აფხაზეთის დელეგაციას - 2 და სხვადასხვა დაწესებულებებს - 8. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იკრიბებოდა, როგორც ვხედავთ მუშათა კლასი ამჟამად უპირატესობაში არ იმყოფებოდა და მასში

მეტნაკლები თანაფარდობით იყო საქართველოს ყველა სოციალური ფენა. ამით ყოველგვარი კლასთა შორისი კონფრონტაცია მოისპო და იგი მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენელი გახდა. ყრილობის წევრები ერთხმად იყვნენ შეთანხმებული ქვეყნის მომავალი მმართველობის ფორმაზე - დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომლის ძირითადი პრინციპი ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას უნდა დაფუძნებოდა. შესაბამისად, ძალაუფლება უნდა განაწილებულიყო ცენტრსა და პერიფერიებს შორის, სადაც ხალხი აირჩევდა დეპუტატებს, აღმასრულებელ ორგანოებს, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვ. (გურული, 1999).

ყრილობაზე გადაწყდა, რომ თავდაპირველად უნდა შექმნილიყო საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დააკომპლექტებდა მთავრობას. ეს უნდა ყოფილიყო ერთპალატიანი პარლამენტი ეფექტური საკანონმდებლო მუშაობისთვის და ორ წლიანი სამანდატო ვადით. ამიტომ განისაზღვრა **საარჩევნო სისტემა**, რომელიც უნდა ყოფილიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველა სრულწლოვანს (20 წლის) მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნების და სარწმუნოებისა (არსენიძე, 2014). ამ კანონით პირველი საპარლამენტო არჩევნები იგივე „დამფუძნებელი კრების“ არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა საქართველოს ისტორიაში. ქართველ ხალხს პირველად მიეცა შესაძლებლობა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკანონმდებლო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. წინასაარჩევნო კამპანიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი პარტიული სპექტრი მონაწილეობდა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ბოლშევიკურ პარტიასაც კი ჰქონდა, მაგრამ მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს (ჭუმბურიძე, 2011). სულ 15 პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა, ხოლო ამომრჩევლების რაოდენობა 1,024,682 შეადგენდა. მონაწილეობა 60%-მა მიიღო ანუ 618,675, რაც უდაოდ კარგი შედეგია იმ დროის პოლიტიკური კულტურის გათვალისწინებით. პირველ ადგილზე დიდი უპირატესობით „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ გავიდა და 130 ადგილიდან 102 მანდატი მოიპოვა. მან 473,638 ხმა მიიღო. მეორეზე „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია“ 9 მანდატით და 43,649 ხმით. მესამეზე - „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ 8 მანდატით და 32,475 ხმით. მეოთხეზე „საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია“ 6 მანდატით. შემდეგ პარტია „დაშნაკცუთიუნ“ 3 მანდატით. ხოლო ბოლოს „საქართველოს ეროვნული პარტია“ 2 მანდატი (საქართველოს ეროვნული არქივი, 2014). თავისი ორწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ასამბლეამ მიიღო კონსტიტუცია და 126 კანონი, კერძოდ, მოქალაქეობის, ადგილობრივი არჩევნების, ქვეყნის თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, სამართლებრივი სისტემის, ეთნიკური უმცირესობებისათვის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ, საჯარო განათლების ეროვნული სისტემისა და სხვა კანონები ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკის შესახებ, ასევე საქართველოს რკინიგზის, ვაჭრობის, შიდა პროდუქტის შესახებ და სხვა. (ლოსაბერიძე, 1998).

დემოკრატიული გარდაქმნების გვირგვინს წარმოადგენს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ შედგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის **კონსტიტუცია**, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპაციამდე მხოლოდ ოთხი დღით ადრე 1921 წლის 21 თებერვალს შევიდა ძალაში. ის გადმოსცემდა იმ სახელმწიფოებრობის ორგანიზაციის შინაარსს, რომელიც სოციალ-დემოკრატების ფარგლებში ფუნქციონირებდა და გამოხატავდა მის რაობას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფოების სამი ათასწლეულის არსებობებისა ის მუდამ აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა და პირველად დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა, მას ამ კუთხით იდეალურად ჰქონდა განაწილებული ძალაუფლება სამ შტოში. ეს იყო **საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო** (ინასარიძე, 1984).

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენდა ნაზავს ფრანგული ტიპის საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეიცარიული ტიპის პირდაპირი დემოკრატიის პრინციპების (მაცაბერიძე, 2008). კონსტიტუციაზე მუშაობა 1918 წლის ივნისში დაიწყო, იგი რეგულარულად იხილებოდა საკანონმდებლო ორგანოში და საბოლოოდ 1921 წლის 21 თებერვალს იქნა მიღებული. ეს ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ერთი, რომ არ არსებობდა არანაირი საბაზისო გარემოება და მეორე, არც ქართულ ენაზე შესამაბისი ტერმინოლოგია არ იყო. მასზე მუშაობა ფაქტიურად ცარიელი ფურცლიდან დაიწყო (ვადაჭკორია, 2001). ნოე ჟორდანიას თქმით, ეს სამი შტო იყო, სწორედ, რისი მეშვეობითაც ხალხის მმართველობა უნდა განხორციელებულიყო. მას მიაჩნდა, რომ **საკანონმდებლო ორგანო** უნდა ყოფილიყო ხალხის მიერ ისეთი მექანიზმით შეზღუდული, როგორცაა რეფერენდუმი. ამას ერთი საფრთხე ექნებოდა. შეიძლებოდა ხალხის არჩევანს შეეფერხებინა პარლამენტის მიერ შემუშავებული პროგრესული კანონპროექტები. ამიტომ რეფერენდუმები უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ მათ ჯობს შეეხებოდა. ესენია გადასახადები, ფულის სისტემა, სავაჭრო ხელშეკრულებები და სხვ. რაც შეეხება **აღმასრულებელ ორგანოს**, ის ნოე ჟორდანიას ადმინისტრა-

ტორებად მიაჩნდა. ისინი არა ბატონები, არამედ ხალხის მსახურები უნდა ყოფილიყვნენ და ეკისრებოდათ ისეთი ბრძანებების შესრულება, რომელსაც შეიძლება შინაგანად არც ეთანხმებოდნენ. მათ არ უნდა ჰქონოდათ არანაირი პრეროგატივები და უნდა დამორჩილებულიყვნენ ჩვეულებრივ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონებს. და ბოლოს, **სასამართლო სისტემა** ერთგვარ ჩაგრულთა ორგანოდ მიაჩნდა ნოე ჟორდანიას. იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამიჯნული აღმასრულებელი ორგანოსგან. ამის ერთერთი გზა იქნებოდა მოსამართლეების არჩევითობის სისტემის დანერგვა ხალხის მიერ და ისიც გარკვეული ვადით. ხალხს უფლება უნდა ჰქონოდა გაენვია უკან არჩეული მოსამართლე. თუ ადრე სასამართლო საქმეებს ის აწარმოებდა, ვისაც ფული ჰქონდა, ამიერიდან უნდა მომხდარიყო სასამართლოს წარმოების დაფინანსება იმ კუთხით, რომ ღარიბ მოსახლეობასაც შეეძლებოდა თამამად საჩივრების შეტანა (ჟორდანიას, 1918). შესაბამისად **სასამართლო სისტემის** რეფორმით პირველად საქართველოს ისტორიაში დაისვა საკითხი სასამართლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა. ამოსავალი წერტილი ძალაუფლების ცენტრსა და ხალხს შორის განაწილება უნდა ყოფილიყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონის - ბერნის 1893 წლის კონსტიტუციას დაეყრდნენ, რომლის მიხედვითაც ხალხი რწმუნებულების მეშვეობით გარკვეული ვადით ირჩევდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოსამართლეებს, რომლებიც საქმეებს **ნაფიცი მსაჯულეების** თანდასწრებით განიხილავდნენ. ამას გარდა უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასამართლო, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ყველა სასამართლოსთვის და განეხილა განსაკუთრებული და საკაცაციო საქმეები. რეალურ პრობლემას ქმნიდა ის, რომ საქართველოში კვალიფიციური შესაბამისი კადრები არ არსებობდა და მსგავსი სისტემა ნულიდან უნდა შექმნილიყო, რადგან რუსული იმპერიის სასამართლო სისტემა ძალიან შორს იდგა მოდერნიზებული თავისუფალი ქვეყნის სასამართლოებისგან. ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად, 1918 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები, მისი არჩევის წესი ქალაქებისა და მაზრების მიხედვით და მოსამართლეთა ფუნქციები და მოვალეობები. ხოლო 1919 წელს შეიმუშავეს კანონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ვეჭილობის (ადვოკატის) უფლება და ნაფიც ვეჭილთა საბჭოს არჩევის წესი. ხოლო იმავე წელს შეიქმნა „სენატი“, რომელიც სასამართლოების საქმიანობის მონეტორინგების და კანონიერების დაცვის მარეგულირებელ ინსტანციად იქნა მიჩნეული, რაც შინაარსობრივად უმაღლესი სასამართლოს ანალოგი იყო. მისი პირველ თავმჯდომარედ დამფუძნებელმა კრებამ ნაფიცი ვეჭილი დავით ხელთუფლიშვილი დაამტკიცა. ხოლო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება იუსტიციის სამინისტროს დაევალა, რომელიც რეფორმის დასრულების შემდეგ სენატისგან უფლება-მოვალეობებით გამიჯნული იქნებოდა (ვადაჭკორია, 2001). რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, ის შედგებოდა ყველა სწრულწლოვანი მოქალაქისგან განურჩევლად მისი განათლებისა და სპეციალობისა, რომლებიც ადგენდნენ ბრალდებული დამნაშავე იყო თუ არა. ხოლო მათი განაჩენის თანახმად, შესაფერის სასჯელს მოსამართლე განსაზღვრავდა. სასამართლოს გარეშე მოქალაქის დაკავება, ციხეში ჩასმა და დაჯარიმება აიკრძალა, როგორც იარაღი ადამიანთა დამონების და დამორჩილების (არსენიძე, 2014). როგორც ვხედავთ, მიუხედავად სასამართლო საკონომდებლო ბაზის არ არსებობის და კადრების სიმწირისა, სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის კუთხით მტკიცე ნაბიჯი გადადგეს.

ნოე ჟორდანიას მოხსენება „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“ სწორედ, კონსტიტუციაზე მუშაობის და ქვეყნის მართვის შინაარსზე სცემს პასუხს. მისი თქმით, ყველა სახელმწიფო იმ კლასის ინტერესებს გამოხატავს, ვინც ხელისუფლების სათავეშია. ეს შეიძლება ყოფილიყო თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და სხვა. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სოციალ-დემოკრატია, რომელსაც პირველ რიგში ღარიბი ფენის ინტერესები უნდა დაეცვა, მაგრამ არა სხვა ფენების დაპირისპირების ხარჯზე, არამედ მათთან თანაცხოვრებით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საქართველოს ძირითად საძირკველს შეადგენდნენ გლეხები, მუშები და ნვრილი ბურჟუაზია. ამიტომ ჟორდანიას თქმით, ერთადერთი სახელმწიფოს ფორმა, რომელიც ამ თანაცხოვრებას უმტკივნეულოდ უზრუნველყოფდა, იქნებოდა მხოლოდ რესპუბლიკური მმართველობა. თავის მხრივ იგი რესპუბლიკის სამ სახეობას გამოჰყოფდა. ესაა **პარლამენტარული, სოციალური და დემოკრატიული**. პარლამენტარულში გულისხმობდა **კონსტიტუციური მონარქიას**, სადაც მეფეს, მისი აზრით, დეკორაციის ფუნქცია აქვს. ეს წყობა ძირითადად ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს და ხალხის ნება ანუ ადგილობრივი თვითმმართველობები იგნორირებულია. ფაქტიურად, გამოდის, რომ აბსოლუტური მონარქის როლს ძლიერი პარლამენტი და ბიუროკრატია ითავსებს, რითაც უზრუნველყოფილია ბიუროკრატთა ძალაუფლების გახანგრძლივება. **სოციალური რესპუბლიკის** ფორმა კი კერძო საკუთრებას გამოორიცხავს. ვინაიდან ქართველი დემოკრატები ესეთ რადიკალურ ნაბიჯზე არ ნავიდოდნენ, მიაჩნდათ, რომ **დემოკრატიუ-**

ლი რესპუბლიკაა ერთადერთი, რომელიც სოციალიზმთან თავსებადი იქნებოდა, ისე რომ კერძო საკუთრებაც არ იქნებოდა ხელყოფილი. ამ სისტემის პირობებში ძალაუფლება ცენტრსა და პერიფერიებს შორის არის განაწილებული. ხალხი ირჩევს არა მარტო საპარლამენტო დეპუტატებს, არამედ აღმასრულებლებს, ადმინისტრატორებს და მოსამართლეებსაც კი. შესაბამისად, ხალხი პირდაპირაა ჩართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ასეთ სისტემას კიდევ ერთი პლიუსი აქვს. რადგან სახელმწიფოს რეგიონები ყველაფერში არ არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ცენტრში - დედაქალაქში სახელმწიფო გადატრიალება ვერ ახდენს გავლენას მთლიანად სახელმწიფო წყობაზე და ის ერთი ქალაქის მოვლენად რჩება. ხოლო კონსტიტუციური მონარქიის პირობებში ცენტრში გადატრიალება ავტომატურად ახდენს გავლენას პერიფერიებზე, რადგან ისინი ძლიერი ადგილობრივი პოლიტიკური თვითმმართველობებით არ იმართებიან. ნოე ჟორდანიას სიტყვებით „ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის ბატონობას ისე, რომ ცენტრალური ორგანოები არ გახდნენ ბურჟუაზიის გასაბატონებელ პოლიტიკურ იარაღად და არც ადგილობრივი ორგანოები გახდნენ პროვინციული რეაქციის ბუდედ“ (ჟორდანია, 1918).

დემოკრატიული გარდაქმნების კარგი მაგალითია 1918 წლის აგვისტოში დამტკიცებული კანონი სახელმწიფოების სტრუქტურების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შექმნას. მაგრამ იმავე წელს გაუქმდა საგუბერნიო დაყოფა და ჩატარდა საერობო კრების არჩევნები და ჩამოყალიბდა **ადგილობრივი თვითმმართველობის** სისტემა სამაზრო და საქალაქო მრავალპარტიული სათათბიროებისა და გამგეობების სახით (ვადაჭკორია, 2014). ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. საქართველოში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველობებზე სოციალისტი და თეორეტიკოსი კ. კაუტსკი წერდა: „რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემების ადგილზე“ (ინასარიძე, 1984). ისეთი თვითმმართველი ერთეულები, როგორცაა მაზრა და თემი, სახელმწიფო მმართველი აპარატის განუყოფელი ნაწილი გახდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ სტრუქტურებს გარკვეული ფუნქციები გადასცა და ისე, რომ კომპეტენციები ეფექტურად და რაციონალურად გაყოფილი ყოფილიყო. კონსტიტუციით საბოლოოდ განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ორგანო ადგილობრივი მმართველობისა, რომელიც განაგებს ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს; ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც უფლება აქვს შეაჩეროს ადგილობრივი მმართველობის კანონსაწინააღმდეგო განკარგულებანი. მათი გაუქმება კი შეადგენს სასამართლოს ფუნქციას; ადგილობრივ თვითმმართველობას ენიჭება ცალკე კანონით განსაზღვრული საბიუჯეტო უფლება (ბენდიანიშვილი, 2008).

პოლიტიკურ სისტემაში დემოკრატიული გარდაქმნების კუთხით სოციალ-დემოკრატებმა ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო საქმეები უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და იგი კონსტიტუციით გაამყარა. ქვეყნის უმაღლესი კანონი განსაზღვრავდა **მოქალაქის უფლებებს**, რომელიც მესამე თავში იყო განსაზღვრული, როგორც **სიტყვის, ბეჭდვის ანუ პრესის, აზრის გამოხატვის თავისუფლება**. აქ ჩაინერა: „ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მისი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება.“ ეს რევოლუციური მიღწევა იყო იმ მრავალი ათწლეული ბრძოლის შემდეგ, რომელიც ხალხმა თავისუფლებისთვის და ავტოკრატიასთან ბრძოლაში გაატარა. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ პერიოდში საქართველოში 15-მდე პოლიტიკური პარტია და მოძრაობა არსებობდა. მათ ჰქონდათ თავისი საკუთარი გაზეთები, ჟურნალები და ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე, ისე რომ პირველად დადგა დრო, როდესაც თავიანთი აზრის გამო არავინ სდევნიდა (ინასარიძე, 1984).

კიდევ ერთი დემოკრატიული უფლება რაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მიანიჭეს საკუთარ მოქალაქეებს იყო **შეკრების თავისუფლება**. კონსტიტუციის 33-ე მუხლი საუბრობს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება აქვთ მთავრობის ნება დაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ როგორც ჭერქვეშ ისე გარეთ“ (ინასარიძე, 1984). მსგავსი დებულება დღევანდელი საქართველოს კანონმდებლობითაც არ არის გათვალისწინებული. მართალია, დღეს არ იზღუდება თავისუფლად შეკრება, მაგრამ დემონსტრაციების გასამართად მოქალაქეებს ევალებათ სახელმწიფოს შესაბამისი დანესებულებები გააფრთხილონ შეკრების ადგილისა და დროის შესახებ (საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, 2013). ამას გარდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 37-ე მუხლით ინდივიდუალურ ადამიანსაც მიენიჭა უფლება პირადი ან კოლექტიური პეტციის

სახით მიენვდინა სახელმწიფოსთვის თავისი საპროტესტო ხედვები. ხოლო 64-ე მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ თუ მოქალაქეები მიიჩნევდნენ ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმას მიუღებლად, მათ ჰქონდათ უფლება 30,000 მოქალაქის ხელმოწერით ეს საკითხი რეფერენდუმზე გაეტანათ (ინასარიძე, 1984).

ამას გარდა მოქალაქის უფლებებში განსაზღვრული იყო თავისუფლად მიმოსვლის უფლებაც. კონსტიტუციის 30-ე მუხლში ნათქვამია: „ყოველი მოქალაქე მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება“ (ინასარიძე, 1984). ეს უფლება შესაძლებელია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ჟღერდეს დღეს თამადეროვე თავისუფალი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ ფაქტია ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ ადამიანები მონარქიისა და ფეოდალიზმის პერიოდში, ასევე საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც მოქალაქეების ბინადრობის უფლება ძალზედ შეზღუდული იყო. შესაბამისად, 1918-1921 წლების ეს დემოკრატიული გარდაქმნები უადაოდ რევოლუციური და დიდი სიახლის მატარებელი იყო იმ დროის საქართველოსთვის, რომელიც საფუძველს უყრიდა თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოს ფუნდამენტს.

დემოკრატიული გარდაქმნები სამოქალაქო და კულტურულ სფეროში

სეკულარიზმი

საინტერესოა რა დემოკრატიული გარდაქმნები მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ. ამ პროცესებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე წინ უძღოდა ქართველი ლიბერალების, კერძოდ კი ილია ჭავჭავაძის შეხედულებები, რომელმაც შეცვალა რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება და თუ მანამდე ქართული ეროვნულობის განმსაზღვრელი იყო რელიგია, მის დროს ეს შეიცვალა. რელიგია, ამ შემთხვევაში კი ქრისტიანული რელიგია აღარ წარმოადგენდა ეროვნულობის განმსაზღვრელ აუცილებელ ფაქტორს, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აჭარის მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან დაბრუნებამ (ოღონდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში), რომლებიც, ილიას თქმით, ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც დანარჩენები. ის წინა პლანზე ადამიანის ღირსებას აყენებდა, ვიდრე წარმომავლობას ან აღმსარებლობას. ეს ყველაფერი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მომზადდა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ეს საკითხი საერთოდ აღარ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ პერიოდში სეკულარიზმი, აღმსარებლობის თავისუფლება და ეროვნული განსხვავებულობა არ უნდა ყოფილიყო ადამიანის დემოკრატიული უფლებების განხორციელების დამაბრკოლებელი.

ზოგიერთი მკვლევარი ქართველი სოციალ-დემოკრატების ასეთ დამოკიდებულებას მათი ლიდერების ათეისტურ შეხედულებებს უკავშირებს. მაგალითად, პროფ. ვ. გურული 1918-1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სეკულარულ პოლიტიკას საერთოდ ათეისტურსაც კი უწოდებს. აცხადებს, იმის მიუხედავად რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს აღდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მან მაინც ვერ შეძლო სახელმწიფო ცხოვრებაში ტრადიციული ადგილის დაბრუნება (გურული, 2008). მაგალითად, ჟორდანიას თავის რელიგიურ გრძნობებზე ღიად საუბრობს მოგონებებში. როგორც ჩანს, ის ბავშვობაში როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი ისე იზრდებოდა, იცავდა მარხვას და ეზიარებოდა. ხოლო პირველად ღმერთის არსებობაში დაეჭვდა სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წაკითხვის შემდეგ. მისი თქმით, აღმოაჩინა, რომ ბუნებრივ მოვლენებს ჰქონდა მეცნიერული ახსნა და ზებუნებრივი მათში არაფერი იყო. თურმე წვიმა არ ყოფილა ღმერთის ცრემლები და ჭექაქუხილი წმ. გიორგის ცხენის ჭენების ხმა. აქედან გამომდინარე ეჭვი შეიტანა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობაშიც, რადგანაც მაშინდელი გავრცელებული წარმოდგენით მეფის ლეგიტიმურობა მის თითქოსდა ღვთიურ ხელდასმას უკავშირდებოდა. სემინარიაში სწავლის დროს კი ჩამოუყალიბდა მტკიცე აზრი, რომ მეფე ისეთივე გამოგონილი ავტორიტეტი იყო, როგორც ღმერთი. ეს ორივე ცნება ერთ დონეზე დააყენა, ხოლო ათეიზმი და რესპუბლიკანიზმი ერთმანეთს დაუკავშირა. მიხვდა, რომ რესპუბლიკა ყველა ადამიანისთვის უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ მათთვის, ვინც უმრავლესობას წარმოადგენდა. ამიტომ, როდესაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიიღეს საქართველოს სახელმწიფო გერბი და მასზე წმინდა გიორგი გამოსახეს, ჟორდანიას წინადადებით კლერიკალიზმის თავიდან აცილების მიზნით მას ჩამოსცილდა ყველა რელიგიური ნიშანი (ჟორდანიას, 1990). ასევე, ისიდორე რამიშვილი იხსენებს, რომ ბათუმის საკვირაო სკოლაში, რომელიც ყოველდღე მუშებით ივსებოდა და წერა-კითხვიდან დაწყებული ლიტერატურის კითხვით, ისტორიით, გეოგრაფიით და ბუნებისმეტყველებით დამთავრებული ისწავლებოდა, კარლო ჩხეიძე ხელმძღვანე-

ლობდა დარვინის თეორიას, რომელიც ფართოდ იყო გაშუქებული (რამიშვილი, 2012). პროფ. გურულის თქმით, სეკულარიზაციის პოლიტიკა აყვანილი იყო ხელისუფლების პირველი პირების დონეზე. ისინი არ მონაწილეობდნენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში. უფრო მეტიც, ნოე ჟორდანიამ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მის ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგ კი წავიდა და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს მხოლოდ კაბინეტიდან გასულს დაანია თანხმობა (გურული, 2008).

ჩვენი აზრით, ეს მართლაც სეკულარული პოლიტიკის გათავისების დამსახურებაა და არა რელიგიური გრძნობების გამოხატულება. მით უფრო, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა და ის დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამიტომაც ქართულ ეკლესიას სერიოზულად ეხმარებოდნენ რუსეთში მყოფი ქართველი მენშევიკები კ. ჩხეიძე, ი. ნერეთელი და ზ. ავალიშვილი (გეგენავა, 2013). ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში კათოლიკოს-პატრიარქი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა. პროფ. გურულის დასკვნით, უმაღლესი სასულიერო ლიდერის აზრს ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ ითვალისწინებდნენ. დაკნინდა ეკლესიის როლი მოსწავლე-ახალგაზრდობის და სტუდენტობის აღზრდის საქმეში, ქართულ ჯარში. აიკრძალა ბიბლიის სწავლება საერო სკოლებში, რადგან მას არა მეცნიერული, თეოლოგიური, არამედ რელიგიური დატვირთვის შინაარსი ჰქონდა. ამასთან, აიკრძალა საეკლესიო იერარქიის მიერ ჯარის ნაწილებში საეკლესიო ლიტურგიის ჩატარება (გურული, 2008). რვა დღით შემცირდა უქმე დღეების რაოდენობა საეკლესიო დღესასწაულების ხარჯზე (გეგენავა, 2013). ვფიქრობთ, ეს ყველაფერი, სწორედ, რეალობის რაციონალური გააზრების შედეგია და დემოკრატიული ღირებულებების კუთხით ნახტომისებური წინსვლა. რადგან ქართული სკოლები, ჯარის ნაწილები და სხვა საერო დაწესებულებები არ წარმოადგენდნენ მხოლოდ მორწმუნე ქრისტიან მართლმადიდებლებს და მათ შორის იყვნენ სხვა ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა მსოფლმხედველობითი შეხედულებების ადამიანებიც, რომელთა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება დაუშვებელი იქნებოდა. ეს იყო, სწორედ, გაცნობიერებული ნაციონალიზმის დაბადების შედეგი და არა შუა საუკუნეების ტომობრივი გაერთიანება. ნოე რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ერთა თვითგამორკვევა ხალხის ხელშია, რა დროსაც „ნება და წყალობა ღვთისა“ განდევნილია, ზევიდან ხალხის ბედის გადაჭრა უკუგდებულია და მისი სუვერენობა საქვეყნოდ აღიარებულია (რამიშვილი, 1931).

ქართველ სოციალ-დემოკრატების ცოდნა და ღირებულებულები აისახა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში და მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში, რაც მნიშვნელოვან დემოკრატიულ გარდაქმნებს წარმოადგენდა. 1920 წელს შეიმუშავეს კანონპროექტი, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის საკითხი. მისი მიხედვით, სახელმწიფო აღარ დააფინანსებდა ეკლესიას. პირიქით, ეკლესია ვალდებული იყო სპეციალური გადასახადი ეხადა. ხოლო საკონსტიტუციო კომისია სარწმუნოებრივ საკითხებს, სწორედ, სეკულარიზმის პრინციპების დონეზე განიხილავდა. კონსტიტუციის 31-ე მუხლით, უზრუნველყოფილი იყო სინდისის თავისუფლება და იკრძალებოდა სარწმუნოების გამო მოქალაქეთა დევნა, პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა. ამავე დროს დაუშვებელი იყო რელიგიური მოტივით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. 143-ე მუხლით აღიარებული იქნა სარწმუნოების თანაბრობა-თანასწორობა და არავის ენიჭებოდა უპირატესობა. ხოლო 144-ე მუხლით სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს აეკრძალათ სარწმუნოებრივი საკითხებისთვის თანხის გაცემა (გეგენავა, 2013).

ამ ყველაფრის ფონზე სოციალ-დემოკრატებს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ საეკლესიო პირები და მათი მომხრე პოლიტიკოსები. ისინი აპროტესტებდნენ ეკლესიის ფინანსურ და მატერიალურ შევიწროებას, თუმცა, მხარს უჭერდნენ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნას, აღმსარებლობის თავისუფლებას და აფიქსირებდნენ შემწყნარებლურ პოლიტიკას სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ (გეგენავა, 2013). მათ 1917 წელს ისიც კი გამოაცხადეს, რომ „საღვთო წერილისა და ძველი საეკლესიო თვალსაზრისის თანახმად, მმართველობის საუკეთესო ფორმა არის არა მონარქია და მეფის ინსტიტუტი, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა“ (პაპუაშვილი ნ, 2011). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II აცხადებდა „...თავი უფრო მშვენიერია, რამდენათ ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში“ (გამყრელიძე, 2006).

ეროვნული უმცირესობები

დემოკრატიული გარდაქმნების თვალშისაცემი მაგალითია ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ. ამ საკითხში მათ ქართველი ნაციონალისტური მოძრაობებიც ედგნენ გვერდში. ნოე ჟორდანიას ეროვნული საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იხილეს იმის გამო, რომ მას კარგად ჰქონდა გააზრებული საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული მრავალფეროვნება. იგი ურა-პატრიოტულ რიტორიკას, პრაგმატულ პოლიტიკას ამჯობინებდა და ყველა მათგანს სოციალურ თანასწორობასა და თავისუფლებას სთავაზობდა. მისმა და მისი პარტიის ასეთმა მიდგომამ გაამართლა. არც ეროვნულ უმცირესობებს უგრძვნიათ თავი განსხვავებულად მათ წინაშე. ამიტომ იყო, რომ მაგალითად ახალქალაქში, რომლის მოსახლეობა ეთნიკურად სომხებს წარმოადგენდნენ არჩევნებში გამარჯვება არა სომხურმა ნაციონალისტურმა დაშნაკმა მიიღო, არამედ სოციალ-დემოკრატებმა. იგივე შედეგი დადგა თბილისშიც, სადაც იმ პერიოდში ეთნიკური ქართველობა უმცირესობაში იყვნენ. ნოე ჟორდანიას ამ საკითხს მათი პარტიის მსოფლმეხდველობიდან ხსნიდა: „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობის მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან. სოც.-დემოკრატებს იმით ქონდა გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებათ ვრაცხდით. მაგრამ ეს თეორია, ეს წარსული შეიძლება დარჩენილიყო მკვდარ სიტყვად და საქმეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ობიექტურ მდგომარეობას მისი გატარება არ მოეთხოვა. აუცილებელი შეიქნა შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დედა-ერთან, ქართველობასთან სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რაიცა შესრულებულ იქნა არა ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლებების მინიჭებით“ (ჟორდანიას, 1990).

ისეთ მნიშვნელოვან დღეს, როგორც იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, საკუთარ სიტყვაში ნოე ჟორდანიას ყურადღება, სწორედ, ეროვნულ უმცირესობებზე გაამახვილა. მისი სიტყვებით, საქართველო ისტორიის განმავლობაში იბრძოდა მხოლოდ საკუთარი თავის დაცვისთვის და არა სხვის წინააღმდეგ. „ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში... არც ერთი ერი – ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენი სახელმწიფოს გარე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას... მსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და ჩვენს შორის მყოფ ერებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი – ჩვენს გარეთ. ეს არის სომხობა. ძველ ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პოვებს ჩვენში, რომელსაც პოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის. ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან - მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ... ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერის უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა“ (გურული, 2011).

ეროვნული უმცირესობების შესახებ დამოკიდებულება საქართველოს პირველ კონსტიტუციაშიც აისახა. მას მთლიანად მიეძღვნა მე-4 თავი და 9 მუხლი. მისი მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ეროვნულ უმცირესობას ეძლეოდა თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება. მათ ასევე კონსტიტუციით მიეცათ უფლება საკუთარ ენაზე ბეჭდვის, წერის და ლაპარაკის (მუხლი 129). უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ 21-ე საუკუნის საქართველოზე, სადაც ეს ყველაფერი თითქოს ბუნებრივი უფლებებია. არამედ საქმე გვაქვს მე-20 საუკუნის დასაწყისთან, რა დროსაც საქართველო სულ რაღაც 2 წლის დახსნილი იყო იმ იმპერიისგან, სადაც ეროვნული უმცირესობები საკუთარი უფლებებისთვის სისხლის ფასად იბრძოდნენ. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციით ეროვნულ უმცირესობებს მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ მათი წარმომადგენლობისგან შემდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები (თემი, ერობა, ქალაქი) და დაეარსებინათ ეროვნული კავშირი, თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლიერად, მათ შორის, მათ, ვისაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვებოდათ (მუხლი 130). სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებების მინიჭების გარდა საქართველოს კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობდა მათ სწავლა-განათლებას. ეს გულისხმობდა

სკოლების დაარსებას ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით (მუხლი 134), სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს განათლება უნდა მიეღოს მის სალაპარაკო ენაზე (მუხლი 135). ხოლო ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატებოდა ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენასთან ერთად მათ მშობლიურ ენაზეც (მუხლი 136). ეროვნებით არა ქართველ დეპუტატს კი, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცოდა, შესაძლებლობა ეძლეოდა პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა საკუთარ ენაზე, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენდა პარლამენტის პრეზიდიუმს (მუხლი 137) (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1921).

როგორც ვხედავთ, დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ქართველი სოციალ-დემოკრატები ქვეყნის ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევდნენ ეროვნულ თანასწორობას და უმცირესობების დანარჩენ საზოგადოებაში თავისუფალი ინტეგრაციის ისეთ შესაძლებლობას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი კულტურული, ეკონომიკური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზება.

ქალთა უფლებები

ისევე, როგორც რელიგიური და ეროვნული უმცირესობების მიმართ დემოკრატიულ გარდაქმნებს წინ უძღოდა იდეოლოგიური მომზადება, ასევე ქალთა პირველ ემანსიპაციის მოძრაობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, რასაც საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებამ შეუწყო ხელი. ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც სრულად ასახავდა იმ დროის სოციალ-დემოკრატების ხედვებს, სქესს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში. ისინი ამ კუთხით სრულ თანასწორობას ქადაგებდნენ.

ქალთა ემანსიპაციის მკვლევარი ლ. გაფრინდაშვილი წერს, რომ ქართველი ქალების პოლიტიკურად გააქტიურება, სწორედ, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იკიდებს ფეხს. მისი დასკვნით, არსებობდა ქართული ფემინიზმის ფენომენი, რომელიც შემოსული იდეების უბრალო გადმოტანა კი არ იყო, არამედ ორგანულ საჭიროებებთან მორგება. ის არ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებისთვის ბრძოლას კატო მიქელაძე (1878-1942) ედგა სათავეში (გაფრინდაშვილი, 2008). მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი დაუახლოვდა მესამედასელებს და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1903 წელს იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მეშვეობით სასწავლებლად მოსკოვში პედაგოგიურ კურსებზე წავიდა, ხოლო შემდეგ ევროპაში გაემგზავრა. ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობდა, რისი დამთავრების შემდეგაც პარიზში დასახლდა. აქ იგი საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას და როდესაც 1916 წელს სამშობლოში დაბრუნდა, დაიწყო თანამოაზრეთა შემოკრება და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა. 1917-18 წლებში მან უკვე ჩამოაყალიბა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა (გაფრინდაშვილი, 2014).

მისი შეხედულებით, ქალის პოლიტიკური სტატუსის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო არსებული კულტურის ფუნდამენტური კრიტიკა. იგი დამფუძნებელი კრებისგან ითხოვდა კანონით განმტკიცებულ თანასწორუფლებიანობას. პირველ რიგში სრულ პიროვნულ და პოლიტიკურ თავისუფლებას. ჰქონოდათ არჩევნებში, როგორც ხმის, ასევე მონაწილეობის უფლება. იგი ითხოვდა თანასწორ შრომით უფლებას, სქესთა შორის სასჯელის განსხვავებულობის აღმოფხვრას, მამაკაცის ოჯახში და სამემკვიდრეო სამართალში უპირატესობის მინიჭების მოსპობას (გაფრინდაშვილი ლ., 2008). საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგი პროსტიტუციის აკრძალვასაც მოითხოვდა, ალბათ, იმ გარემოებით, რომ ქალი არ ყოფილიყო მამაკაცის ექსპლოატაციის საგანი.

მართალია, საქართველოში ქალთა მოძრაობები ისე ფართოდ არ ყოფილან გაშლილნი, როგორც ეს მათი წარმოშობის ადგილებში. თუმცა, ქართულ ფემინისტურ გამოსვლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძირითადად პუბლიცისტური წერილებით, უკვალოდ არ ჩაუვლია და მნიშველოვანი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიულ გარდაქმნებში. უფრო კონკრეტულად კი, მათი ბრძოლის შედეგი აისა-

ხა 1918-1921 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებზეც, როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც მანამდე საქართველოში უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა. მეტიც, კრების 130 დეპუტატიდან ხუთი იყო ქალი (ანნა სოლოლაშვილი, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ტოროშელიძემ, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე). ეს ყოველივე კი მნიშველოვანი გარდატეხა იყო საქართველოს დემოკრატიზაციის გზაზე და ქალსა და კაცს შორის თანასწორობის საკითხებში (გამთენაძე, 2016).

დასკვნა

1920 წელს საქართველოში განხორციელდა სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო გაერთიანების „მეორე ინტერნაციონალის“ ავტორიტეტი წევრების ვიზიტი, რომელსაც კ. კაუცკი ხელმძღვანელობდა (ჟვანია, 1998). მათგან ერთ-ერთი დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი რამსეი მაკდონალდი წერდა, რომ „ქართველმა სოციალისტებმა შეძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შეძლეს; სახელდობრ, სრული ჰარმონია სოფელსა და ქალაქს შორის. გაატარეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ მინის რეფორმა. უმინანყო მინებს დაურიგეს მინები. მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაედო საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას... თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით... თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალ-კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში (ინასარიძე, 1984). „... აქ არ იყო არც პროლეტარიატის დიქტატურა, არც ერთი კლასის მეორე კლასის წინააღმდეგ წასისინება, არც პრესის, სიტყვის, კრებების თავისუფლების მოსპობა... თავისუფლება, პატიოსნება, უმცირესობათა უფლებების პატივისცემა - აი, საქართველოს მთავრობის პრინციპები. საქართველო როგორც ქვეყანა, მისი ხალხი საუცხოოა“ (შუბითიძე, 2003).

სამშობლოში დაბრუნებული უცხოელი პოლიტიკოსები ფართოდ აშუქებდნენ საკუთარ შთაბეჭდილებებს მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს და მისი დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ. ამას ხელი შეუწყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე აღიარებამაც 1920 წლის 7 მაისს. დამოუკიდებლობის წლებში საქართველო სულ 25-მა სახელმწიფომ ცნო. პირველი იყო თურქეთი (1918 წ.), შემდეგ გერმანია, ავსტრია, არგენტინა, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, პოლონეთი, შვეიცარია, რუმინეთი, ჰაიტი, ლიბერია, მექსიკა, პანამა, სიამი, ლუქსემბურგი და სხვ. (კირთაძე, 1997).

სამწუხაროა, რომ 1918-1921 წლების განმავლობაში საქართველო თითქმის მუდამ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ფაქტიურად ქართველი პოლიტიკოსები ანალიზებდნენ, რომ ეს დამოუკიდებლობა შესაძლოა ყოფილიყო დროებითი. მეტიც, 1920 წლიდან მათ ჰქონდათ კონკრეტული ინფორმაცია, რომ საბჭოთა რუსეთი ყველა შესაძლებლობით აპირებდა საქართველოს ოკუპაციას. ამის მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები შეუჩერებლად ატარებდნენ დემოკრატიულ რეფორმებს. ფაქტიურად კონსტიტუციაც ოკუპაციის დაწყების პერიოდში მიიღეს (ყორდანია, 1990). ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი იღვწოდნენ არა კონკრეტული დღისთვის, არამედ მომავალი საქართველოსთვის. მათ სურდათ ფუნდამენტი ჩაეყარათ დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, რომელიც მომავალი საქართველოს ლეგიტიმური წინამორბედი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს დე-ოკუპაციას და სახელმწიფოებრიობის აღდგენას გაცილებით ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლები ექნებოდა, ვიდრე მე-18 საუკუნეში ფეოდალური, დანანევრებული ქვეყნის შთამომავლებს მოეთხოვრებოდა. მათ შექმნეს ის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც გახდა 21-ე საუკუნის პოლიტიკური და სამართლებრივი ფუძემდებელი.

აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი სამეცნიერო სტატია, რომელიც წარმოადგენს აღწერილობით კვლევას, დაეფუძნა მრავალი რელევანტური წიგნის, პუბლიკაციის, გამოსვლის, განცხადების, სტატიის, ინტერვიუს ანალიზს, რის შედეგადაც მივიღეთ დასკვნამდე, რომ საქართველოში პირველი დემოკრატიული გარდაქმნები განხორციელდა 1918-1921 წლებში. ეს იყო სოციალ-დემოკრატების ეპოქა, რა დროსაც საქართველოში ფეხი მოიკიდა ევროპული მიმართული-

ბის სოციალ-დემოკრატიამ და ამ კუთხით განხორციელდა კონკრეტული რეფორმებიც. ამ პერიოდში ქართველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ელიტამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, შეძლო აყოლოდა ევროპულ ტენდენციებს და გარკვეულწილად მოეხდინა საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნები. ეს გარდაქმნები შეეხო ყველას დაწყებული ხელისუფლებიდან დამთავრებული სახელმწიფოს ჩვეულებრივი წევრებით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ რეფორმები განხორციელდა პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში. ძალაუფლება გადაწინადა სამ შტოში. განისაზღვრა დემოკრატიული საარჩევნო სისტემა, რომელიც უნდა ყოფილიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველა სრულწლოვანს (20 წლის) მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნების და სარწმუნოებისა. შემუშავდა სასამართლო სისტემის ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობი, აღიარებულ იქნა მოქალაქის უფლებები, მათ შორის, სიტყვის, ბეჭდვის ანუ პრესის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გადაადგილების თავისუფლება. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პარალელურად გატარდა სეკულარული პოლიტიკა. სახელმწიფო და ეკლესია სრულად გაემიჯნა ერთმანეთს. კონსტიტუციით უზრუნველყოფილ იქნა სინდისის თავისუფლება და აიკრძალა სარწმუნოების გამო მოქალაქეთა დევნა, პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა. ამავე დროს დაუშვებელი იყო რელიგიური მოტივით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. აღიარებული იქნა სარწმუნოების თანაბრობა-თანასწორობა და არავის ენიჭებოდა უპირატესობა. დემოკრატიული მიდგომები დაინერგა ეროვნული უმცირესობების მიმართაც. კონსტიტუციით დადგინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ეროვნულ უმცირესობას ეძლეოდა თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. ყველა ეთნიკურ ჯგუფს მიენიჭა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების, ინფორმაციის მიღების და ეროვნულ-კულტურული, პოლიტიკურ საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით სრული პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება მოიპოვეს ქალებმაც. საქართველოს კონსტიტუცია სქესს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მეტიც, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებში მათ არათუ ხმის უფლება მიიღეს, არამედ პარლამენტში არჩეულ იქნა ხუთი დეპუტატი ქალი. როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატების მკვლევარი რ. კალანდაძე ამბობს, ცნება „დემოკრატია, მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკური წყობისა მოიცავდა ასევე იდეის და პოლიტიკური მსოფლმხედველობის მნიშვნელობასაც. მას გარკვეულ წილად იდეოლოგიური ხასიათიც გააჩნდა, რაც კარგად გამოჩინდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, როდესაც ხელისუფლებამ დემოკრატია იდეოლოგიურ რანგში აიყვანა (კალანდაძე, 2000). ბევრს არც ესმოდა დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობა და ის მხოლოდ უტოპიად, შეუფერებელ მოვლენად მიაჩნდა. მაგალითად, გენერალი მალაკელიძე თავის მოგონებებში წერს, რომ ისინი რეალურ პოლიტიკას ვერ ახორციელებდნენ, რადგან ჟორდანიას მთავრობა საუბრობდა ისეთ იდეალებზე, რომელიც მხოლოდ თეორიაში ხორცილდება და არა პრაქტიკულ პოლიტიკურ დონეზე (მალაკელიძე, 2012). ფაქტია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების რეფორმები და პოლიტიკური, სამოქალაქო, კულტურული მოდერნიზაცია ის მონაპოვარი იყო, რომელმაც ქართველი ხალხი ცივილიზებული თავისუფალი სამყაროს გვერდით დააყენა. იმის მიუხედავად, რომ პირველმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა საბჭოთა ოკუპაციის გამო განვითარება ვერ ჰპოვა, მათ დიდი და აუცილებელი მიღწევები დატოვეს მომავალი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსთვის.

ბიბლიოგრაფია

1. ბენდიანიშვილი, ა. (1999). საქართველოს ისტორია 1801-1921 თბილისი, განათლება.
2. გამახარია, ჯ. (2006). წმიდა აღმსარებელი ამბროსი. [dspace.nplg.gov.ge: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11528/1/Ambrosi_Xxelaia.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11528/1/Ambrosi_Xxelaia.pdf)
3. გამთენაძე, ზ. (25 მარტი, 2016) . [civuscsla.wordpress.com: https://civuscsla.wordpress.com/2016/03/25/ქალთა-მოდრობა-საქართვე/](https://civuscsla.wordpress.com/2016/03/25/ქალთა-მოდრობა-საქართვე/)
4. გაფრინდაშვილი, ლ. (2008). ქართული ფემინიზმი თუ ფემინიზმი საქართველოში? ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა. (გვ. 193-197). თბილისი, უნივერსალი.
5. გაფრინდაშვილი, ლ. (8 მაისი, 2014). [www.feminism-boell.org: http://www.feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken](http://www.feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken)

6. გეგენავა, დ. (2013). ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია (გვ. 166-189). თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.
7. გურული, ვ. (1995). ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. გურული, ვ. (1999). ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი. თბილისი, ინტელექტი.
9. გურული, ვ. (2008). ეროვნული კონსენსუსი, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია თბილისი, უნივერსალი.
10. გურული, ვ. (2011). 1918 წლის 26 მაისი. თბილისი, უნივერსალი.
11. ვადაჭკორია, ს. (2001). ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში. თბილისი, მეცნიერება.
12. ვაშაყმაძე, ნ. (2014). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. თბილისი, უნივერსალი.
13. ინასარიძე, კ. (1984). პატარა ოქროს ხანა. მიუნხენი.
14. კალანდაძე, რ. (2000). დემოკრატია, როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია. თბილისი, მეცნიერება.
15. კაუცკი, კ. (1921). კაუცკი საქართველოს შესახებ. თავისუფალი საქართველო, გვ. 8-9.
16. კირთაძე, ნ. (1997). ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923). თბილისი, ევროპული და ამერიკული კვლევების ინსტიტუტი.
17. ლოსაბერიძე, დ. (ივნისი, 1998) ნაციონალიზმის პრობლემა საქართველოში. www.nato.int: <http://www.nato.int/acad/fellow/96-98/losaberi.pdf>
18. მაცაბერიძე, მ. (2008). საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება (გვ. 20-23). თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
19. პაპუაშვილი, ნ. (2011). დემოკრატიული ღირებულებები და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. გაფრინდაშვილი, ლ. დემოკრატიული ღირებულებების კვალდაკვალ (გვ. 313-338). თბილისი, დობერა.
20. ფვანია, გ. (1998). ევროპა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. თბილისი, სამშობლო.
21. ჟორდანიას, ნ. (1918). სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია. თბილისი, რუხაძის სტამბა.
22. ჟორდანიას, ნ. (1923). ბრძოლის საკითხები.
23. ჟორდანიას, ნ. (1933). დემოკრატია. პარიზი.
24. ჟორდანიას, ნ. (1990). რჩეული ნაწერები. თბილისი, საქართველო.
25. ჟორდანიას, ნ. (1990). ჩემი წარსული. თბილისი, სარანგი.
26. რამიშვილი, ი. (2012). მოგონებები. თბილისი, არტანუჯი.
27. რამიშვილი, ნ. (1931). დემოკრატიული სოციალიზმი. პარიზი.
28. საქართველოს ეროვნული არქივი (13 ივნისი, 2014) . [archives.gov.ge: http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1](http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1)
29. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (2013). [www.kharagauli.ge: http://www.kharagauli.ge/img/files/30.pdf](http://www.kharagauli.ge/img/files/30.pdf)
30. საქართველოს კონსტიტუცია (1921). <http://constitution.parliament.ge: http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdf>
31. შუბითიძე, ვ. (2003) ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი.
32. ჭუმბურიძე, დ. (2011). წინა საარჩევნო კამპანია და პარტიული აგიტაცია 1919 წლის საქართველოს პრესაში. (გვ. 47-54). თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
33. ჯონსი, ს. ფ. (2007). სოციალიზმი ქართულ ფერებში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Irakli Megrelishvili

THE FIRST DEMOCRATIC TRANSITIONS IN GEORGIA

Abstract

The article is dedicated to the first democratic transformations in Georgia. This period covers 1918-1921 years when Georgia not only separated from the Russian Empire and declared independence, but for the first time in its history fully liberated from the feudal system and formed a modern European type legal state. It was in this period that democratic reforms were implemented in the state, economic and social sphere, which is the subject of the article. In the research the author overviews all the important democratic reforms that have become the predecessor of modern Georgia.

Keywords: *Transitions, Zhordania, Social-democracy, Political, Secularism*

Introduction

The present research article is a descriptive work, the subject of which is the first democratic transformations in Georgia. Below we will briefly describe the actuality of this topic, we will formulate the main questions and we will give an answer when and how the first democratic reforms were implemented in Georgia.

We consider that the current issue is relevant in such developing countries as it is Georgia. Civil society, political establishment and ordinary people of this state are equally willing to see their homeland with modern standards and modern European countries. As a result of author's general observations, we can say that reforms and modernization in the media and social networks are almost daily. Political and public debates clearly show how important is the desire to modernize and develop economic, legal, political, cultural and civil spheres. It seems that Georgia is on the way to ultimately become a member of the European Union and the idea of Europe is justification for all reforms and changes. Consequently, the discussion on the results of each new law and reform will continue for a long time. Our main task is to determine the answer to the main question of our survey, which reads as follows: When was Georgia's first democratic transformation, who was its leader and what specific projects were under his leadership? Accordingly, we need to determine what kind of projects has been implemented in political, social and cultural life?

Therefore, most of the basic text of our research will be dedicated to answering these questions, which will help us to understand the democratic transformations in Georgia in a scientific way. All this is related to the First Democratic Republic of Georgia, which took place in 1918-1921. In this period happened exactly the implementation of the first democratic transitions, led by the first elected Social-Democratic Government in the world. This time lasted for a short period, but Georgian political and economic elite under the leadership of Noe Zhordania was full with European ideas and managed to modernize Georgia according to European trends. These transitions affected everyone from the government to a simple social life. It is sad that all this reforms were stopped by the Russian occupation, repression, and killing of thousands of openminded people that made Georgia diverted the way of Western development.

Based on the above, the research article will be based on the example of one country. Within the scope of the research we will review almost all existing literature, research and work, which concern the issue. We will work on them and try to answer our main question.

We will use all relevant books, publications, speeches, statements, articles, interviews and statistical data to study research material. In order to analyze the research, we will also use the scientific literature on the Internet.

